


ჭ. ლინდემანი ჸ. ჭეკვერვა  
იმპერიალისტური  
გამარჯვებულობა

# ხელოვნების ლექსიკონი

K 217 155  
3



78  
1

ჭეკველი  
არაერთი დან  
ჭარვობელი

გოთიკიდ ლიდევანი პერმან ბექაოფი  
ერთობები  
სისტემის

# ხელოვნების ლიცეუმი

სხვადასხვა სტილი და მიმართულება

ეპს ტომაზ

ტომი 1

ბერძნული არქაიკიდან ბაროკომდე

გერმანულიდან თარგმნეს:

ლაშარა ნაროუშვილეა

ლაშარა რამიშვილეა



გამოცემელობა „ხელოვნება“  
თბილისი, 1992



ხელოვნების ლექსიკონის ექვსტომეულის პირველი ორი ტომი — „ხელოვნების სხვადასხვა სტილი და მიმართულება“ — გერმანიაში გამოიცა 1970 წელს. იგი ქრონოლოგიურადაა დაყოფილი ეპოქებიდ ძველი საბერძნეთიდან დღემდე. ყოველი ეპოქა თავის მხრივ იყოფა ქვეთავებად: „არქიტექტურა“, „ქანდაკება“, „ფერწერა“, „მოდა და ავეჯი“, რათა მკითხველს გაუადვილდეს სასურველი ცნობების მოძებნა.

1971 წელს გამოქვეყნდა „ხელოვნების ცნებათა ლექსიკონის“ ორტომეული, სადაც თავმოყრილია ხელოვნების ისტორიისა და ხელოვნების კრიტიკის ძირითადი ცნებები. 1973 წელს კი დაიბეჭდა ორტომიანი „ხელოვანთა ლექსიკონი“ გამოჩენილ მხატვართა, მოქანდაკეთა და ხუროთმოძღვართა ბიოგრაფიებით.

ყოველ ორტომეულს თავ-თავისი ავტორი ჰყავს დასავლეთგერმანელ ხელოვნებათმცოდნეთა სახით. ეს ლექსიკონი გამიზნულია ფართო მკითხველისათვის და უხვადაა ილუსტრირებული.

რედაქტორი ნათა რამიშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი  
გეთავან ახვლებიანი

4901000000

ლ ————— 1992

M — 605 (06) — 92

ISBN 5 — 89515 — 026 — 8



© გამომცემლობა „ხელოვნება“, 1992

ბერძნული ხელოვნების სათავეები ბუნდოვანია. აღრეულ კულტურათა გავლენის კვალი თუმცა აშკარაა, მაგრამ იგი მხოლოდ ფორმა-ლურ მოვლენათა ახსნაში გვეხმარება და არა თვით ბერძნული ხელოვნების იდეური შინაარსის გაგებაში. ყველა აღრეულ კულტურაში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის აუზისა — ეგვიპტურში, მინისურსა და მიკენურში — ხელოვნება გამოხატავს ადამიანის უმწეობას ყოვლისშემძლე ზემიწიერი ძალების წინაშე. მათი ღმერთები შიშის მომგვრელი, პირუზი დემონებია, რომლებსაც ადამიანი უსიტყვილ ემორჩილება. მიკენისა და ტირენის ციკლოპური კედლები, ლუქსორის უზარმაზარი ტაძრები თუ კნოსოს სასახლეთა ლაბირინთები მეტყველებენ ლრმა ეგზისტენციალურ შიშზე. ასეთი კედლების უკან ადამიანი თავშესაფარს ეძებდა, მაგრამ საკუთარი არარაობის შეგნებაც ღრღნიდა.

ძვ. წ. VIII ს-ში შექმნილ ჰომეროსის პოემებში კარგად მოჩანს, თუ რა დამყიდებულება ჰქონდათ ბერძნებს ტრანსცენდენტურ ავტორიტეტებთან. ჰომეროსის ღმერთები არა მარტო გარეგნობით ჰგვანან ადამიანებს, არამედ ადამიანურნი არიან მთელი თავიანთი არსებითაც. მათაც ჩვენსავით უყვართ, სძულთ, სწყინთ ან უხარიათ; ხოლო რაკი ასე ჰგვანან ადამიანებს, ადამიანიც უგებს და ენდობა მათ. თანდათან ღმერთები დემონურობას კარგავენ, საერო ავტორიტეტები კი — ძლიერებას. ეს პროცესი საბერძნეთში ერთდროულად ხდება. დემოკრატიზაციის ხანგრძლივ პროცესში შეუვალ თეოდრატიას არის ტოკრატია ენაცვლება, ხოლო ამ უკანასკნელს — ხალხის ხელისუფლება. კონსტიტუციური უფლებებისათვის ხანგრძლივი ბრძოლა და პოლიტიკური თავისუფლების მძაფრი წყურვილი ცხადად მიგვანიშნებს სრულიად ახალსა და ბერძნულ ხასიათში სულ უფრო მეტად გამოკვეთილ სწრაფვას პიროვნების თვითგანთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. ეს სწრაფვა ბერძნულმა ხელოვნებამ ათასწლეულებში გამოატარა და მას მხატვრული ხორცესხმა მისცა.

ამის საბუთია თუნდაც ბერძნული ტაძრები. ისინი აღარ ჰვევან  
ეგვიპტურ ტაძრებს, ქურუმთა სალოცავ უძლეველ ბასტიონებს იდა-  
მიანს რომ თრგუნავს. ბერძნული ტაძარი ღვთის სახლია ჭრის ტყების  
ჭეშმარიტი გაგებით და, ძირითადი ფორმით, ადამიანის ჩვეულებ-  
რივ სადგომს მოგვაგონებს. ზომითაც ძლიერ განსხვავდება ბერძნუ-  
ლი ტაძარი ეგვიპტურისაგან. ეს უკანასკნელი, ძირითადად, საფეხუ-  
რებად ნაგები მრავალსართულიანი შენობაა. გრანდიოზულობით იგი  
ღმერთის ზებუნებრივ ძალას განასახიერებს და ადამიანს უზომოდ  
აბეხავებს. ბერძნული ტაძარი კი თავისთავში დავანებული, მიწიერი  
ნაგებობაა. იგი თუმცა ცისკენ აწვდილია და საზეიმოდ გამოიყურება,  
მაგრამ მთლიანად ადამიანურ საზომს ემორჩილება (სურ. 2, 3, 4, 5, 6).  
გარემომცველ ბუნებასთან შერწყმული, იგი სააქაოს კი არ უპირისპირ-  
დება, არამედ ღმერთის, ადამიანისა და ბუნების შინაგან ერთიანობას  
გამოხატავს. ახალი ადამიანის ხატი ყველაზე დამაჯერებლად, ალბათ,  
მაინც ბერძნულ ქანდაკებაში მოჩანს. ჰიმეროსის მიხედვით, ადამიანი  
ღმერთთა შეერთებით შეიქმნა; მაშასადამე, ზევსი ყველა ადამიანის  
ჭეშმარიტი მამაა, ხოლო ადამიანი ღვთის ხატია, თუნდაც უაღრესად  
ნაკლოვანი. ბერძენმა კარგად იცის თავისი ფიზიკური და სულიერი  
ნაკლოვანება, ამიტომ ცდილობს, ღმერთს იერსახით მაინც დაემსგავ-  
სოს. ამ სწრაფვამ, ერთის მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, სულიერ და  
ფიზიკურ ღირსებათა გათანაბრებამ ხელი შეუწყო ადამიანის იღეალუ-  
რი ხატის გაჩენას, „რამეთუ ადამიანს ომერთებამდე აღამალებს  
მხოლოდ სულიერი ძალა, ან სხეულის ონე და სილამაზე“ (პინდარე,  
518 — 446 წწ. სურ. 1).

აღრეულ ბერძნულ ქანდაკებაში, მართალია, ჭერ კიდევ მოჩანს  
ეგვიპტურისათვის ნიშანდობლივი გახევებული ფრონტალობა, მაგ-  
რამ იგი იმ მთავარი ნიშნითაც განსხვავდება, რომ თავისუფალი ქან-  
დაკებაა და დამოკიდებული არ არის ამა თუ იმ არქიტექტურულ ორ-  
განიზმზე. ბერძნული ქანდაკება უკვე თვითმიზანია და არა დეკორა-  
ცია ან ილუსტრაცია. იგი საკუთარ ძალებში დარწმუნებული ახალი  
ადამიანის დადასტურებაა.

საბერძნეთში ადამიანს რომ თავი მოვლენების შუაგულად მიაჩ-  
ნდა, ეს ცხადად მოჩანს სახვითი ხელოვნების ისეთ დარგში, როგო-  
რიცაა კერამიკული მხატვრობა. მასში, გარკვეულწილად, ასახულია  
ბერძენი ხალხის ყოველდღიური ცხოვრება, ხშირად, რელიგიურ-

იდეოლოგიური ამბიციების გარეშე. მართალია, აქ გვხვდება შიომო-  
ლოგიური თემებიცა და თქმულებებიც, მაგრამ ჭარბობს ყოფილი  
სცენები, ყოველდღიური საქმიანობა, კერძო შემთხვევები და განვითარებული  
ჯერ, აშეარა უხამსობანიც. ასე იყო მუდამ: ადამიანს ყოველდღიურად  
ინტერესები უფრო ამოძრავებდა, ვიდრე დიდი რელიგიური და პო-  
ლიტიკური პრობლემები. მანამდე კი, არც ერთ კულტურას არ გაუხ-  
დია ადამიანის მიკროსამყარო ასახვის ღირსად. ბერძნული ლარნა-



1. პოლიქლეტეს შუბოსანი.  
დაახლ. 440 ძვ. წ.  
ბრინჯაო. სიგრძე — 2,20 მ.  
რომაული მარმარილოს ასლი.  
ნეაპოლი.

კები სრულიადაც არ იყო მხოლოდ გამოყენებითი ხელოვნების ნაწილი, ბანალური წესით რომ ამკობლენენ. ეს გახლდათ მეტად თავისთავადი ხელოვნების ქმნილებები. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ ბევრი მხატვარი თავის ნამუშევარს საკუთარ სახელსაც აწერდა.

ბერძნული ხელოვნება სამ დიდ ეპოქად იყოფა: არქაულ (ძვ. წ. 650 — 480 წწ.), კლასიკურ (ძვ. წ. 480 — 320 წწ.) და ელინისტურ ხელოვნებად, რომელიც მთავრდება საბერძნეთის შერწყმით რომის იმპერიასთან. ეს მოხდა I ს-ის მიწურულს. მისი ცხოველმყოფელი ძალა დღესაც საგრძნობია ხელოვნებაში.

## არქაული ხელოვნება

გვიანმიკენური კულტურა ჩრდილოეთიდან შემოსულმა დორიელებმა გაანადგურეს. საბერძნეთის კონტინენტზე ვითარდება ის გეომეტრიულ-მხატვრული სტილი, რომელსაც ვიცნობთ წმინდა ორნამენტული მხატვრობის, ბრტყელ-რელიეფური ხელოვნებისა და მცირე ფიგურების — სიმბოლური კერპების — სახით.

ბერძნული ხელოვნების საწყის თარიღად ძვ. წ. VII ს-ის შუა რიცხვებია მიჩნეული. სწორედ ამ არქაულ ეპოქაში შეიქმნა მონუმენტური პლასტიკა, დიდსივრცული არქიტექტურა და ფიგურატული მხატვრობა.

## არქიტექტურა


არქაული ტაძარი „ღვთის სავანეა“ და მასში დაცულია ადრეის-ტორიული, მეგარონის ტიპის, საცხოვრებელი სახლის ფორმა დახურული დარბაზითა და ანტებიანი პორტიკუსით. ამ ანტურ ტაძარს

ბერძნული ტაძრები კო-  
ლონიებში.

2. კორინთო, აპოლონის  
ტაძარი.  
დაახლ. 540 ძვ. წ.



3. ოგრიგენტი (სიცილია),  
კონკორდიას ტაძარი.  
დაახლ. 450 — 440 ძვ. წ.




4. სელინუსი (სიცილია),  
პერას ტაძარი.  
დაახლ. 465 — 450 ძვ. წ.



5. პესტუმი (იტალია),  
ე. წ. პოსეიდონის ტაძარი.  
დაახლ. 450 ძვ. წ.



6. სამოთრაკე (ეგვიპტი), ტაძარი.  
IV ს. ძვ. წ.



## 7. დორიული თაღები

სიმა (ფრონტონის საღვარე კარნიზი), მეტწილად, ლომისთავი ან წყალსაქცევით.


ტიპპანუმი (ფრონტონის შიდა არე), შემცული ფერწერულად ან სკულპტურულად.

გეისონი (მთავარი ლავაზანი) შენობის ირგვლივ.

ანტაბლემენტის ტრიგლიფებიანი ფრიზი (სამღარიანი ფილები, მოძინარე ხის პირველნავებობათა კოჭის თავებიდან) და მხატვრულად გაფორმებული მეტობები (ტრიგლიფებს შორის მოთავსებული სწორკუთხა ფილები).

ეპისტილი (ლათ. *epistilio*) — ანტაბლემენტის ქვედა ნაწილი, საყრდენ სვეტთა შემაერთებელი კვადრები (სწორკუთხა თლილი ქვები).


კაპიტელი (სვეტისთავი)  
აბაჟუსით (ჩედა კვადრატული ფილა) და ეხინუსით



(ბალიშისებრი გლუეი ფოლა).

შემდეგ (სურ. 9, 10, 11, 12, 13) მეორე პორტიკუსიც მიუშენეს და ორმაგ ანტურ ტაძრად აქციეს. შენობის შემდგომ გადიდებაზე მეტყველებს პროსტილონი და მისი ტოლსიმეტრიული ამფიპროსტილონი. ძვ. წ. VII ს-შივე ჩნდება პერიპტერონი ანუ სვეტებით გარშემორტყმული ტაძარი. თავდაპირველად გრძივი და სწორკუთხა ნაგებობა, ამგვარი სიმეტრიისა და გარსმოვლებული სვეტების მეოხებით, თავისთავში დავანებულ პლასტიკურ თრგანიზმად იქცა.

უფრო ადრინდელ, ჩეენს დრომდე მოულწეველ სატაძრო ნაგებობებს პქონდა ხის ბოძები, ხის კოჭები და ალიზით ამოყვანილი კედ-




8. აფარის ტაძარი ეგიპტი. დაახლ. 500 ძ. წ. დორიული პე-  
რიტერობი. რეკონსტრუქცია.

1. პრონაოსი.
- 2-4. ნასი ანუ ცელა (ორი ორ-  
სართულიანი სვეტების რი-  
გით სამ ნავად გაყოფილი).
5. კედიღომა ანუ სტერეობატი  
(სამსაფეხურიანი ციკლი)
6. სტილობატი (სტერეობატის  
ზედა საჭეხური).
7. დორიული სვეტი
8. დორიული სვეტისთავი ებინუ-  
სითა და აბაკუსით
9. ეპისტილი

10. ტრიგლიფი (სამღარიანი ფილა)
11. მეტოპი (ტრიგლიფებს შორის  
მოთავსებული, მხატვრულად  
შემჯული ფილა)
12. გეისონი (მთავარი კარნიზი)
13. სიმა (ფრონტონის კარნიზი  
წვიმის ღარითურთ)
14. აქროტერიონი (სახურავზე მო-  
თავსებული ქანდაკება ან რაო-  
მე ნაძერწი რჩნამენტი)
15. ნავის გარე კედელი
16. ფრონტონი სკულპტურული  
გამოსახულებებით

ლები. მასიური ქვის შენობა ფეხს იყიდებს შუა ათასწლეულიდან, ოლონდ სახურავის კონსტრუქცია ჯერ კიდევ ხის კოშებისაგონ შედა  
გება. საშენ მასალად იყენებენ კირქვას, მოგვიანების მორმარიტ  
ლოსაც. ბოძები შედგება ცალკე დოლებისაგან (სურ. 8), რომლებიც  
შეერთებულია უდუღაბოდ, მხოლოდ სამაგრებითა და პირონებით.  
ტაძრის მთავარი სადგომის კედლები წმინდად თლილი კვადრებითაა  
ამოყვანილი, შეუდუღაბებლად, რაც ქვის დამუშავების მაშინდელ  
მაღალ ტექნიკაზე მიუთითებს. კირქვით ნაშენი ტაძრები ფერადია,  
უფრო ლურჯი და წითელი ჭარბობს. არქაულ ეპოქაშივე ვითარდება  
დორიული ორდერი, ცოტა მოგვიანებით კი — იონური. ისინი ელი-  
ნისტურ ხანამდეა გამეფებული (სურ. 7).



9. ანტებიანი ტაძარი (1. პრონაოსი, 2. ნაოსი)
10. ორმაგანტიანი ტაძარი (3. ოპისთოლომოსი, უკანა  
სახლი)
11. პროსტილოსი
12. ამფიპროსტილოსი (ამფი — ორმხრივი)
13. პერიპტეროსი (სკეტჩით გარშემორტყმული); დიპ-  
ტეროსი (ორრიგა სკეტჩით გარშემორტყმული)

არქაულ პლასტიკას ახასიათებს ორი მთავარი ტიპი: კურე და კუროსი. ისინი განასახიერებენ ბერძნების ახლებურ წარმოდგენას აღამიანზე. კუროსი შიშველია. მე-15 ოლიმპიადის შემდეგ (720 —



14. კორე. დაახლ. 520 ძვ. წ. სიგრძე — 0,55 მ. ათენი,  
აკროპოლისის მუზეუმი.

15. კუროსი თენეადან. დაახლ. 560 ძვ. წ. სიგრძე —  
1,53 მ. მიუნხენი, გლიპტოთეკა.

717 წლ.), მამაკაცი სპორტულ შეჯიბრებებში შიშველი მონაწილეობდა. ამან მოქანდაკეებს საშუალება მისცა, მამაკაცის სხეულზე ესწავლათ გიმნაზიებში (gymnos — ტიტველი), ანუ მაშინდელი ტანკარგიშო მოეღნებზე. კორე, პირიქით, შემოსილია. უფრო გვიანდელ ფიგურებში კორეს გამჭვირვალე სამოსი აცვია; მასში კარგად ინაკვთება ქალის სხეული. მაშასადამე, კორე და კუროსი არა ღმერთის, არამედ სამხედრო ან სპორტული გამარჯვებისათვის მიძღვნილი გამოსახულებებია. მათ ძერწავდნენ სახელოვან მიცვალებულთა მოსაგონებლადაც.

კორეს და კუროსის არქაულ ფიგურებს (სურ. 14, 15) მკაცრი ფრონტალობა ახასიათებს. მიუხედავად მთლიანი პლასტიკური მოდელირებისა, ისინი მაინც ბრტყელ-რელიეფური ქანდაკების შთაბეჭდილებას ახდენს. სხეულის ფორმები თუმცა ანატომიურად პროპორციულია, მაგრამ უსიცოცხლოა: ერთ პოზაში გახევებულ ფიგურებს მკლავები დუნედ ჩამოუშვიათ; ამობურცული კუნთები მარტივ-სქემატურია, რაც ფიგურების მონუმენტურობას აძლიერებს.

ამ ადრეულ ქმნილებებში გარკვევით იკითხება წინაარქაული ხელოვნების გეომეტრიული სტილი, მეტადრე — სქემატურად დატალღულ თმაში, სამოსის ნაკეცთა გრაფიკულ გამოსახვასა და პირისახის ხაზობრივ დამუშავებაში. აქ ხელოვნებაში პირველად იჩინა



თავი „არქაულმა ღიმილმა“, ანუ სააქაო ტკბობის, მიწიერი სიხარულისა და ადამიანის სულიერი აქტივობის პირველმა გამოხატულებამ.

VI ს-ში ქანდაკების ხელოვნება მთელ საბერძნეთს შორის. სხვადასხვა სკოლაც კი გაჩნდა. მათი ნამუშევრები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მოქანდაკენი მასალად ჯერ რბილ კირქვის, ან ფორმვან ქვის იყენებენ, VI ს-ის შუა წლებიდან კი სულ უფრო მეტად მიმართავენ მაგარ მარმარილოს. იგი ზედაპირის უკეთ დამუშავების საშუალებას იძლევა. კირქვისა და ფორმვანი ქვის ფიგურებს, ჩვეულებრივ, აფერადებდნენ. მხოლოდ არქაული ხანის დასასრულს მიხვდნენ, რომ გაცილებით მეტი ეფექტის მოხდენა შეიძლებოდა, თუ ქალის სათუთ კანს პოლირებული მარმარილოთი გამოძერწავდნენ, ყოველგვარი შეფერადების გარეშე.

კლასიკური ხანისაკენ შემობრუნება ქანდაკებაში იმით აღინიშნა, რომ მოქანდაკე ლამობს დაძლიოს წინანდელი მკაცრი სტატიკურობა (სურ. 16). აქ ორივე მობურთავე ჯგუფი გრაციოზულად მოძრაობს. მიუხედავად დაბალი რელიეფისა, სხეულის ფორმები დეტალურადაა დამუშავებული; განსაკუთრებით, მარჯვენა, ზურგით მდგარი ფიგურა გამოიჩევა თავისი მოხდენილობით. თანაც, მარჯვედ შერჩეული გადაკვეთები და შემოკლებები სივრცის ილუზიას ქმნიან. ამ მთლიანად მომდევნო აქტისაკენ მიმართულ მოძრაობასა და სხეუ-



16. ქანდაკების კვარცტლბეჭი. დაახლ. 510 ძვ. წ. სიგრძე — 0,32 მ. ათენი, ეროვნული მუზეუმი.



17. ექსპონატი, აქილევსი და აიასი დაფაზე ქვის ფიგურებით თამაშობენ. დაახლ.  
530 ძ. წ. რომი, ეტრუსკული მუზეუმი.

ლის ფორმებს უპირისპირდება სახეთა მკაცრი პროფილი და წინანდელი გეომეტრიული სტილისაგან ნასესხები თმის ვარცხნილობა.

კლასიკურ ხელოვნებაზე გადასვლას ნათლად გვისურათებს ამ რელიეფის შედარება პართენონის დასავლეთ ფრიზთან, რომელიც, დაახლოებით, 85 წლის შემდეგ შეიქმნა (სურ. 25).

### პ ე რ ა მ ი დ უ ლ ი ჰ ე რ ა ზ ე რ ა

კედლისა თუ დაზგური მხატვრობის ნიმუშები მთლიანად დაკარგულია. სავარაუდოა, რომ ამ დიდმა ხელოვნებამ საბერძნეთში განვითარების იგივე გზა განვლო, რაც ქანდაკებამ. მას მხოლოდ წერილობითი გაღმოცემებით თუ ვიცნობთ, ან შემთხვევით შემორჩენილი ფრაგმენტებით, რომელთა საინფორმაციო ღირებულებაც მეტად მცირეა. ბერძნულ მხატვრობაზე წარმოდგენას გვიქმნის მხოლოდ ჭურჭლის მოხატულობა, რაც უხვადაა შემორჩენილი.



18. ფინტასი, მუსიკის გაკვეთილი. დაახლ. 510 ძ. წ. მიუნხენი, ონტიური ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ბერძნები მისდევდნენ წმინდა სიბრტყულ მხატვრობას, ე. ი. უარყოფნენ მოცულობითობასა და სივრცობრიობას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ფერწერა მათ დამოუკიდებელ დარგად მიაჩნდათ, კერძოდ, სურათის ორგანზომილებიანობას მისდევდნენ. ყველაზე აღრინდელი ჭურჭლის მხატვრობა გეომეტრიული სტილისაა, ე. ი. შესრულებულია წმინდა აბსტრაქტულ-ხაზოვანი ორნამენტით. IX ს-დან გვხვდება კლასიკური მეანდრის ნიმუში. VIII ს-ში ჩნდება პირველი ფიგურული გამოსახულებები. ისინი მკაცრად სტილიზებული, ხშირად, სიმბოლური ხატებია. VI ს-ის შუა წლებამდე ნახატი სრულდებოდა ფუნჯით, მოწითალო თიხაზე; 550 წლიდან ჩნდება „შავფიგურული სტილი“, სადაც ფუნჯს გრიფელი ცვლის. იგი უფრო მკაფიოდა და, რაც მთავარია, წმინდა კონტურს იძლევა (სურ. 17). მოცემულ სურათზე ნათლად ჩანს წმინდა გრაფიკული ორნამენტირებით გატაცება და ფორმათა განზოგადება. VI ს-ის ბოლო მესამედში

გზას იკატავს „წითელფიგურული“ მხატვრობა. აქ ნახატი (სურ. 18) შავად მოჭიქულ ფონზე იკვეთება. შიდანახატი წვრილი ფუნჯით სრულ-დება. ხაზის დინება ცხოვლად წარმოსახავს სამოსის ნაძვეულებებსა და სხეულის ფორმათა თამაშს, რაც სრულიად არ არღვევს ნახატის სიბრტყობრიობას.


## კლასიკური ხელოვნება

მარათონის (490წ.) და სალამინის (480წ.) გამარჯვებებმა ჰეგე-მონია განუმტკიცა საბერძნეთს აღმოსავლეთ ხელთაშუაზღვის აუზში. პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძლიერებამ დიდად შეუწყო ხელი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, რასაც ბოლოს კულტურის სფეროშიაც უაღრესად ნაყოფიერი შედეგები მოჰყვა. კლასიკურ პერიოდში, ალექსანდრე მაკელიონელის სიყვდილით (323 წ.) რომ დამთავრდა, საბერძნეთმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია ლიტერატურაში, ფილოსოფიასა და სახვით ხელოვნებაში. უწინარეს ყოვლისა, ქანდაკებასა და მხატვრობაში მოხდა რადიკალური შემობრუნება. გაქვავებულ არქაულ ფორმას ცვლის აღამიანის პარმონიული და იდეალური სილამაზის ხატი.

## არქიტექტურა

არქაული ტაძარი, თავისი ძირითადი ფორმით, შენარჩუნებულია. ცვლილებები მოხდა მხოლოდ ცალკეულ დეტალებსა და პროპორციებში. ღორიულ ორდერს (სურ. 19) კვლავაც იყენებენ, ოლონდ ახლა იგი უფრო დახვეწილი და მოხდენილია, პართენონში რომ არის, აი, ისეთია. კოლონადის სასარგებლოდ იცვლება სვეტებისა და არქიტრავის სიმაღლეთა შეფარდებაც (შდრ. პესტუმის არქაული ტაძარი სელინუსის (სურ. 4, 5) კლასიკურ ტაძარს). თუ რაოდენ დაძლეულია კლასიკურ ეპოქაში აღრინდელი ღორიული მშენებლობის სიმძიმე და განვევებულობა, ეს კარგად მოჩანს ათენის პართენონის მაგალითზე. აქ სტილობატიცა (კვარცხლბეჭის ზედა საფეხური) და არქიტრავიც

K 217 155  
K 217 3



#### ბერძნული არქიტექტურული ორდერები:

19. დორიული (კლასიკური): ათენის პართენონი. 448 — 432 ძვ. წ.
  20. ატიკურ-იონური: ერებოიონის ჩრდილო შესასვლელი ათენში. 420 — 408 ძვ. წ.
  21. კორინთული: მილეს საბჭოს შენობა. დაახლ. 175 ძვ. წ.
1. კუპიდომა ანუ სტერეობატი 1. სტილობატი (ზედა საფეხური). 2. ატიკური ბაზისი. 3. სვეტის ღერო. 4. კაპიტელი. 4'. აბაკუსი (კაპიტელის ზედა ფილა). 4. ბ ენინუსი. 4. ბ იონური ვოლუტები, აკანთის ფოთლების გვირგვინით. 5. გაბისტილი (არქიტრავი). 6. ტრიგლიფი. 7. მეტობი (რელიეფით). 8. ფრიზი (რელიეფით). 9. კბილანი. 10. გეოსონი. 11. სიმა. 11'. წყალსაქცევი.


(მზიდი კოჭი, სამერხული) შუისაკენ ოდნავ შესამჩნევად თუ მაღლდება, ოპტიკურად კი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს (სურ. 19). გარდა ამისა, კუთხის სვეტები, ყველა სხვა ვერტიკალითურთ, ცენტრისკენ არის გაღმოწეული, რითაც კუთხის სვეტი სიმყარეს, სტატიკური ნაგებობა კი უაღრესად მიმზიდველ, ცოცხალ დინამიურობას იძენს.

კლასიკურ ეპოქაში დორიული ორდერის გვერდით ფართოდ იყენებენ იონურ ორდერსაც. იონური სვეტი (სურ. 20) ბევრად უფრო ნატიფია, ხაზებიც უფრო ნარნარია. ბაზისი ახდენს დატვირთვის მსუბუქ გადანაწილებას სტერეობატიდან სვეტისაკენ. ღარების სიმკაცრეს არ-

ბილებს სვეტისთავის ვოლუტები. კანელიურებს აღარა აქვთ ბასოი წიბოები და ერთმანეთს ბილიკებით უკავშირდებიან. სვეტანი მართებაში ანტაბლემენტის სიმაღლის შემცირებით იონური ფრაგმენტები რი აპტიკურად მეტ სიმჩატესაც იძენს.

V ს-ის ბოლოს (სურ. 21) საბერძნეთში ვითარდება კორინთული ორდერი. იგი პროპორციით იონურს ჩამოჰვავს, მისგან კი, უმთავრესად, კაპიტელით განსხვავდება. კორინთული სვეტისთავი, შეზნექილი კაპიტელსზედა ფილით, შემკულია აკანთის ფოთლებიანი ორი გვირგვინით. ასეთი სვეტისთავი მცენარეულ-ორნამენტული კაპიტელის ძირითად ტიპად გვევლინება შემდგომ ეპოქებში — XIX ს-მდე.

კლასიკურ ხანაში სწორკუთხა ტაძრის მხარდამხარ (სურ. 22) ვითარდება მრგვალი ტაძარიც. ცელას (მთავარ სივრცეს) აქ ცილინდრუ-



22. დელფო, ათენა  
პრონაიას სა-  
ლოცავი, თო-  
ლოსი (მრგვალი  
ტაძარი), ძვ. წ.  
IV ს-ის დასაწყი-  
სი.

ლი ფორმა აქვს, რომელსაც გარს უვლის ტოლსვეტებიანი მწკრევი, მა-  
შასადამე, საბერძნეთში, ცენტრული ნაკვებობის სახით, ყალიბდება  
ის ძირითადი არქიტექტონური ტიპი, რომელმაც მთელს ევროპულ ხუ-  
როთმოძღვრებაში განსაზღვრა მშენებლობის შემდგომი განვითა-  
რება.

### გ ა ნ დ ა კ ვ ბ ა

კლასიკური ხანის ბერძენმა მოქანდაკეებმა გადალახეს არქაული  
ფრონტალობა და ნაკვების მკაცრი სიმეტრიულობა. ამ ხანაშივე  
მიაგნეს პონდერაციას, ანუ სხეულის ნაკვთთა ჰარმონიულ თანაფარ-  
დობას, აგრეთვე — კონტრაპოსტს, რაც ნიშნავს ენერგიის მიმოქ-  
ცევის გაწონასწორებას, დგომა-სიარულის შეხამებასა და მოძრაო-  
ბა-სიმშვიდის თამაშს. კრიტიკისის ჭაბუკში კონტრაპოსტის (სურ. 24)  
პირველი ნიშნებია: საყრდენი ფეხი სხეულს დაძაბულობას ანიჭებს;  
დაძაბულობა თეძოებიდან მხრებზე გადადის, მოძრავ ფეხში კი — ქრე-  
ბა. პოლიკლეტეს შუბოსნის სრულყოფილ კონტრაპოსტს აღტაცება-  
ში მოჰყავდა ჯერ კიდევ მისი თანამედროვენი. პოლიკლეტეს ბრინჯაოს  
ქანდაკებები (სურ. 1) უკვალოდ დაიკარგა; გაქრა მისი მრავალგზის ცი-  
ტირებული „კანონიც“, სადაც იდეალური თანაფარდობისა და ჰარ-  
მონის კანონებია ჩამოყალიბებული. პოპორციულად ჩამოქნილი  
სხეულის ცხადი ნაკვები თუ კუნთების ჯგუფი აქ, კონტრაპოსტის  
მეოქებით, ერთ იდეალურ-ორგანულ დინამიკას ქმნის: დაჭიმულ მარ-  
ჯვენა ფეხს ეხამება დაუძაბავი მარჯვენა ხელი, ხოლო მოძრავ ფეხს —  
ენერგიულად მოხრილი მარცხენა ხელი. დაძაბულობა-განმუხტვის  
ჰარმონიულ შეხამებას ქმნის მხრის სარტყლისა და თეძოს საპირისპი-  
რო ხაზებიც. თავის დასმაც ფიგურებს მეტ დინამიურობას სძენს. კრი-  
ტიკისის ჭაბუკმა „არქაული ღიმილით“ თუმცა სძლია მკაცრ მედიდუ-  
რობას, მაგრამ ფრონტალური მზერა მაინც შერჩა. შუბოსნის თავის  
მოძრაობა კი მთელი სხეულის ხაზთა ცოცხალ დინებას ერწყმის; დაჭი-  
მული კისრის კუნთი დამაჯერებლად შუამავლობს თავსა და ტანს შუა;  
მისი მიმართულება სავსებით ეხამება მოძრავი ფეხისას.

ავთენტიკურ ნაწარმოებთა სიმცირე მეტად გვიძნელებს ბერ-  
ძნული ხელოვნების სრულ შეფასებას. კლასიკური ხანის ქმნილე-



23. ბერიოელი გოგონა (მაკედონია). დაახლ. 400 ძვ. წ. ბრინჯაო. სიგრძე — 0,25 მ. მიუნისტი, ანტიკური ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.



24. კრიტიოსი, ვაბუკი. დაახლ. 480 ძვ. წ. მარმარილო. სიგრძე — 0,86 მ. ათენი, აკროპოლისის მუზეუმი.

25. მხედრები პართენონის დასავლეთ ფრიზზე. დაახლ. 435 ძვ. წ. მარმარილო. სიგრძე — 1 მ. ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი.

ბათა უმეტეს ნაწილს უფრო გვიანდელი რომაული ასლებით ვიცნობთ. ღიღი ფიდიასის შემოქმედებაზე საყმაოდ მწირი წარმოდგენა გვაქვს, რადგან არც ერთი დედანი არა გვაქვს ხელთ. მისი ოქროსა და სპილოს ძვლის უზარმაზარი ქანდაკებები ათენსა და ოლიმპიაზი, ამ ქვეყნის შვიდ საოცრებას რომ განეკუთვნებოდა, მვიზუალი მასალის გამო აღრევე გინადგურდა. ბერძნული კლასიკური ქანდაკების სწორუპოვარ ნიმუშებზე ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის მხოლოდ პართენონის (სურ. 25) რელიეფები, 92 მეტოპი, 160 მ. სიგრძის ფრიზი, სადაც გამოსახულია საკულტო პროცესია, მიღვნილი ქალმერთ ათენისადმი და ფრონტონის სკულპტურები. პირადად მიიღო თუ არა მონაწილეობა ფიდიასმა ამ ძეგლის შექმნაში, უცნობია. ვარაუდობენ, რომ ფიდიასი მხოლოდ ხელმძღვანელობდა პართენონის მხატვრულ გაფორმებას. ორივე მხედარი, მიუხედავად ბუნებრივი დინამიკისა, ფორმათა მქაცრ ჩაკეტილობას გვიჩვენებს,





26. კლეოფონი, მეომრის გამოთხოვება. დაახლ. 430 ძვ. წ. მიუნხენი, ანტიკური ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

რაც ნიშანდობლივია ამ საუკუნის შუახანების მკაცრი კლასიკისათვის. ცხენსა და მხედარს საერთო სიმძიმის ცენტრი აქვთ, საიდანაც ენერგია მოსჩეფს და უკუმიედინება. ორ მხედარს შორისაც ენერგიით შეკრული შინაგანი დამკიდებულებაა. უკან მიბრუნებულ წინა მხედარსა და ყალყაზე შემდგარ ცხენს შორის ჩნდება დაძაბულობის ველი, რომელიც ამ ჭგუფს ერთდროულად ანიჭებს მოძრაობა-უძრაობას.

დაახლოებით ძვ. წ. 400 წ-დან ეს ჩაკეტილობა ქრება, რაც თვალსაჩინოდ მოჩანს „ბეროიელი გოგონას“ ქანდაკებაში. აქ სხეულის (სურ. 23) ხაზები საერთო სიმძიმის ცენტრში კი არ იყრის თავს, არა-მედ სხეულის ღერძიდან მოედინება. წარმოქმნება ძალდაუტანებელი პოზა და გრაცია, რომელსაც თან ახლავს სულით გამთბარი, ადამიანური გამომეტყველება. ამ უფრო გრძნობისა და ხორციელი სილამაზის გამომხატველმა ქანდაკებამ განვითარების მწვერვალს პრაქსიტელეს

შემოქმედებაში მიაღწია (მოლვაწეობდა IV ს-ის შუა ხანებში). მასი  
მხატვრული თავისებურება ემყარება პლასტიკური ფორმულის გან-  
საკუთრებულ სილბოსა და სინარნარეს, რამაც მას, უმეტესად, უკ-  
ბუქი ღმერთების გამოძერწვის საშუალება მისცა. ბერძენ მოქანდა-  
კეთა შორის პრაქსიტელემ პირველმა გაბედა შიშველი აფროდიტეს  
გამოძერწვა.

### პ ე რ ა მ ი კ უ ლ ი ფ ე რ ჭ ე რ ა

ბერძნული ჭურჭლის მხატვრობის ეს ორივე ნიმუში უკველ ანა-  
ლოგიას ამჟღავნებს ქანდაკების განვითარებასთან. სამოსისა და სხეუ-  
ლის ფორმათა სრული დიფერენცირების მიუხედავად, ადრინდელი  
ლარნაკხატულობა ჩაკეტილ კომპოზიციას გვიჩვენებს (სურ. 26). თავ-  
შეკავებულ სიმშვიდეს დაუპყრია მიხრა-მოხრაცა და გამომეტყველე-



27. მარსისი, პე-  
ლევსი და ოეტი-  
და. ღაახლ. 335  
ძვ. წ. ლონდო-  
ნი, ბრიტანეთის  
მუზეუმი.

ბაც. ხაზების დახვეწილობაში მოჩანს მხატვრის წაღილი, სწეული პლასტიკურად გამოსახოს, ოლონდ ისე, რომ მთელი ქომპოზიციის სიბრტყობრიობას არა ავნოს რა. დაახლოებით ძვ. წ. 355 წლით დათარიღილებული (სურ. 27). ჭურჭლის ნახატი კი სიცოცხლითა და მომხიბლაობით სუნთქვას. აქ, სურათის სილრმესა და სიმაღლეში მოხდენილად განლაგებულ ფიგურათა ჯგუფში, ყოველი მათგანი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს, თუმცა კი, სიღილით, პოზითა და ფერით ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდებიან. I ს-ში, ზოგადსავალდებულო იდეალურმა ტიპმა გზა დაუთმო IV ს-ის დამოუკიდებელ პიროვნებას.

## ელინისტური ხელოვნება




ალექსანდრე დიდის  
სიკვდილთან ერთად (ძვ. წ.  
323 წ.) დასრულდა საბერ-  
ძნეთის ისტორიის ერთი  
ეპოქა. ამ ეპოქისათვის და-  
მახასიათებელი იყო სი-  
ტყვითა და საქმით დაეც-  
ვათ „პოლისის“ (ქალაქ-სა-  
ხელმწიფოს) ინტერესები,  
მისი სავალდებულო, ზეპი-  
როვნული ტრადიცია. ალექ-  
სანდრე მაკედონელის მემ-

28. დელოსელი მამაკაცის თავი,  
I ს. ძვ. წ. ბრინჯაო. სიგრძე —  
32 სმ. ათენი, ეროვნული მუ-  
ზეუმი.

კვიდრეთა შორის ატეხილმა დავამ იმპერია ცალკე სამეფოებად და-  
შალა. დიდ სივრცეზე გაშლილი ბერძნული კოლონიები ხმელთაშუა-  
ზღვის აღმოსავლეთ აუზსა და წინაპირის სრულიად ტმრულდე-  
ბელ სახელმწიფოებად იქცა. სათავე დაედო ბერძნულ კულტურის  
გაგრცელების მსოფლიო-ისტორიულ პროცესს, რომელიც, ელინიზ-  
მის სახით, რომის ჰეგემონის დროსაც გრძელდება. ამ ეპოქის ხე-  
ლოვნება გამოიჩინა კოსმოპოლიტური განცდითა და აზროვნებით.  
იგი უფრო ამქვეყნიური და რეალისტური გახდა. მან დაკარგა თავი-  
სი მაღალი იდეალური მიზანსწრაფვა. ერთის მხრივ, ის ასახავს თვა-  
ლისმომჭრელ ფუფუნებას, ხოლო, მეორე მხრივ, შემაძრწუნებელი  
პირდაპირობით აშიშვლებს ადამიანურ ვნებათა უფსკრულებს. ელი-  
ნიზმა პირველმა ასახა ხელოვნებაში ის, რაც ზოგადადამიანურია: გალრმავებული თვითცნობიერებაცა და საკუთარი უმწეობის შეგნე-  
ბაც, ამქვეყნიური სიხარულიცა და მწუხარებაც, სიმახინჯეცა და  
მშვენიერებაც.

## ა რ ძ ი თ ე გ თ უ რ ა

თუ აქამდე არქიტექტურა მხოლოდ საკულტო მიზნებს ემსახუ-  
რებოდა, ამიერიდან გაჩნდა სამეფო კარის ბრწყინვალე საერო ნაგე-  
ბობები პერგამონში, ალექსანდრიაში, ანტიოქიასა და ათენში. ეს  
არის ვეებერთელა სასახლეები, ბიბლიოთეკები, სკოლები და აკადე-  
მიები. სატახტო ქალაქები ახლებურად დაიგეგმა, მოედნები მკაც-  
რად მოიხაზა. მაგალითად, ათენის აკორა, თავდაპირველად რომ აკ-  
როპოლისივით დამოუკიდებელი ორგანიზმი იყო, ახლა უკვე სის-  
ტემურად დანაწევრდა ორი სწორხაზოვანი სასეირნო გალერეისა და  
გრძელი, სვეტებიანი ფასადის მეშვეობით. V ს-ის ძველი სტოა, წარ-  
მოსადეგობის მიზნით, გადიდდა. მას მიუშენეს ორსართულიანი ფა-  
სადი ერთმანეთზე შემდგარი დორიული (ქვემოთ) და იონური სვე-  
ტებით, აგრეთვე — ვრცელი პასაჟები მიმდებარე სავაჭროებითა და  
დაწესებულებებით. ელინისტური არქიტექტურის ბრწყინვალე ნი-  
მუშია პერგამონის საკურთხეველი; ეს ვრცელი დარბაზული ნაგებო-  
ბა (სურ. 29) დაახლოებით ძვ. წ. 170 წ. აშენდა. მართალია, იგი საკულ-  
ტო მიზნებს ემსახურებოდა, მაგრამ, ყველა ნიშნით, საერო ცერემონიე-



29. პერგამონის საკურთხეველი. დაახლ. 170 ძ. წ. დასავლეთის რესტავრირებული ნაწილი პერგამონის მუზეუმში, ბერლინი. საერთო სიმაღლე — 9 მ.

ბისთვის განკუთვნილი შენობაა. მეტად შთამბეჭდავია შენობაში ამავალი კიბე. იგი გათვალისწინებულია სასულიერო და საერო წრის დიდებულთა საზეიმო მსვლელობისათვის, რომელსაც მოწიფებით შესკეროდა სულგანაბული ხალხი. ღვთის სახლი ამა ქვეყნის ძლიერთა ოეატრალურ სცენად იქცა.

### ჩანდაგება და გადატვირთვა

ელინისტურ ქანდაკებაში ცხადად ვლინდება სამყაროს ახლებური ცოდნა. მკაცრ საზოგადოებრივ წესრიგს თავდალწეული ადამიანი ან ხაზგასმით თავდაჯერებულია, ან არსებობის ახალ შიშს შეუპყრია. თავდაჯერებული ადამიანის მაგალითია ე. წ. „ანციუმელი ქალიშვილი“. მისი შემართული (სურ. 30) ღვომა და ლალი პოზა (ტანის მობრუნება რომ აძლიერებს) ქალიშვილის დამოუკიდებლობას გახაზავს. ხელნაწერში ჩაღრმავებით იგი გარემოს გამიჯვნია, ე. ი. მხოლოდ საკუთარი ნება-სურვილის მცნობი ინდივიდია. ღელოსელი მამაკაცის (სურ. 28) თავი კი ფესვებმოწყვეტილი ადამიანის ტრაგედიაზე მეტყველებს. ელეგიურად სასოწარკვეთილი, იგი მომავალს უიმედოდ

შესცერის. ამ სახეს აქლია ის კეთილშობილი უშფოოთველობა, კლა-  
სიური ხანის ქანდაკებებში რომ გამოსჭვივის. მისი ხორცისფერობა  
ნერვული ნაოჭებითაა დაღარული, რაც რეალისტურ იერუსამინის გადა-  
ელინისტურ პლასტიკას თან სდევს სულიერი გაორებულობა, რაც  
ცხადად მოჩანს იმჟამინდელი ქანდაკების ოკრო-ბოკრო და მოქიშპე



30. ქურუმი ქალი, ე. წ. ანტიუმელი ქა-  
ლიშვილი. III ს. ძვ. წ. მარმარილო.  
სიგრძე — 1,70 მ. რომი, თერმების  
მუზეუმი.

ფორმებში. ლაოკონის ჯგუფის (სურ. 31) დიაგონალური კომპოზიცია ამ სამი ფიგურის ბრძოლას ფორმის მხრივაც დიდ დრამატულობას სძენს. თუ კლასიკურ ქანდაკებაში შიშველი სხეული აღამიანის სრულ-ყოფილების იდეალს გამოხატავს, აյ იგი პანიკურ მღელვარებას გაუმ-სჭვალავს. მამის თავგანწირული ბრძოლა ეფექტურად უპირისპირ-

31. ლაოკონისა და მისი ვაჟების სიკ-  
ვდილი. I ს. ძვ. წ. მარმარილო. სიგ-  
რძე — 2,42 მ. რომი, ვატიკანის მუ-  
ზეუმი.





32. კედლის ნახატი ჰერკულანუმის ბაზილიკაში (ალბათ, II ს-ის დედნის შიხედვით): ჰერაკლემ პეოვა ტელეფოსი. ნეაპოლი, ეროვნული მუზეუმი.

დება ბიჭების შიშით გარინდებულ სხეულებს. ეს არის ადამიანის ჰეროიკულ-პათეტიკური შებმა ბედისწერის ულმობელ ძალებთან, რასაც მოძრაობაში მოჰყავს ცოცხალი არსების ბუნებრივი ვნებები: ტანჯვა, გახელება, ამხედრება და თვითგადარჩენის ყოვლისწამლე-კავი სურვილი. სხეულთა და ძალთა ასეთივე ჭანყია გამოსახული

პერგამონის საკურთხევლის ფრიზზე (სურ. 29). ღმერთების სასტიკი ბრძოლა გიგანტებთან შემზარავი პარაბოლაა იმ თავგანწირული შემართებისა, რითაც მაშინდელი საბერძნეთი დასავლეთიდან შემირცეს რომს წინ აღუდგა.

ელინისტური მხატვრობის რაიმე ღირსშესანიშნავ ნაწარმოებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ დანგრეული პომპეიისა და ჰერკულანუმის კედლის მხატვრობა (ჩვ. წ. 79 წ.) გვაფიქრებინებს, რომ მათ წინ უძლოდა ძვ. წ. II ს-ის ელინისტური ორიგინალები.

მითოლოგიური სცენა — „ჰერაკლემ ჰპოვა ტელეფოსი“ — კომპოზიციურად დახვეწილი სურათია. აქ ცალკეული დეტალი (სურ. 32) დიდი ფერწერული სინატიფით არის დამუშავებული, თუნდაც სულ განაპირას დახატული ხილის ნატურმორტი რად ღირს. ფიგურების ნატიფი სილამაზე და ფიქრში წასული სახეები, აგრეთვე, ლომისა და ზეგვის არწივის ცნობილი სიმბოლიკა სრულ უფლებას გვანიჭებს, კედლის მხატვრობის ეს ნიმუში გვიანელინისტურ ხელოვნებას მივაკუთვნოთ.

## გერძეული მოდა და ავეჯი

თუ ბერძნული ავეჯის სტილზე რაიმე ვიცით, ამას ჭურჭლის მხატვრობის დღემდე მოღწეულ მრავალრიცხვან ნიმუშს უნდა ვუმადლოდეთ. სწორედ აქ არის ასახული ბერძენთა ყოველდღიური ცხოვრება. რელიგიურ-იდეოლოგიური დოგმებით შეუბოჭივი მხატვარი ავერწერს თავისი გარემოს ყოფას, ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებს, ე. ი. იმას, რაც არასოდეს ქცეულა მონუმენტური სახვითი ხელოვნების საგნად.

კერამიკული ფერწერა (და ამაშია მისი შემდგომი რეკონსტრუქციის სიძნელეც) ცალკეული ავეჯის ორნამენტს, ფორმასა თუ აღნაგობას გამარტივებული კონტურით გაღმოგვცემს. დაზგური და



კედლის მხატვრობისაგან განსხვავებით, უკვე კლასიკურ ეპოქაში აღმოჩენილი ალობას განსაცვიფრებელი მხატვრობით აგვიწერს, ჭურჭლის მხატვრობა ამ რეალობას, უპირატესად, სიბრტყობრივად გაღმოგვცემს. ამიტომ ზოგჯერ გვიჭირს დაბეჭითებით ვთქვათ, ესა და ეს ლენტური ორნამენტი მხოლოდ

33. ნახატი ატიკურ ლეკითოსზე (ბერძნული ჭურჭლია).  
დაახლ. 435 ძვ. წ. მიუნხენი,  
ანტიკური ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ფერწერულია, თუ რელიეფური. V ს-ის ზოგი რელიეფური გამოსახულება გვაფიქრებინებს, რომ ფუფუნებისათვის განკუთვნილ ავეჯზე მაინც, ჩუქურთმა და ფიგურები ამოკვეთილია. კერამიკული ფერწერის მონოქრომია ვერაფერს გვამცნობს ბერძნული ავეჯის ფერზე. საფიქრებელია, რომ უბრალო ავეჯი შეულებავი იყო, ხოლო ძვირფასი თუ საზეიმო დანიშნულების ავეჯი, პირიქით, მკვეთრი ფერებით იყო მოხატული, რაც ასე დამახასიათებელია ბერძნული ტაძრებისათვის (სურ. 7).

ჩვენამდე მოღწეულ ყველა სურათზე ბერძნული ავეჯი გამოიჩევა სისადავით. საბერძნეთში ჭერ კიდევ არ ჩანს ის ნატიფი საყოფაცხოვრებო კულტურა, უფრო გვიან რომ გაჩნდა ალპებს გაღმა, მეფეთა და დიდგვაროვანთა პალატებში. დასაჯდომად (სურ. 34) ბერძნები ძირითადად იყენებდნენ უზურგო და დასაკეც სკამებს, კლასიკური ხანიდან — სავარძელსაც. უზურგო სკამს აქვს კუთხოვანი, ან მრგვა-


34. დურისი, თამაზე შესრულებული ნახატი. დაახლ. 480 ძვ. წ. ბერლინი, სახელმწიფო მუზეუმი.



35. ჰერაკლე ანდოქიდეს ამფორაზე. დაახლ. 510 ძვ. წ. მიუნხენი, ანტიკური ხელოვ-  
ნების სახელმწიფო მუზეუმი.

ლად გამოთლილი ფეხები. სწორედ ეს უკანასკნელი გვაფიქრებინებს, რომ ბერძნებმა უკვე იცოდნენ სახარატო ხელოვნება. სკამისა და სა-  
ვარძლის ფეხები ხის რიყებითაა ჩამაგრებული კიდესთან. ისინი ზოგ-  
ჯერ დეკორატიულად დამუშავებული ბურთულებით ბოლოვდები-  
ან. მათ იყენებდნენ საჯდომი ბალიშის დასამაგრებლადაც. დასაჭ-  
დომი ტყავისაგან ან სხვა რამ ღვედისაგან იწვნებოდა; ზედ, მოხერ-  
ხებულობისათვის, თხელ ბალიშს დებდნენ. დასაკეც სკამს, რომე-  
ლიც ბერძნებმა ეგვიპტელთაგან გადმოიღეს, ორი ფეხი მაკრატელი-  
ვით აქვს გადაჭვარედინებული. მათს შემაერთებელ ჰორიზონტა-  
ლურ ფიცრებზე ტყავია გადაჭიმული. ეს სკამი თანამედროვე სამ-  
გზავრო სკამის წინამორბედია. სავარძელი, როგორც ჩანს, წმინდა  
ბერძნული წარმოშობისაა (სურ. 33). საზურგითა და ფეხებით იგი  
ძლიერ ჩამოჰვავს სკამის იმ ტიპს, დღესაც რომ ვხმარობთ.

სკამლოვინი (სურ. 35) საწოლიცაა და მოსასვენებელიც, ე. ი. სა-



დილობის ჟამს, ან ნადიმობისას მამაკაცთა მხართებოზე წამოსაწოლიც. სასოფლო იონურ სვეტისთავისნაირ შემაღლებას ბალიშის დასადებად ან მხარმკლავის დასაყრდნობად ხმარობდნენ. როგორც ჩანს, სკამლოგინზე ლეიბის მაგვარი ქვეშაგები იდო, ორნამენტით გარშემოვლებული. ორნამენტიდ იყენებდნენ: პალმეტებს (სტილიზებულ პალმის ფოთლებს), როზეტებსა (ვარდულს) და მეანდრის სარტყელს (ტეხილ ან კლაკნილ ლენტურ ორნამენტს). როზეტებს შორის ხშირად გეხედება ბოლოებშეხრილი სვასტიკა, ანუ ინდოგერმანული მზის სიმბოლო. პატარა, უბრალო მაგიდას, რომლის ფეხებიც, ჩვეულებრივ, ცხოველის თათებით ბოლოვდება, საჭმელ-სასმელის გასაწყობად იყენებდნენ. ერთი რამ არის მხოლოდ გაურკვეველი: მაგიდის ზედაპირის პარალელურ ძელს, ფეხებს რომ აერთებს, ასევე სუფრად იყენებდნენ, თუ ფეხების გასამაგრებლად.

მოდა ჩვ. წ. II ს-მდე, უმეტესად ხალვათად მორგებული ტან-

საცმლის დანაოჭებით იფარგლება, თუმცა, წელში გამოყვანასთან ერთად, უკვე გაჩნდა გამოჭრის ხელოვნებაც. ძველრომაული კულტურის მიწურულამდე, ბიზანტიაში ქალისა და მამაკაცის სამოსში ახლოებით ერთნაირია. ძირითადად იყენებდნენ შალის ხნ სულის ქსოვილებს იმ სახით, საქსოვი დაზღა რომ ამზადებდა, ე. ი. დაუჭრელად. ყველაზე სადა სამოსია დორიული პეპლოსი. ეს არის მხრებზე დამაგრებული, ან ბალთით შეკრული კაბა, რომელიც მხრებიდან თვაისუფლად ეშვება, ან თეძოზე სარტყლითაა შეკრული; ზემოდან კი განიერი მოსასხამი ეცვათ. VI ს-ში მცირე აზიიდან მოღაში შემოდის ქიტონი. იგი ორმხრივ ჩაკერილია; გული მრგვალადაა ამოჭრილი. თუ ქსოვილი ბევრია, ქიტონი მკლავებზეა ჩამოშვებული, თითქოს სახელოაო, ხოლო თუ ზედმეტად გრძელია, ქამარს ირტყამდნენ და ქიტონს ზემოდან გადმოუშვებდნენ ხოლმე. ასეთ სრულ,



36. ბრიგოსი, ნახატი კალათოსზე (ბერძნული ჭურჭელია). დახლ. 475 ძვ. წ. მიუნხენი, ანტიკური ხელოვნების სახელმწიფო. მუზეუმი.

გამობერილ ნაოჭებს კოლპოსი ერქვა (სურ. 33). სახელოიანი ქიტონი (სურ. 36) საბერძნეთში იშვიათია. აქ მოსასხამად ხმარობდნენ ჰიმა-ციონის. იგი მთელ ტანს ფარავდა, ან უფრო მოკლე იყო და ასიმეტრიულად (სურ. 36) ცალ მხარზე (უმეტესად მარცხენაზე) მაგოლებოდა. გრძელი ჰიმაციონი (სურ. 35) მამაკაცის ერთადერთი სამოსი იყო, რომელსაც აღვილად იხდიდნენ გიმნაზიებში სპორტული ტანვარჯიშის დროს. IV ს-დან იგი, ასე ვთქვათ პოეტთა და ფილოსოფოსთა (სურ. 37) წოდებრივ სამოსად იქცა. ჭურჭლის მოხატულობაში ზოგჯერ მცირე აზიდან შემოსულ შარვალსაც წააწყდებით, მაგრამ მას მხოლოდ „ბარბაროსები“, ანუ არაბერძნები იცვამდნენ.

## რომაული ხელოვნება

წმინდა სტილისტური თვალსაზრისით, რომაული ხელოვნება უშუალოდ უკავშირდება გვიანელინისტურს, თუმცა გასათვალისწინებელია ეტრუსკული კულტურის გარკვეული ზეგავლენაც. ამის მიზეზი სრულიად ნათელია: როცა რომმა ძვ. წ. III ს-ში სამხრეთ იტალიისა და სიცილიის ბერძნული პროვინციები შემოირთა, ხოლო II ს-ში საბერძნეთის მიწაზეც მოიკიდა ფეხი, მას აქ დახვეწილი და დიდად განვითარებული კულტურა დახვდა. მეომართა და გლეხთა სახელმწიფო მყისვე დაეპატრონა ამ კულტურას. ანტიკური ხანის რომაელის იმპერიულ აზროვნებასა და ქცევას დიახაც რომ შეეფერებოდა არა მხოლოდ ტერიტორიულად გამდიდრებულიყო მეზობლის ხარჯზე, არამედ მისი კულტურული მონაპოვარიც უყოყმანოდ ჩაეყენებინა თავისი ქვეყნის სამსახურში. ყოველ შემთხვევაში, კეისართა ხანამდე ეს ანექსია მტაცებლური იყო. დიდალი განძი გაზიდეს საბერძნეთიდან. ამ განძით მორთეს რომის საზოგადოებრივი აღილები, მოედნები, ბალები და სასახლეები. ბერძენი მხატვრები, სწავლულები და



37. სოფოკლეს ქანდაკება. IV ს.  
ძვ.წ. ომაული ასომთავრული  
ლატერანი. გიგანტური ფრესკი

პოეტები მონებად ჩამოიყვანეს იტალიაში; ისინი დამპყრობლებს მას-  
წავლებლებად და აღმზრდელებად მიუჩინეს. ამით რომს მოეხსნა  
აუცილებლობა, ეზრუნა საკუთარი ხელოვნების განვითარებისათვის.  
რომაელნი ტებებოდნენ ბერძნული ხელოვნების სხვადასხვა საფეხურ-  
ზე შექმნილი ორიგინალური შედევრებითა და შეკვეთილი ასლებით.  
ამით რომი უშუალოდ შეეხო ხელოვნების იმ პერიოდს, როცა მან და-  
კარგა საკულტო მნიშვნელობა და დეკორატიულ ხელოვნებად, ანუ  
ესთეტიკურ თვითმიზნად იქცა.

გვიანელინისტურ-რომაული ხელოვნების ეს პირველი ფაზა, წმინ-  
და იმპორტული კულტურის ყველა ნიშანს რომ ატარებს, კეისართა  
ხანიდან ახალი საფეხურისაკენ შემობრუნდა. რომი უკვე ლამობს, თა-  
ვი დააღწიოს ძველ დიდოსტატთა ზეგავლენას. მართალია, სხვადასხვა  
ბერძნულ სტილს კვლავაც იყენებენ, მაგრამ გაჩნდა სრულიად ახალი  
მიზანი. ხელოვნება უკვე უშუალოდ მიმართავს რეალურ სინამდვი-

ლეს და ცივილიზატორულ-პოლიტიკური ამოცანების სამსახურში  
დგება.

პორტრეტულ გამოსახულებებში გაქრა ადამიანის ზოგილი, ილუ-  
ლიზებული ტიპი. ჩვენს წინაშეა პიროვნულ-ისტორიულად განუმეო-  
რებელი ინდივიდი. სატრიუმფო თაღთა (სურ. 42) ვრცელ რელიეფსა



38. ავგუსტუს პრომაპორტრელი. დაახლ. 14  
ჩვ. წ. მარმარილო. სიგრძე 2.01 მ.  
რომი, ვატიკანის მუზეუმი.


და გრძელ, საზეიმო სვეტებზე ოლბეჭდილია იმპერატორთა და მთავარ-სარდალთა გამარჯვებები (სურ. 45). რომაული ხელოვნების უსტინტანცია სწრაფვა ყველაზე ცხადად ხუროთმოძღვრებაში აისახა. დარღვევა ვითარებულ რომაულ სამშენებლო ტექნიკასთან ერთად, არქიტექტურა უთამაშეს კონსტრუქციებს ქმნის, რათა მანამდე არსებული ყველა ბერძნული ნაგებობა დაჩრდილოს. ბერძნული ხელოვნებისათვის, უმთავრესად, ამოსავალია სწორი ხაზი, შვეული სვეტი, ჰორიზონტალური ანტაბლემენტი და სამკუთხა სახურავი, ხოლო ტიპური რომაული ხუროთმოძღვრების ქვაკუთხედი მრუდი ხაზია. მას ეწადა შეექმნა რაღაც დიადი, გაბედული, თვალში მოსახვედრი. მაგრამ ამ ვეება შენობებისათვის ალარ გამოდგებოდა კოჭოვანი გადახურვა ურიცხვი, ხელისშემშლელი სვეტებითურთ. რომაელებმა ესეც მოაგვარეს მრგვალი თალის, კამარისა და გუმბათის შემწეობით. ამგვარ სამშენებლო ტექნიკას ეგვიპტესა და მცირე აზიაშიც იცნობდნენ, ოლონდ მისთვის მაინცადამაინც დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ. რომში კი თალის ხმარება იმდენად გახშირდა, რომ მისი აღმნიშვნელი სიტყვა (arcus — რკალი) ხუროთმოძღვრების ახალი და სამუდამო სახელწოდების — „არქიტექტურის“ — შესაქმნელად გამოიყენეს.

#### პრიტეზტურა

თუ ძველი რომის რეკონსტრუქციის თვალს გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ ჩვენს წინაშეა ლამის თანამედროვე მასშტაბის დიდი ქალაქი. ავგუსტუსის მეფობაში ამ ქალაქს მილიონზე მეტი მცირდრი ჰყავდა (დღეს 1.8 მილიონია). აქ იყო ხუთსართულიანი გასაქირავებელი ყაზარმები, ვეება სპორტული თუ სათეატრო შენობები, წყალმომარაგების სისტემა, რომელსაც ერთ სულ მოსახლეზე უფრო მეტი წყლის მიწოდება შეეძლო, ვიდრე ამჟამინდელ წყალგაყვანილობას. რომის შემოგარენიდან მთის ანკარა წყალი დაბრილი მილებით შეუფერხებლად ჩაედინებოდა ქალაქში. ავგუსტუსის დროს რომში თოთხმეტი ასეთი დიდი წყალგაყვანილობა იყო. მათი საერთო სიგრძე 2100 კმ-ია, ყოველდღიური წყალგამტარობა კი — ერთ მილიარდ ლიტრზე მეტი. დიდი ველების მოსარწყავად იყენებდნენ უზარმაზარ (სურ. 44) ხილისმაგვარ აკვედუკებს. ისინი რომაელ-




თა ერთერთი ყველაზე შთამბეჭდავი საინჟინრო ნაგებობებია და შენ-  
 დებოდა რომაელთა მიერ შემოღებული თაღოვანი კონსტრუქციით.  
 მრგვალი თაღის სიმტკიცე მიღწეულია სოლისებრ ქვათა ჩაწყობით. ეს  
 ქვები, თავიანთი დატვირთვით, მყარ ერთიანობას ქმნიან. რომაელებ-  
 მა თუმცა იციან დუღაბი, როგორც შემაერთებელი საშუალება, მაგ-  
 რამ ასეთ თაღოვან კონსტრუქციებს ზოგჯერ უდუღაბოდაც აშენებ-  
 დნენ. მრგვალ თაღში წარმოქმნილი განმბრჯენი ძალები მეზობელ  
 თაღს გადაეცემა, და ასე შემდეგ, ვიდრე, ბოლოს, ფერდობზე, მიწის  
 საძირკველში არ ჩაიკარგება. მრგვალი თაღები ქმნის ჩაკეტილ ოვა-  
 ლურ სისტემას, საღაც განმბრჯენი ძალები ერთმანეთს აბათილებს.



39. რომი, პანთეონი. აშენ-  
 და აღრიანეს დროს.  
 120 — 125 ჩ.წ. წ.


40. რომი, კონსტანტინეს  
 ბაზილიკა. 312 ჩ.წ. წ.


 41. რომი. პორტუ-  
 ნუსის რეზიდენცია  
 უკაფის უძინაშაო კარ-  
 დაახლ. 70 მე. წ.  
 სიმაღლე — 15 მ.




მაღლივ შენობებში თაღედები ერთმანეთზეა დაშენებული სართუ-  
ლებად. მაგალითად, კოლიზეუმში სამი ასეთი სართული 48 მ. სი-  
მაღლეს აღწევს.

კერძო საცხოვრებელ სახლსაც რომაელი მეტი ყურადღებით  
ეპყრობოდა, ვიღრე ბერძენი. შიდაეზოს (ატრიუმის) გარშემო თავ-  
მოყრილია უამრავი საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობა. ატრი-




42. ტიტუსის თაღი  
 რომში. 81 ჩე. წ.



13. რომაული სახლის სქემა. ეს სახლი, ბერძნულის ზეგავლენით, ბერისტილით გარეობრივდა.

უმის (სურ. 43) ცენტრში აუზია, იმპლუვიუმი, რომელშიაც სახურავიდან ჩამოსული წვიმის წყალი გროვდება. აქ ნაჩვენები რომაული სახლი პერისტილით დიდდება. ამ პატარა, სვეტებით გარშემორტყმულ ბაღს სხვა სათავსებიც ეკვრის.

რომაელთა მრავალ საერო ნაგებობებს შორის ბაზილიკაც უნდა მოვიხსენიოთ, მით უმეტეს, რომ იყი, აღორძინების ეპოქამდე, მთელს შემდგომ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაშია გამეფებული (სურ. 40). რომში ბაზილიკა ბაზრის, სასამართლოს ან რამეთ თავყრილობის დაბაზია. ამ უმეტესად სამნავიან, ზოგჯერ კი ხუთნავიან ნაგებობაში, გვერდით ნავთა შორის უთუოდ შუანავია ამოწვდილი. უბრალო ბაზილიკები, ჩვეულებრივ, გადახურულია ორფერდა ან ცალფერდა (გვერდით ნავში) სახურავით. სხვა შენობებს კი, მაგალითად, კონსტანტინეს ბაზილიკას, კამაროვანი გადახურვა აქვს. აქ გვერდით ნავებს ცალინდრულ-კამაროვანი გადახურვა აქვს, ხოლო შუანავს — გვრულ-



44. რომაული წყალგაყვანილობა.  
რტუზნიშვილის ფოტო  
მდგრადი წერტილი  
მიეღინებოდა  
ზემოთ მოთავ-  
სებულ ღარში,  
რომელსაც მზი-  
საგან გადახურ-  
ვა იფარავდა.

45. ტრაიანეს სვეტი  
რომში. 114 ჩვ.  
ჭ. რეზიეფიანი  
ფრიზი, 200 მ.  
სიგრძისა.

კამაროვანი (ცილინდრულ კამარას (სურ. 121) ნახევარცილინდრის ფორმა აქვს, ჯერულს კი (სურ. 122) სწორ კუთხეში ორი ცილინდრის გადაკვეთა წარმოქმნის). კამარების აგებაში რომაელთა დიდ გამოცდილებაზე მეტყველებს კონსტანტინეს ბაზილიკის (სურ. 40) მოცულობა: შუანავი სიგრძით 60 მ, სიგანით — 25 მ, ხოლო სიმაღლით — 35 მ-ია.

საკულტო მშენებლობის საქმეში რომი ნაკლებად ორიგინალურია. სწორკუთხა ტაძარი ჩამოკვავს ბერძნულ პროსტილოსს (სურ. 11). კეისრობამდელ ტაძრებში, ეტრუსკული ნიმუშების მიბაძვით, მთავარი სათავსის (ცელას) კედელი სვეტთა მწკრივს ზედ ეკვრის (სურ. 41). საფეხურებით გარშემორტყმული ბერძნული ტაძრის სტილობატისაგან განსხვავებით, ყრუ და მაღალი პოდიუმი(ქვის ფუძე) წმინდა რომაულია. სვეტებიანი შესასვლელი და გარეთა კიბე რომაულ ტაძარს მკაცრად აკავშირებს გარემოსთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ტაძარი ქუჩის მთავარ ხაზთანაა ინტეგრირებული. რომაულ საკრალურ ნა-

გებობათა შორის თვითმყოფადობით გამოიჩინა პანთეონი (სურ 39). იგი, როგორც ცენტრული ნაგებობა, ბერძნულ მრგვალ ტაძლის გარეთ მხედველობაში არ მივიღებთ პორტიკუსს, რომელიც, ალბათ, გვიანდელი მინაშენია, პანთეონი შედგება ცილინდრული, უსარქმლო ქვედა შენობისა და ზუსტად ნახევარსფერული გუმბათისაგან, რომლის ღიამეტრიც 43,40 მ-ია. ვინაიდან ცილი-



ნდრის სიმალლე ტოლია გუმბათის რადიუსისა (ე. ი. 21,70 მ-ია), ხოულ  
სფეროდ ქცეული ნახევარსფერო გუმბათისა სწორედ რომ შინაგან ფურ  
ხობოდა. ამ ანტიკური ხანის მრგვალმა ტაძარმა, ჩვენამდე უკითხდული  
მა რომ მოალწია სრულყოფილი სახით, დიდი ბიძგი მისცა გუმბათების  
მშენებლობას აღორძინების ეპოქაში.

## განდაკება

ქანდაკება მჭიდროდ უკავშირდება რომაელთა პოლიტიკურ, სა-  
ზოგადოებრივსა და პირად ყოფაცხოვრებას. რეალისტური პორტრე-  
ტული ხელოვნება სათავეს იღებს ეტრუსკების წინაპართა კულტი-  
დან. მათ წესად ჰქონდათ, ნილაბი იელოთ მიცვალებულისაგან, რათა  
ის ხსოვნაში შემოენახათ. შესაბამისად, არც რომაული პორტრეტუ-  
ლი ბიუსტია ზეპიროვნული, იდეალური ხატი ადამიანისა, ანტიკურ  
სახერძნეთში რომ იქმნებოდა. იგი რეალისტურად გამოსახავს სრუ-  
ლიად გარკვეულ პიროვნებას. ნატურალიზმის გასაძლიერებლად,  
თვალები ხშირად (სურ. 46) ფერადი მინანქრით არის მოპირკეთებუ-  
ლი, რაც სახეს ცოცხალ გამომეტყველებას აძლევს. ბერძნულისაგან  
განსხვავებით არც რომაელთა მონუმენტური ქანდაკებაა მაღალი  
იდეალებით შთაგონებული. მას იხილავთ საზოგადოებრივ ადგილებ-  
ში, ლამაზ ქუჩებში, თეატრებსა და არენებზე, როგორც არქიტექტუ-  
რის დეკორატიულ მორთულობას, თვალის სამებლად ან იმპერიის  
დიდ პოლიტიკოსთა თუ მხედართმთავართა განსაღილებლად. მაგალი-  
თად, ავგუსტუსის ცნობილი ქანდაკება (სურ. 38) რიტორიკული ჟეს-  
ტით ცდილობს გარემოსთან კონტაქტის დამყარებას; თანაც, იმპერა-  
ტორის ჭაბუკური იერი და აშკარად იდეალიზებული გარეგნობა მის  
მიმართ სიმპათიას აღძრავს. რომაული ქანდაკება თუმცა სამგანზომი-  
ლებიანია, მაგრამ პირწმინდად ფრონტალური აღქმისთვისაა ჩაფიქრე-  
ბული და წოდება-თანამდებობის ყველა რეალურ ატრიბუტს ატარებს.

დიდ პოლიტიკოსთა პიროვნების კულტს ემსახურება მძლავრი  
სატრიუმფო სვეტებიც. ისინი იდგმებოდა ადამიანის საქმეთა და წარ-  
მატებათა საღილებლად. 200 მ. სიგრძის ტრაიანეს სვეტი ბოძზე სპი-  
რალურად დახვეული ფრიზია, სადაც ურიცხვ მცირეფიგურიან რე-  
ლიეფზე (სურ. 45) დოკუმენტურად არის ასახული იმპერატორის გა-

მარჯვება დაკიელებზე. ქვემოთ სრულიად გარკვევით მოჩანს რომაელთა მხედრიონის გადავლა დუნაიზე. ამგვარი მონუმენტური ტეგების ვერ შეფასდება მხატვრულ-სტილისტური ლირსების თვალსაზრისით; აյ შინაარსის სისწორეა მთავარი. სვეტი 18 მარმარილოს დოლისაგან შედგება. თითოეულის დიამეტრი 350 სმ-ია, ხოლო სიმაღლე — 30 მ. კვადრატულ ფილაზე ტრაიანეს ქანდაკება დგას; ცყვოლში იმპერატორის ფერფლია ჩატანებული.



46. რომაელი პატრიციელი რესპუბლიკის დაარსების ხანაში, ე. წ. „ბრუტუსი“. III ს-ის დასაწყისი. ბრძანები. სიგრძე — 32 სმ. რომი, კონსერვატორთა სახლე.

არქიტექტურისა და ქანდაკებისაგან განსხვავებით, მხატვრობაში ძნელდება იმის დაღენა, რაც გვიანელინისტურ ფორმათა ტექ-პურ რომაულ განვითარებაზე მიგვანიშნებს. ჩვენამდე შოალწია გვიანელინისტური ხანის შედევრთა ასლებმა, ან თავისუფალმა ვარიაციებმა. როგორც ჩანს, ანტიკურ საბერძნეთში, V საუკუნეში, უკვე იქმნებოდა ისეთი ნახატები, რომელთა ილუზიონიზმი მაშინაც აღ-



47. ნაესადგურის ხელი. სტაბის ფრაგმენტი. ღაახლ. 25 ძვ. წ. სიგრძე — 24 სმ. ნეაპოლი, ეროვნული მუზეუმი.



48. ქალიშვილის პორტრეტი. პომპეის კედლის მხატვრობა. სიგრძე — 32 სმ. ნეაპოლი, ეროვნული მუზეუმი.

ტაცებას იწვევდა. საბერძნეთისაგან ამ მეტად დავალებულ მხატვრობას ჩვენ ვიცნობთ პომპეის, ჰერკულანუმისა და სტაბიას კარგად გადარჩენილი ნიმუშების წყალობით. ძვ. წ. 150 წ.-დან ვეზუვის ამოფ-რქვევამდე, რასაც შედეგად მოჰყვა ამ ქალაქების სრული განაღენება (ჩვ. წ. 79 წ.), შეგვიძლია გამოვყოთ მხატვრული სტილის ოთხი

საფეხური, შემდეგ რომ შეამზადეს მთელი ევროპული მხატვრობის გამომსახველობითი შესაძლებლობები. ესენია: 1. კორუქებულებული სპექტიული სივრცის აღმოჩენა, რა თქმა უნდა, ხაზოვნებული ტივისი იმ კანონთა ცოდნის გარეშე, რომლებიც რენესანსის მონაცოვარია; 2. სივრცის ილუზია (სურ. 47) ფერ-ჰაერის პერსპექტივით; 3. ფიგურის მოდელირება შუქ-ჩრდილის მეშვეობით; 4. უანრული და ნატურმორტული ფერწერა (სურ. 32). აქ ნაჩვენები ნავსაღვურის სურათი ბაროკოს პერიოდური მხატვრობის ერთგვარი წინამორბედია, სადაც დამაჯერებლადაა გაღმოცემული, ერთის მხრივ, ქალაქის ლანდშაფტის (სურ. 47) დეტალები (შუქურა, წყალსაკვეთი, მეოვეზეთა ნავები, ტაძრები, სვეტებიანი დარბაზები და სხვა), ხოლო, შეორე მხრივ — ჰაერის შეგრძნება სინათლის ეფექტებითა და წყლის ანარეკლებით. მომხიბლავი „ახალგაზრდა ქალის პორტრეტი“ ლამის იმპრესიონისტული ფერწერისათვის დამხასიათებელი მანერით წარმოგვიდგენს ოცნებიან განწყობილებას. ფიქრებში წასულ ქალს ცვილის დაფაზე წერა შეუწყვეტია და გრიფელი ტუჩთან მიუტანია, თითქოს თავისი ფიქრის გამოსახულება მარჯვე სიტყვას ეძებს. უფრო ნაზ და თვალწარმტაც ქალიშვილს, ალბათ, რენესარიც ვერ დახატივდა (სურ. 48).

## მოდა და ავაჯი

რომაული მოდა, ძვ. წ. III ს-დან რომ ვიცნობთ, ძირითადად ბერძნულის მსგავსია: პეპლოსისა და ქიტონისაგან იშვა ტუნიკა: ბერძნულ ჰიმაციონს შეესაბამება მამაკაცის მრავალნაოჭიონი ტოგა და ქალის პალიუმი.

ქალებს, მამაკაცთა მსგავსად, შიგნით ტუნიკა (სურ. 49) ეცვათ, სახელოიანი ან უსახელო. მაღალი წრის ბანოვანნი ძვირფასი ქსოვილებით იმოსებოდნენ და თავიანთ დიდგვაროვნობას სტოლათიც გახაზავდნენ. სტოლა ტუნიკაზე გადასაცმელი სამოსია, სახელოიანი ან უსახელო. ქობა და გულისპირი ხშირად ძვირფასი ნაქარგითა შემკული. ამ სამოსს საღლესასწაულოდ იცვამდნენ (სურ. 50). მოსახამად პალიუმს იყენებდნენ. თუ საჭირო იყო, პალიუმით თავსაც იფარავდნენ (სურ. 52).

მამაკაცები ბუნებრივ ფერებს ანიჭებდნენ უპირატესობას, უფრო ფერადზოლებიან სამოსს იცვამდნენ, ქალები კი, ბერძნული მოდის ზეგავლენით, ჭრელ სამოსს ეტანებოდნენ. ფერებით ასეთ გატაცებას ძვ. წ. II ს-ში ზღვარი დაუდეს მოდის კანონების დაწესებით თუმცა საკმიოდ წარუმატებლად. მაშინდელ რომაელ ქალს ბერძენ ქალზე უკეთ შეეძლო თავისი ინტერესების დაცვა მამაკაცის წინაშე. ოვიდიუსი (გარდაიცვალა ჩვ. წ. 17 წ.) თავის ლექსებში ქებას ასხამს გემოვნებიან ლურჯ, ყვითელ, მწვანე და იისფერ კაბებს, რითაც მაღალი წრის ქალები ქუჩების ერთფეროვნებას აცოცხლებდნენ. რომაელები, ბერძნების მსგავსად, უფრო თხელი შალისა და სიფრიფა-



49. დასჭილი ამური. პომპეი.

დაახლ. 25 ჩვ. წ. ნეაპოლი,  
ეროვნული მუზეუმი.

50. დამკვრელი ქალი. ბოსკორეალეს ვილა. I ს.  
ძვ.წ. ნიუ-იორკი, მეტ-  
როპოლიტენის ხელოვ-  
ნებათა მუზეუმი.



ნა სელის ნაჭარშს იყენებდნენ, ხოლო მოგვიანებით, იმპერიაში აღმოსავლეთიდან შემოტანილი, ოქროთი მოსირმული და მდიდრული ორნამენტით ნაქარგი მძიმე ქსოვილებით იმოსებოდნენ. ბოლოს, რომაულ მოდაში ფეხი მოიკიდა ჩინურმა აბრეშუმმა; ოლონდის ისე ძვირი იყო, რომ რომაელები კარგა ხანს მხოლოდ აბრეშუმნარევ ქსოვილს სჯერდებოდნენ.

მამაკაცს შიგნით ტუნიკა ეცვა. ტუნიკა თხელი შალის სამოსია, პერანგის მსგავსი. იგი, ბერძნული ქიტონივით, გვერდებზე და მხრებთან გაკერილია ან, უბრალოდ, მკლავებზეა გადაგდებული. ტუნიკა მუხლამდე ან კოჭებამდე სწვდებოდათ. კეისართა ხანაში ზოგჯერ ორი ტუნიკაც ეცვათ; წელსზემოთ მოშვებული ქამრით ამაგრებდნენ; ტუნიკაზე ტოგას იცვამდნენ, ცივ ამინდში — ორსაც და სამსაც (სურ. 53). ივგუსტუსზე ამბობდნენ, ზამთარში ოთხ ტოგას იცვამდათ. ტოგის ერთი ბოლო მუხლსქვევით იყო დაშვებული. მარცხენა მხარზე

ზურგს უკან გადავდებულ ნაჭერს მარჯვენა იოლიაში ამოიტარებდნენ  
და მეორე ბოლოს მარცხენა მხარზე გადაიგდებდნენ, ე. გ. ტორგა  
მარცხენა მკლავს ფარავდა და მკლავის დაშვებისთანავე ჩამოცურ-  
დებოდა ხოლმე, მარჯვენა მკლავი კი თავისუფალი ჰქონდათ და ტუ-  
ნიკაც უჩანდათ. ზედაწელზე ნაოჭებად დაყრილი ქსოვილი ისე განი-  
ერი იყო, რომ ავდარში ან მსხვერპლშეწირვის ღროს კაპიტონივით  
თავზეც წამოიცვამდნენ ხოლმე. ტოგის ტარება თავდაპირველად  
მხოლოდ რომის თავისუფალ მოქალაქეს შეეძლო; შემდეგ მან და-  
კარგა წოდებრივი სამოსის მნიშვნელობა და ყოველდღიურ მოსას-  
ხამად იქცა.

შეძლებული რომაელის ბინაში საქმაოდ მცირე ავეჯი იდგა, მაგ-  
რამ რაც იყო — ხარისხით გამორჩეული. საწოლები, რომლებსაც,  
როგორც უკვე ითქვა, წამოსაწოლადაც იყენებდნენ და დასაჯდომა-


51. დაწნული სავარძელი. ჩვ.  
წ. III ს-ის რელიეფიდან.  
ტრირი, სამხარეო მუზე-  
უმი.




52. ფაუსტინას ქანდაკება. 11  
ს. ჩვ. წ. მარმარილო. პა-  
რიზი, ლუვრის მუზეუმი  
დაკვირვებული ფოტო.
53. პორცუელის ქანდაკება.  
დაახლ. 150 ძვ. წ.  
მარმარილო. რომი, ლატე-  
რანი.



დაც, სპილოს ძვლითა და კუს ბაკნით იყო გაწყობილი. მათი ღირე-  
ბულება ზოგჯერ ერთ მილიონ სესტერცს აღწევდა. ფორმის, ტექ-  
ნიკისა და მასალის მხრივ დახვეწილ გემოვნებასა და მაღალ ოსტა-  
ტობას ამჟღალურ ავეჯიც, თუმცა ძალზე ცოტა რამ არის  
შემორჩენილი და მას უფრო სახვითი ხელოვნება გვაცნობს. უბრა-  
ლო ხის დგამის გარდა, რომაულ საცხოვრებელ სახლში მარმარი-  
ლოსა და ბრინჯაოში ჩამოსხმული ავეჯიც იდგა; ზოგჯერ, ხისა და  
ბრინჯაოს უჩვეულოდ ლამაზ შერწყმასაც წააწყდებით. აქ ნაჩვენე-  
ბი საწოლი, ზედ ნადიმობისას რომ წამოწვებოდნენ ხოლმე, შედ-  
გება სწორკუთხა ჩარჩოსა და გარდი-გარდმო გადებული (სურ. 55) ფი-  
ცრებისაგან; მასზე თხელ საგებსა და ბალიშს დებდნენ. ფეხები სიმტკი-





54. კარალა პომპეი  
დან. ოქტავ-  
სტრუქტის, რომი  
Muzeo della Civiltà Ro-  
mana. Rómában



55. საწოლი. ალდგენილია პომპეიში ნაპოვნი ნაწილები-  
საგან. რომი, Museo della Civiltà Romana.



58. յետոլոս մ՛կյա-  
նո. III և. Բց. Վ.  
Ցահմահոլուս  
մըսից յանձագե-  
ծա. հռմո, լա-  
քըհան.





56. ჭურჭლის დასა-  
წყობი მაგიდა.  
რომელის მუზეუმი  
della Civiltà  
Romana.

57. მაგიდის მავვა-  
რი დგმი ჰერ-  
კულანუმიდან.  
რომი, Museo  
della Civiltà  
Romana.

ცისათვის თავსა და ბოლოში განივი ხილებით იყო შექრული. ამ სუ-  
რათზე საწოლის ფეხები ბრინჯაოსგანაა ჩამოსხმული, მაგრამ მათი  
მოყვანილობა მიუთითებს, რომ ისინი იმეორებენ ხისაგან გამოხარა-  
ტებული ფეხის ფორმას. ბრინჯაოსია ტყავგადაკრული, ლამაზად  
მოყვანილი სასთუმალიც. ხის ან მარმარილოსზედაპირიანი დიდი  
მაგიდის გარდა, ჰქონდათ ლამაზი ნივთების დასაწყობი (სურ. 56, 57)  
პატარა მაგიდაც. ეგვიპტელთა და ბერძენთა მსგავსად, რომაელები  
მაგიდის ფეხებს ცხოველის თათის გამოსახულებით აბოლოვებდნენ.


დასაჭდომად, უმთავრესად, უზურგო და დასაკეც სკამს ხმარობ-  
დნენ. ეს მათ ბერძნებისაგან გაღმოილეს; უფრო მოხერხებული, სა-  
ხელურებიანი სავარეჟელი კი — ეტრუსკებისაგან (სურ. 50). სავარძ-  
ლის ძირითადმა ფორმამ საუკუნეთა მანძილზე სახე იცვალა და, ბო-  
ლოს, მჩატე, დაწნულ სავარძლად (სურ. 51) იქცა, თავისი სიკონტა-  
ვით აგრერიგად რომ გვაგონებს დღევანდელს. მარმარილოს საპატიო  
საკარცხულის ზურგიც მოხდენილად უერთდება სახელურებს. საკარ-  
ცხულებს ვხვდებით ტაძრებში, თერმებსა და სასახლეებში. უთუოდ  
რომაული წარმოშობისა უნდა იყოს მომცრო ფეხებზე შემდგარი ორკა-  
რიანი კარადაც, თავისი ანჯამებითა და საკეტებით (სურ. 54).

იმპერატორ კონსტანტინეს მიერ 313 წელს გამოცხადებულმა მიანის ედიქტმა რჯულშემწყნარებლობის შესახებ ქრისტიანებს რწმენის სრული თავისუფლება მოუტანა. მთელი დასავლური კულტურისათვის ესოდენ მნიშვნელოვანმა ფაქტმა საჯარო მოქმედების უფლება მისცა საუკუნეთა მანძილზე უწყალოდ დევნილ ქრისტიანებს, თუმცა მათ ახალი პრობლემებიც გაუჩინა. კატაკომბებსა და საიდუმლო ეკლესიებში შეფარებულ ქრისტიანებს არ სჭირდებოდათ გარეგ-



59. ძველქრისტიანული ბაზილიკა: რომი, წმ. პეტრეს ძველი ტაძარი. განვითარებული.

1. შუანვი.
2. გვერდითა ნავები
3. საკურთხევლის აფსიდი საეპისკოპოსო კათედრით
4. სარკმლის ლიობები
60. რომი, წმ. პეტრეს ძველი ტაძარი. რეკონსტრუქცია.
1. გარეთა წინაეზო (ატრიუმი)
2. განსაბანი ჭა (კანთაროსი)
3. კოლონადა (პერისტილი)
4. შიდა შესასვლელი (ნართექსი)
5. შუანვი
6. გვერდითა ნავები
7. განვითარებული
8. სარკმლის ლიობები




ნულ რეპრეზენტაციაზე ზრუნვა. რელიგიურ წარმოდგენათა მხატვ-  
რული გამოსახვა პირველ ქრისტიანებს კიდევაც ეკრძალებოდათ.

ახლა კი ქრისტიანობას საჯაროდ უნდა დაეძლია წარმართული მი-  
თოლოგია; ახალი ეკლესიაც, თუ აქამდე უარყოფდა გრძნობად-გა-  
მომსახველობით ფორმებს, როგორც სააქაო სიამეთა წარმართუ-  
ლად მაღიდებელს, ამიერიდან იძულებული გახდა, მათვის მიემარ-

61. რომი, წმ. საბინა. 422 — 432 ჩ. წ.

62. რავენა, წმ. ვიტალე. დაახლ.  
525 — 548 წწ. გვგმ.



თა. რაკი სპეციფიკურად ქრისტიანული ხელოვნების ფორმები არ არსებობდა, ქრისტიანებმა თავიანთი იდეოლოგიის სამსახურში უყოყმანოდ ჩააყენეს გვიანათი იურიული არქიტექტურისა და სახეობრი ხელოვნების მთელი არსენალი, ე. ი. პირდაპირ გადმოიღეს ამ ფორმათა ენა, ახალი შინაარსის მიუნიჭებლად. ეს უბრალო გადმოტანაა და არა ახლის შექმნა. ამიტომ აღრექრისტიანული ხელოვნება თავისთავადი ან სულაც ახალი მხატვრული სტილი კი არ არის, არამედ წარმართულ-რომაულისა და ქრისტიანულ ელემენტთა შევენიერი ნაზავია. ამგვარმა სინთეზმა ზოგჯერ მეტად საინტერესო შედეგები მოვცა და თავისი დახვეწილი ასკეტიზმით დიდი ზეგავლენაც მოახდინა.

განვითარების სულ სხვა გზას დაადგა აღრექრისტიანული ხელოვნება აღმოსავლეთ მეტროპოლიაში. მას შემდეგ, რაც კონსტანტინემ 330 წელს რომი დატოვა და რომის სამეფოს სატახტო ქალაქიდ კონსტანტინეპოლი გამოიცხადა, ძველი იმპერიის ბედიც გადაწყდა. იმპერატორ თეოდოსიუსის სიკვდილის შემდეგ, 395 წელს, იმპერია საბოლოოდ დაიშალა ორ ნაწილად: აღმოსავლეთ რომისა და დასავლეთ რომის იმპერიებად. პოლიტიკურ გათიშულობას ეკლესიის განხეთქილებაც მოჰყვა, 589 წელს სულიწმიდის წარმომავლობის შესახებ ატენილი დავის გამო. რაც უფრო ღონიერი ხდებოდა ბიზანტია პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად, მით უფრო სუსტდებოდა ძველი რომის ზეგავლენა. ბიზანტიიმ დაიმორჩილა მთელი ბალკანეთი, მცირე აზია, სირია, პალესტინა, ეგვიპტე და რუსეთის დიდი ნაწილიც. იტალიაში გერმანები, გუთები და ჰუნები შეიჭრნენ. დაიწყო ხალხთა მიგრაციის დიდი ეპოქა, რასაც მოჰყვა რომის დასავლეთ იმპერიის დანგრევა.

ბიზანტიის ქრისტიანული ხელოვნება ვითარდება რომისაგან შორს და გვიანანტიკურ-რომაული მემკვიდრეობისაგან დამოუკიდებლად. მასში იღვიძებს ახალი სპირიტუალური გამოსახვის ფორმები, რომლის ძირებიც ბუნების მიბაძვაში კი არ არის, არამედ — განზოგადებასა და დეინდივიდუალიზაციაშია. აღმოსავლურ კულტურებსა და რელიგიებთან შეხება-პაექრობამ წარმოშვა ბიზანტიკურ-ქრისტიანული სტილი, რომელმაც შემდეგ დიდი როლი შეასრულა ევროპული ხელოვნების განვითარებაში, ბიზანტიურმა სტილმა დასავლეთ ევროპაში გზა გაიკაფა უფრო ქ. რავენის გზით, სადაც

აღმოსავლეთ რომის მეფის ნაცვალი იჯდა. არქიტექტურას მისი გავლენა XIII ს-მდე გაჰყვა (მაგალითად, სამეფო კარის კაპელა აახებული, „შ. მარიამი“ კელნის კაპიტოლიუმში, წ. მ. მარკოზის ტურქეთის ვენეციაში, „შ. ფრონი“ დასავლეთ საფრანგეთის ქალაქ მიურიგი მთავრობაში ბიზანტიელთა სრულ ბატონობას წერტილი დაუსვეს იტალიური რენესანსის დიდოსტატებმა.

#### არქიტექტურა

ადრექტისტიანულ ეკლესიებს საფუძვლად დაედო რომის ანტიკური ხანიდან მომდინარე ორი ძირითადი არქიტექტონური ფორმა:



63. ჩავენა; თეოდორის დიდი აკლდამა. დაახლ. 520 წ.

ბაზილიკა და ცენტრული ნაგებობა. ბაზილიკა იღეალური დარბაზია თავშეყრისა და წირვა-ლოცვისათვის. ანტიკური ტაძრისაგან, განსხვავებით, აქ არ დგას ღმერთის ქანდაკება, რომელსაც ცალკე სივრცე უჭირავს. ანტიკური საკულტო ტაძარი თუმცა გარს ურცყმის სამლოცველოს, მაგრამ ლია ნაგებობა. გვიანანტიკური ქრისტიანული საკულტო შენობები გარედან ჩაკეტილია, თავის თავში ინტიმურობას ქმნის და ფასადის მიმართ გულგრილია. წმ. პეტრეს (სურ. 60) ძეველ შენობას კი ლამის საერთ-არისტოკრატიული ფასადი ამშვენებს, რომელიც გვერდით მდგომ შენობათა მდიდრულ ფასადს ახუნებს. ლია წინახუთოთი, ატრიუმით, შედინხართ ბაზილიკაში. წმ. პეტრეს ტაძარი ხუთნავიანი შენობა (სურ. 59). შუანავს აქეთ-იქიდან მიჯნავს სვეტების რიგი, რომლის თავზეც მაღალი თაღედიანი კედელია აღმართული, ბოლოს კი, სარკმლებიანი კედლის ზონაა შენობის გასანათებლად. ბაზილიკას აგვირგვინებს კრამიტით გადახურული ხის სხვენი. განივი ნავი შუანავის სიგრძისაა, რაც ჯვრულ გეგმას ქმნის. ეს გეგმა აგერ ათასწლეულზე მეტია, რაც სიმბოლურად ქრისტეს ჯვარცმას გამოსახავს. ბაზილიკას აღმოსავლეთით კეტავს ნახევარგუმბათით გადახურული აფსიდი, რომელიც შუანავზე დაბალია. ყველა აღრექრისტიანული ეკლესია როდია ასე რთულად დანაწევრებული. ბაზილიკების უმრავლესობა მხოლოდ სამნავიანია; გარდა ამისა, მათ აკლია აფსიდისა და შუანავის გამყოფი განივი ნავი (სურ. 61).

აღრექრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში კვლავ გაცოცხლდა ცენტრული (სურ. 39) შენობის იდეა, რომელიც ანტიკური ეპოქის პანთეონშია ხორციელებული. ესაა მრგვალი თუ ოთხეუთხა სანათლავი ეკლესიები და მემორიალური ტაძრები. ამ დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია თეოდორიხის აკლდამა რავენაში (სურ. 63). ეს გარეთ თუ შიგნით სრულიად მოურთავი შენობა მნახველს აჯადოებს მკაფიო სისადავითა და მამრული ღირსებით. ქვით ნაგები კამარის მაგივრობას აქ ერთადერთი უზარმაზარი ქვა ეწევა. ეს მოპირკეთებული მონალითი ღიამეტრით 11 მ-ია და 276 ტ-ს იწონის. აკლდამის გარეშევრილები აუცილებელი იყო ამ კოლონის 20 მ-ის სიმაღლეზე ასატანად.

რავენის წმ. ვიტალეს ცენტრული შენობა (სურ. 62) უკვე ბიზანტიურ ნიშნებს ატარებს. ნიშისებურად მომრგვალებული უბეები, რომლებიც მრგვალ შუასივრცეს რვაკუთხა გარშემოსავლელს უკავშირებია.

ბენ და ამით სივრცის დახშულობას სძლევენ, გვხვდება კონსტანტინე—პოლის ჰაგია სოფიაშიც, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჩრდილოებრობულ არქიტექტურაში სწორედ წმ. ვიტალეს ტაძარმა ითამაშა გადამზადებული ტი როლი. უშუალოდ მას უკავშირდება კარლოს დიდის სასახლის კაპელა აახენში (სურ. 72).

### ს ა ხ ვ ი თ ი ხ ლ თ ვ ნ ე ბ ა

ჩვენამდე მოლწეული პირველი ქრისტიანული ფერწერის ნიმუშია რომის კატაკომბების მოხატულობა. ტექნიკისა და სტილის, ზოგჯერ კი, თემატიკის მხრივაც, იგი წარმართული რომის დეკორატი-




64. ქრისტე „კეთილი მწყემსის“ სახით. რომი, ჭორდანის კატაკომბის კედლის მხატვრობა.

ულ ფერწერას აგრძელებს. ხატვის მანერა შეესაბამება გვიანანტიკურ სტილს, რომელიც ადამიანებსა და საგნებს მკაფიო კონტურით კი არ შემოხაზავს, ან სხეულის მთლიან პლასტიკურ დამსუმავებას დრი არ ახდენს, არამედ მხატვარი ლალი ფერადი მონასმებით (სურ. 64) ხატავს და ამ ფერებს ლამის იმპრესიონისტულად ნაზ, ჰაეროვან ტონებში აზავებს. ამ პირად განცდებზე აგებული მხატვრობის გარდა, კატაკომბებში ნახავთ წმინდა აბსტრაქტულ-სიმბოლურ ფორმებსაც, ან მეტიც გამარტივებულ ფიგურულ ნიშნებს, რომლებიც სიმბოლურად საიქიოზე თუ მიგვანიშნებს.

რომის ადრექტისტიანულმა ქანდაკებამ მხატვრობის მსგავსი გზა განვიღო. გვიანანტიკური ხანის ფორმათა მარაგს ქრისტიანები ჯერ სრულიად გაუაზრებლად იყენებდნენ რელიგიურ თემათა გაღმოსაცემად. ლატერანის მუზეუმის „კეთილი მწყემსი“ თავისებური აპოლონია (სურ. 58) ქრისტიანულ სამოსში. აქ ისევე, როგორც კლასიკურ ანტიკურ ხანაში, ღვთაებრივი სრულყოფილება გატოლებულია



65. კონსტანტინე დიდის გიგანტური ქანდაკების თავი (306—337) კონსტანტინეს ბაზილიკიდან. რომი, კონსტანტინოსთა სასახლე.



66. რომი, წმ. საბინა. მოჩუქურთმებული ხის კარი, VI ს.

იდეალურ გარეგნულ სილამაზესთან. ეს პირტიტველა, ტანადი და ღონიერი ჭაბუკი ადვილად გაუწევდა მეტოქეობას წარმართულ ღმერთებს. „Beau Dieu“-ს (ფრ. „ლამაზი ღმერთის“) იდეა თითქმის ათასი წლის შემდეგ აღორძინდა საფრანგეთის კათედრალური ტაძრის ქანდაკებაში. კონსტანტინეს შემდეგ თავისუფალი ქანდაკება მნიშ-

ვნელობას კარგავს. მასში დაინახეს საფრთხე, ვაითუ ლვითიშმოსა-  
ვებს ეს ფიგურა ქრისტეს ავთენტურ გამოსახულებად მიეჩნიათ.  
ამიტომ ძველქრისტიანული ქანდაკების ხელოვნება იფარგლება სარ-  
კოფაგებისა და ეკლესიათა კარის რელიეფით, თანაც, ამ უკანასკნელ-  
ში ხშირად იკითხება აშეარა განდგომა წარმართული სილამაზის  
იდეალისაგან, ტლანქი, მაგრამ შთამბეჭდავი სიმბოლური ენის სა-  
სარგებლოდ (სურ. 66).

ადრექრისტიანულ ეპოქაში ჯერ კიდევ იძერწება პორტრეტუ-  
ლი ფიგურები ბიუსტის (სურ. 65) ან სარკოფაგთა რელიეფის სახით,  
V ს-ის მიწურულს კი პორტრეტული ხელოვნება სრულიად ქრება: ქრი-  
სტიანული რწმენა ხომ უკვდავი, გამოუსახვადი სულის გადარჩენას  
ქადაგებდა და არა მოკვდავ, მიწიერ სხეულზე ზრუნვას.

გვიანანტიკური ხანის რეალიზმისაგან სრულ განდგომას მოას-  
ჭავებს ბიზანტიური სახვითი ხელოვნების იგავურ-სიმბოლური ენა.



67. რავენა, წმ. ვიტალე. იმპერიატორი იუსტინიანე I ამალიოთ. 546 — 548 წწ. მოზაიკა.

68. მონასტერი, ტა-  
ძარი: აფსიდის  
მოზაიკა. ქრის-  
ტი პანტოქრა-  
ტორი. XII ს-ის  
მე-2 ნახვაზი.



ამ სტილის მთავარი მახასიათებელია ოქროურვილი ფონი, რომე-  
ლიც დიდ მოზაიკურ ციკლებში სრულიად გამორიცხავს რეალის-  
ტური სივრცის ილუზიას. სურათის უსივრცო სიბრტყეზე (სურ. 67)  
განლაგებულია უხორცო, სამოსიანი და ფრონტალურად გაქვავებული  
ფიგურები. ჩავრის მოზაიკაზე თუმცა ისტორიული პირია გამოსახუ-  
ლი, მაგრამ ყურადღება მთლიანად გადატანილია არა მიწიერი, არა-

მედ სულიერი არსებობის წარმოჩენაზე. ნაოჭების ხაზოვანი სქემაზ  
ტიზმი, ერთი ტიპის ნიბური სახეები, ხელ-ფეხის ერთნაირობიდან  
მარეობა წამოსწევს გამოსახულთა ზეპიროვნულ ღირსებას, რაც  
მათი წოდების სულიერ ღირსებას შეესაბამება. ეს მკაცრი, პიერა-  
ტიკული სტილი (სურ. 68) მთელ დასავლურ ხელოვნებაში გამეფდა,  
ვიდრე, შუასაუკუნეთა მიწურულს, სახვით ხელოვნებაში გზა არ გაი-  
კაფა სააქაო სიცოცხლის ახალმა რწმენამ.

## კაროლინგური ხელოვნება

კარლ მარტელმა მდ. ლუარას ნაპირებთან მდებარე ქ. ტურში  
არაბები დამარცხა (732 წ.) და ამით ზღვაზი დაუდო ხალხთა დიდ  
მიგრაციას. დასავლეთ ევროპაში გაჩნდა პირობები ახალი წესრიგის  
დასამყარებლად. ლანგობარდთა, ბავარიელთა, საქსებისა და უნ-  
გრელების დაპყრობით კარლოს დიდმა (768—814 წწ.) საფუძველი  
ჩაუყარა დიად სახელმწიფოს, რომელსაც შეეძლო რომის იმპერიი-  
სათვის მემკვიდრეობა გაეწია. მართალია, კარლოს დიდის მიერ  
სისხლიანი ძალადობით შექმნილ იმპერიას ისტორიკოსები სრული-  
ად სხვადასხვა შეფასებას აძლევენ, მაგრამ ერთი რამ უდავოა: დღე-  
საც აღტაცებას იწვევს ის კულტურული აღმშენებლობა, რომელიც  
იმპერიატორის დამპყრობლურ საქმიანობას მოჰყვა. მან დაპყრობილ  
ხალხებს თავს მოახვია არა მარტო ქრისტიანობა, არამედ — ის კულ-  
ტურული კონცეფციაც, ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიე-  
რების ყველა დარგს რომ მოიცავდა. რომის იმპერია კარლოს დიდი-  
სათვის მისაბაძი ნიმუში იყო: და მან მიზნად დაისახა ამ იდეის აღორ-  
ძინება ქრისტიანული აზროვნების წიაღში.

ამგვარად, კარლოს დიდმა ევროპული კულტურის ისტორიაში  
პირველმა დანერგა („renascitur“) „ოქროს რომის“ აღორძინე-

ბის იდეა. ამით ის, თუმცა თავად ხელოვანი არ გახლდათ, ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პიროვნებად იქცა. ოო-  
 გორც სულისხამდგმელი, პროგრამის შემდგენი, ამოცანას დამსახურების მო-  
 ვი და გამტარებელი, იგი თავისი დროისაგან მხოლოდ უძლელეს მო-  
 ითხოვდა. მისი ინიციატივით შეიქმნა გერმანული ენის პირველი გრა-  
 მატიკა, რითაც კარლოს დიდის დედაენამ კანონიერი ძალა და უფ-  
 ლებები მოიპოვა. წინა საუკუნეთაგან წილადრეგებულ ლათინურ ენა-  
 საც პირვანდელი, კლასიკური ფორმა დაუბრუნდა. გარდა ამისა, მან  
 შეაგროვა ძველბერძნული საგმირო პოეზიის ნიმუშები და *libri*  
*carolini*-თ საბოლოოდ გადაჭრა საუკუნოვანი დავა იმის თაო-  
 ბაზე, ნიშნავდა თუ არა ხატის თაყვანისცემა კერპთაყვანისმცემლო-  
 ბას და ამიტომ წარმართულ რელიგიაში დაბრუნებას. ერთხანს ხა-  
 ტის მოწინააღმდეგუნი მოითხოვდნენ კველა რელიგიური გამოსახუ-  
 ლების აქტალუს და არსებული ხატების განადგურებას. ამ პოზი-  
 ციას კარლოს დიდმა დაუპირისპირა თავისი გადაწყვეტილება: ხა-  
 ტის გაღმერთება თუმცა კერპთაყვანისმცემლობაა, მაგრამ ხატის და-  
 ნიშნულება სამლოცველოთა შემყობა და ლოთისმოხავთა რწმენის  
 გაძლიერებაცაა. ამით კარლოს დიდმა გზა გაუხსნა ქრისტიანული




69. კარლოს დიდი. მხედ-  
 რის მცირე ქანდაკება.  
 დაახლ. 870 წ. ბრინ-  
 ჯაო. სიგრძე — 24 სმ.  
 პარიზი, ლუვრი.

სახვითი ხელოვნების განვითარებას, რომელიც დასავლეთ რომის ეკლესიამ დიდი ხნით დამჟახოუში ხატის აკრძალვის გამო.

ასეთ კულტურულ წინსვლას, გერმანულ მიწაზე მართული ტერიტორიაზე არ უძლოდა. რაინის აღმოსავლეთით რომაული პერიოდის უმნიშვნელოვანეს ძეგლებსაც კი არ იცნობდნენ. კარლის დიდმა ამ სიძნელესაც გაართვა — თავის სამეფო კარზე თავი მოუყარა ევროპის ყველა კუთხიდან ჩამოსულ მხატვრებს. ცენტრალურ ევროპაში წიგნის დასურათების ხელოვნება ირლანდიელმა ბერებმა შემოიტანეს. აქ მოღვაწეობდნენ იტალიელი და ბიზანტიელი ხუროთმოძღვრები. სამხრეთ ევროპიდან და აღმოსავლეთიდან ჩამოსულმა სწავლულებმა დააარსეს სამონასტრო სკოლები. ამ მრავალფეროვანი იმპორტული კულტურის გვერდით ვითარდება უაღრესად თვითმყოფადი მხატვრული ფორმებიც გერმანულ და კელტურ ელემენტთა მეტად ნაყოფიერი შერწყმის მეოხებით. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ კარლინგურ ხელოვნებას ერთიანი სტილი ჰქონდეს. ბევრი და, მეტადრე, ანტიკური ხელოვნებიდან მომდინარე იმპულსი აქ გადაუხარშავი დარჩა, ამიტომ ბოლომდე გაუაზრებელიც; რასაც ვადასტურებთ, ეს უმეტესად ბრმად გაღმოღებული ასლებია. სამაგიეროდ, კარლინგური ხელოვნება დგას დასავლური კულტურის ახლი ისტორიის სათავეებთან და საუკუნეთა მანძილზე უძრაობით გაყინულს, იმპერატორის მზრუნველობით, კვლავ სიცოცხლე უბრუნდება.

### პრეიზე ეჭტურა


ამ ხანის ერთადერთი, დღემდე მოღწეული ძეგლია სასახლის კაპელა (სურ. 70-72) აახენში. იგი ნაწილია ერთ დროს ვრცელი სამეფო რეზიდენციისა. ამ ცენტრული შენობის პირველნიმუშია წმ. ვიტალეს ტაძარი რავენაში. თუ მათს გეგმებს შევადარებთ, იმაშიაც დავრწმუნდებით, რომ აახენის კომპლექსი თავის თავიდი და დამოუკიდებელიცაა (სურ. 62, 71). სივრცეთა ჩბილი მონაცელება ჩრდილოეთმა უკუაგდო სივრცის მკაფიო, მკაცრი დანაწევრებით. წმ. ვიტალეს მრგვალი შუასივრცე, რომელიც ასევე მომრგვალებული ნიშებით (სურ. 70) უკავშირდება გარშემოსავლელს, აახენშიაც სივრცის შემომზღვდავ რვა-



70. კარლოს დიდის რეზიდენცია აახენში. რეკონსტრუქციის მოდელი.



1. სამეფო დარბაზი ხს გალერეათ. მთავარი აფსიდი იმპერატორის რეზიდენციით (ა), გვერდითა აფსიდებით (ბ), კიბიანი კოშკით (გ) და პორტიკით (სვეტებიანი შესასვლელით) (დ)
2. მაკავშირებელი შენობა
3. კარიბჭიანი სახლი მთავარი სასახლის ქუჩაზე; ზედა სართულში სასამართლოა
4. ატრიუმი სვეტებიანი დერეფნებითა და მასთან დაკავშირებული ნართექსით
5. კულებია ქორედით, დასავლეთის ნაგებობითა და სამხრეთის სამნავიანი მინშენით
6. დიდი საბანო აუზი კვირინუსის წყაროსთან
7. აბანო მეფის წყაროზე
8. საცხოვრებელი სახლები, დერეფნით დაკავშირებული სამეფო დარბაზთან, სადაც, ველებისის მახლობლად, აღბათ, კარლოს დიდის საცხოვრებელი სასახლეც იდგა
9. ხს სახლები მსახურთაოვის

კუთხედს (ოქტოგონს) ქმნის (სურ. 72). მკაცრი დანაწევრებით გამოიჩევა კედლის მშენებლობაც. მონუმენტური თაღედით ნაგები ქვედა სართული გალერეას ქმნის. მასზე ატყორუნილია არკადა, რომელიც ქვედა სართულს მძიმე ლავგარდანით ემიჯნება. მისი ლიობი, ბიზანტიური ნიმუშის მსგავსად, წყვილ-წყვილი სვეტით არის „შემოლობილი“. ეს ოქტოგონი გადახურულია რვაწახნაგა აფროვანი კამარით, რომლის ქვედა გარშემოსავლელი კვადრატულია და სამკუთხა აფრების გვრული გადაკვეთითაა გადახურული. თაღოვანი გალერეის კამარა ცილინდრულია. გადახურვის ტექნიკა რომაულ-ანტიკურია. შ. ვიტალესა და მსგავსი ბიზანტიურ-რომაული მრგვალი შენობებისაგან განსხვავებით, აახენის კაპელას სხვა თავისებურებაც გააჩნია: მას წინ უძლვის ორსარ-




71. სამეფო რეზიდენციის კაპელა  
(სამლოცველო) აახენში. გვგმა.
72. სამეფო რეზიდენციის სამლოცველო აახენში. 805 წელს ნაკურთხი.





74. მონასტრის იდეალური პლანი. რეკონსტრუქციის მოდელი. შუაში ეკლესიაა.

- ბენედიქტელნი, ბენედიქტეს მიერ მოწერე კასიონის საპატიოს დაარსებილია (529 წ.), შეაღენენ პარველ, მაცერად ორგანიზებულ ორგანეს; ამ ქვეყნისაგან მოწყვეტილია, განმარტოებით ცხოვრისენ.
1. სააქმიო სახლი
  2. სისტემის გამოსაშვები სახლი
  3. სააბატოს სამეურნეო დანიშნულების ოთახები
  4. აბატის სახლი
  5. გარეთა „საკრო“ სკოლა
  6. სახლი საპატიო სტუმართათვის
  7. სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა-ნი საპატიო სტუმართა მომსახურები-
  8. სახლი იმპერატორის ამალისათვის (?)
  9. საჭინიბოები და ყმა-მოჯმაგირეთა სადგომები.
  10. ეკლესიას სამხრეთით გარს ერტყმის გალერეა ბერების, პილიგრიმებისა და ღატაუთა სადგომებით, სახელოსნოებით, სამეურნეო სახლებითა და საწყობებით
  11. საქათმები და დარაჭის სახლი
  12. ბოსტნები და მემოსტნის სახლი
  13. სასაფლაო და ხლის ბაღი
  14. მოჩჩილთა და სწეულთა სახლები
  15. სამკურნალო მცენარეთა ბაღი



75. ლორშის მონასტრის შესასვლელი (ბერგშტრასე). დაახლ. 774 წ.

თულიანი შესასვლელი (სურ. 71) დარბაზი, რომელსაც აქეთ-იქიდან ორი მრგვალი კოშკი ამოსდგომია. ამით შენობა საკურთხევლისაკენ იღებს გეზს და ეს გარედანაც ცხადად იკვეთება (სურ. 70-72) სამკოშკიანი ჯგუფის მეშვეობით. ამ გადაწყვეტამ რომანულ ხელოვნებაში ჰპოვა შემდგომი განვითარება.

კაროლინგურ ხანაში სწორკუთხა ნაგებობაც ახალ სახეს იძენს. ადრექტისტიანულ ბაზილიკაზე დაყრდნობით, იმუამინდელი ბაზილიკა, რასაც კარგად გვიჩვენებს წმ. გალენის სარეკონსტრუქციო გეგმა (სურ. 13, 74), ფართოვდება დასავლეთ აფსიდისა (რომანული

ხანის ორსაურობოევლიანი ეკლესიის წინამორბედისა) და კვადრატული შუაჭვარედის მეშვეობით. ეს უკანასკნელი წარმოიქმნება გრძელი და განივი შენობების გადაკვეთით. შუაჭვარედის კვადრატი ზომის ერთული ხდება, რომლის მიხედვითაც შუანავი ნაწევრდება. მოძღვვების კვადრატი თავსდება აფსიდსა და განივ შენობას შორის. მხოლოდ ასე იძენს ნაგებობა ჯვრის ტიპურ ფორმას. შიუხედავად სივრცის ესოდენ ენერგიული სტრუქტურირებისა, ცალკეულ დეტალებში ჯერ მაინც მოჩანს გაუბედაობა ფორმის გადაწყვეტაში. ასე მაგალითად, ჩვენამდე მოლწეული ლორშის (სურ. 75) უძველესი გერმანული ბაზილიკის კარიბჭე უმწეო ცდა იმისა, რომ ანტიკური სტილის ელემენტებს კვლავ სული ჩატბერონ. კარიბჭეს ვეება თალედში, წინ განლაგებული ნახევარსვეტებით, რომაულ არენას შევიცნობთ. მაგრამ ვინაიდან ამ ნაგებობის მძიმე ქვედა სართული მხოლოდ იმისთვისაა, რომ მსუბუქი ზედა სართული დაიჭიროს, თალედის კონსტრუქციული გამოყენება გადაუჭრელი რჩება. ზედა სართულის კედელში ჩასმული ლარებიანი პილასტრები, უხეირო იონური კაბიტელებითა და ირიბი მაკავშირებელი ელემენტებით, სრულიად უადგილო შთაბეჭდილებას ახდენს. ყოველივე ეს გერმანულ კარქასულ კედელს უფრო მოვავონებს, ვიდრე ანტიკური ქვის ნაგებობას. ანტიკური ხელოვნების აღოძინების კარლოს დიდისეულ იდეათა განხორციელებას პრაქტიკაში გზა მოუჭრა მშენებლობის ცოცხალი ტრადიციის სრულმა უქონლობამ.

## ს ა ხ ვ ი თ ი ხ ე ლ ო ვ ე ბ ა

კაროლინგურმა ეპოქამ ვერ აღადგინა ანტიკური ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი — მონუმენტური ქანდაკება. გარდა იმისა, რომ ეკლესიამ დიდი უნდობლობა გამოუცხადა დამოუკიდებელ ქანდაკებას, როგორც ახალი კერპთაყვანისმცემლობის შესაძლო ობიექტს, დიდზომიანი ქანდაკების შესაქმნელად ამ ეპოქას წმინდა ტექნიკური პირობებიც აკლდა. მართალია, იტალიიდან შემოზიდეს ანტიკური სტატუები, მაგალითად, თეოდორის დიდის ცხენზე ამხედრებული ქანდაკება, მაგრამ მოგეხსენებათ: ის, რაც მიმართ ჩატბერი, ბერივად გამოიყურება. კარლოს დიდის ცნობილი



76. ლორშის სახა-  
რება. დაახლ. 810  
წ. უფის უკა-  
მხატვრული ტა-  
კეთი სპილოს  
ძვალია. ლონ-  
დონი, ვიქტორი-  
ასა და ალბერ-  
ტის მუზეუმი.

მცირე ქანდაკების სიმაღლე მხოლოდ 24 სმ-ია. დღეს უკე უკვე-  
ლია, რომ ცხენი შემდეგ იქნა განახლებული და იმუამინდელი სახით  
მხოლოდ იმპერატორის (სურ. 69) ფიგურამ მოაღწია. თუ ცხენის ფა-  
ფარიცა და მოძრაობაც ბუნებრივია, გახევებულ მხედარს სიცოცხლის  
ნიშან-წყალი დაუკარგავს.

გაცილებით უკეთ გამოიყურება კაროლინგური ხანის რელიეფი,  
თუმცა რელიეფური ხელოვნების მთავარი ქმნილებები დაკარგუ-  
ლია. მხედველობაში გვაქვს საკურთხევლის წინა მხარის (ანტეპენ-  
დიუმის) მოპირკეთება ოქროს ფურცლებით, ან ლითონის მოოქრო-  
ვილი ფირფიტებით. გამოყენებითი სახვითი ხელოვნების სხვა ნიმუ-

შია ძვირფასი, მეტწილად, სპილოს ძვლისაგან ნაკვეთი ოთხთავის  
ყდები. გვიანანტიკური ნატიფი ფორმების უშუალო გადმოღვების  
თვალსაზრისით სანიმუშოა ლორშის სახარების უკანა ყდებულებისათვე.



77. ორლანდიური წიგნის მხატვრობა წინაკაროლინგური ხანისა: ასომთავრულით  
შემკული ფურცელი „Book of Kells“-იდან. VIII ს-ის დამდეგი. პერგამენტი.

ეს უაღრესი გულმოდგინებით დამუშავებული სპილოს ძვლის ფონზე იტა (სურ. 76) გაკეთებულია 500 წელს შექმნილი ბიზანტიური ორიგინალის მიხედვით. ფიგურებიანი თაღედის არქიტექტურა რენაissანსის წარმოშობისაა; ასევე მედალიონი მაკურთხებელი ქრისტეს გამოსახულებით. ანგელოზები, მედალიონი რომ უჭირავთ, ანტიკურ ვიქტორი



78. მარკოზ მახარობელი. ადას სახარება, კარლოს დიდის სასახლის სკოლა. დახლ. 800 წ. ტრირი, ქალაქის ბიბლიოთეკა.



79. მათე მახარობელი. არქიეპისკოპოს ებო რემსელის სახარება. 835 წ.-მდე. ეპერნე, მუნიციპალური ბიბლიოთეკა.

რიებს გვაგონებს; მათაც სწორედ ასე ეჭირათ რომაელი იმპერატორის პორტრეტი.

კაროლინგური მხატვრობისაგან (კედლის მხატვრობა იქნება ეს, თუ მოზაიკა) ნაშთიღა შემოგვრჩა. მაგრამ იმდროინდელ აღწერილობათა მიხედვით ჩვენ ვიცნობთ არა მარტო ძველი და ახალი აღთქმის თემებით მოხატულ ექლესიებს, არამედ საერო მხატვრობა-



80. პილდესპაიმი, ჭმ. მიქეალი. 1010-1033 წწ. აღდგენილია. აღმოსავლეთ ქორედის ხედი. ხის ბრტყელი კერი, რომელიც დაახლ. 1250 წლის გარდამავალი სტილის ნიშუშია, შემდეგდროინდელია. მხატვრობა ასახავს ქრისტეს გენეალოგიას, „იე-სეს ხეს“.

საც, რომლის ნიმუშია დიდ სამეფო სასახლეთა მოხატულობა. მხატვრობის სტილზე წარმოდგენას მხოლოდ წიგნის მხატვრობა ვვრჩების. ამ მხრივ უამრავი ნიმუშია შემორჩენილი. მას შემდეგ, ასც IV ს-ში კოდექსმა, ანუ ცალკე ფურცლებისაგან შეკრულმა წიგნმა, შეცვალა ტრადიციული გრანილი, წიგნი, როგორც ცოდნის წყარო, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. მონასტრებში, ჩნდება სკრიპტორიუმები, ანუ სენაკები, სადაც ბერები არა მარტო საღმრთო წერილს იწერდნენ, არამედ მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცულ კლასიკურ ნაწარმოებთა ასლებსაც ამზადებდნენ. ეს ასლები შემდეგ სხვა მონასტრების საკუთრებაში გადადიოდა. ამგვარმა საქმიანობამ ფრიად შეუწყო ხელი კარლოს დიდის მიზნის — ანტიკური განათლების აღორძინების — განხორციელებას.

განსაკუთრებით ძვირფას წიგნებს წინაკაროლინგურ ხანაშიაც აფერადებდნენ, ანუ ფერწერულად ამკოდდნენ. თავდაპირველად წიგნის მოკაზმვა ითარგლებოდა ინიციალებისა და მთავრული ასოების წმინდა დეკორაციულ-ორნამენტული შემკობით. ამ სიბრტყულ-ორნამენტულ სტილს პირველად ირლანდიელმა ბერებმა მიმართეს (სურ. 77). მათი ცხოველ-მცენარეული ორნამენტი კელტურ-გერმანული წარმოშობისაა. სიბრტყულ ორნამენტებს კოპტური ნიმუშების ძლიერი დაღი ატყვია.

კარლოს დიდმა აახენში რამდენიმე ირლანდიელი ბერი დაიბარა და სასახლესთან არსებულ სკოლას სათავეში ჩაუყენა წიგნის მხატვრობის მოსაგვარებლად. სწორედ აქ ჩაისახა გადასვლა აბსტრაქტულ-ორნამენტულიდან მინიატურის ხელოვნებაზე, რომელიც ფიგურატულ-ილუსტრაციულია. იგი ლოგიკურად იშვა ანტიკურ რეალისტურ ხელოვნებასთან დაპირისპირებაში. ამ ახალი სტილის ნიმუშია, უპირველეს ყოვლისა, „ადა“ — ჯგუფის ხელნაწერები („ადა“ იმ ლეგენდარული ქალის სახელია, ტრიტში წმ. მაქსიმინის მონასტრები რომ დაარსა). აქ ახალია (სურ. 78) მთელი ფონის შემავსებელი ადამიანის ფიგურა და ანტიკური დეკორატიული ფორმები (კორინთული სვეტები, ლომის თავები, კლაკნილი არშია და სხვ.). რეიმსის ეპიკოპოსის ოთხთავში სამოსის მშფოთვარე ნაოჭები (სურ. 79.) სხეულის პლასტიკურ ფორმებს გადმოგვცემს, იმპრესიონისტულად მინიშნებული ლანდშაფტის კულისები კი მთელ სცენას სათანა-დო სივრცულობას ანიჭებს. კაროლინგური წიგნის მხატვრობაში,

ღვთის საქმეთა თვალსაჩინო გამოსახვისათვის, კიდევ ერთხელ აღსდება გვიანანტიკური ეპოქის რეალისტური სტილი, რათა შემდეგ, ოომანულ ეპოქაში, რეალისტური პორტრეტი კარგა ხნით შეცემული ქრისტიანული ზეშთაგონების ხატად.

## რომანული ხელოვნება

ხელოვნების ისტორიამ ბევრი უმართებულო ცნება იცის; მათ შორისაა სიტყვა „რომანული“-ც. ასე ეწოდა, XIX ს-ის დამდეგს, შუასაუკუნეთა ხელოვნების პირველ მონაცემთს, რასაც ბიძგი მისცა ამ ეპოქის სტილის მხოლოდ გარეგნული ნიშნის — რომაული მრგვალი თალის — არსებობამ. აქ, აღბათ, „რომანულ ენათა“ უფრო ძველ ცნებასაც დაესესხნენ. მართალია, რომანული ხელოვნება სარგებლობს ანტიკური ფორმის ელემენტებით, ე. ი. გარდა მრგვალი თალისა, იყენებს სვეტებს, ნახევარსვეტებს, პილასტრებს, არკადებსა და კამარის ფორმებს, მაგრამ საკუთრივ „რომანული“ ახალ მთლიანობადაც ყალიბდება. ცვლილება ხდება სწორედ იმ ქვეყანაში, რომელიც ყველაზე მცირედ არის დატვირთული ანტიკური მემკვიდრეობით, კერძოდ, გერმანიაში. რომანული ქვეყნები კი მხოლოდ მოგვიანებით ეწაფებიან გერმანიაში მიღწეულ გამოცდილებას.

რომანულმა ხელოვნებამ გერმანიაში სამი ფაზა განვლო; ამ ფაზებს სახელები დაერქვა იმქამინდელ გამგებელთა მიხედვით; შესაბამისად, გამოყოფენ ოტონურ, ზალიურსა და შტაუფენურ ეპოქებს. მტკიცედ არის დადგენილი სამი ისტორიული მონაცემთი: ოტონური (936 — 1024 წწ.), ზალიური (1024 — 1137 წწ.) და შტაუფენური (1138—1250 წწ.). რაც შეეხება მხატვრულ სტილს, ამ მხრივ დათა-

რიღება აწე ზუსტი როდია. საქმე ის არის, რომ ამა თუ იმ ეპოქას  
ბევრმა მხატვრულმა ჩანაფიქრმა მხოლოდ მომდევნო ეპოქაში შე-  
ისხა ხორცი. ამიტომ მოგვიწევს ფაზების გარკვეული გადაწევება შე-  
დეგად კი მივიღებთ რომანული ხელოვნების ასეთ მიახლოებით სუკ-  
მას:

ოტონური ხელოვნება 950 — 1050 წწ.

ზალიური ხელოვნება 1050 — 1150 წწ.

შტაუფენური ხელოვნება 1150 — 1250 წწ.

რომანული ხელოვნება ახალი წამოწყებაა, საპირისპიროდ კა-  
როლინგურისა, რომელიც უფრო გვიანანტიკური ხანის გვიანდელ  
საფეხურს მიეკუთვნება, ვიდრე შუასაუკუნეთა ადრეულ საფეხურს.  
ასწლიანმა პოლიტიკურმა არეულობამ, რაც კაროლინგთა სამეფოს  
დაქუცმაცებას მოჰყვა, ძირ-ფესვიანად მოსპონ ჩრდილოევროპული  
ანტიკური კულტურის პირველი ჩანასახები და მასთან ერთად — რო-  
მაული ანტიკის უკანასკნელი რემინისცენციებიც.

X ს-ის ხელოვნებაში აისახა ჩრდილოევროპელ ხალხთა მზარდი  
თვითშეგნება რომის წინააღმდეგ, თუმცა მას აკლია კაროლინგური  
ხელოვნების სინატიფე; იგი ტლანქი და ნაკლებდიოფერენცირებუ-  
ლია, სამაგიეროდ, მით უფრო მზარდი და სიცოცხლისუნარიანია.  
ოტონური ხანის კუბური; სრულიად მოურთავი შენობები მიგვანიშ-  
ნებს მკაფიო, თავდაჭრილ ფორმასა და ზომიერ წესრიგიანობაზე.  
მათს თითქმის სამხედრო სიმტკიცესა და ვნებიან წონასწორობაში  
გამოსჭვივის ახალი დროის სულისკვეთება. კელესია თუ სახელმწი-  
ფო, სასულიერო თუ საერო ავტორიტეტი ერთობლივად იღვწის ყვე-  
ლა ადამიანისათვის სავალდებულო საზოგადოებრივი წესრიგის და-  
სამყარებლად.

სახვით ხელოვნებაშიაც იშვა ახალი, სპირიტუალური ფორმები,  
ისინი მკვეთრად განსხვავდება კაროლინგური ხელოვნების თვალის-  
მომჭრელ-პარადული ფორმებისაგან. სახვითი ხელოვნება ამიერი-  
დან მტკიცედ ჩადგა რელიგიის სამსახურში. თუმცა ფიგურები, ფორ-  
მის მხრივ, ხშირად ტლანქია და პრიმიტიული, მაგრამ მეტი სიმძაფ-  
რით ამბობს სათქმელს; იგი აღარ აღგვითქვას გრძნობად სიამოვნე-  
ბას, სამაგიეროდ, მით უფრო დამაჯერებელია.

ამ ადრინდელი საფეხურიდან (X ს. და XI ს-ის დამდეგი) ჩრდი-  
ლოევროპული ხელოვნება უკვე აქალ მიმართებას იძენს ორნამენ-

ტიკასთან, ანუ მიზანდაუსახავ დეკორატიულ ფორმასთან. წუროთ  
• მოძღვრებაში იგი თავს იჩენს შენობის კორპუსის ფრთხილსა და წენ-  
დახედულ პლასტიკურ დანაწევრება-დიფერენცირებაში. სახვით  
ხელოვნებაში კი — უფრო მიზიდველ გამომსახველობაში. ახალი  
ფორმათმარაგი აღარ ემყარება მემკვიდრეობითს წარმოდგენებს.  
იგი უფრო პოლიტიკურ-ეკონომიკურად მომძლავრებულ ჩრდილო-  
ევროპელ ხალხთა შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია. ამგარად,  
„რომანული“ არის პირველი ჭეშმარიტად მონუმენტური სტილი ან-  
ტიკური ხელოვნების შემდეგ, იგი პირველია იმ მხრივაც, რომ მასში  
გამოლიანდა ქრისტიანული ევროპა.

### არა ი თ ვ ა თ უ რ ა

ოტონური საკრალური არქიტექტურის გეგმას ახასიათებს სივ-  
რცის ყველა ნაწილის სისტემური დანაწევრება. გარეაგებულებაში  
მოჩანს შენობის კორპუსის სტატიკური სიმშევი, ხოლო შიდასივ-  
რცეში — ძუნწად მორთული კედლის ზედაპირი. მაგალითად, ჰილ-  
დესამისის წმ. მიქაელის ეკლესიის გეგმაში ვხედავთ (სურ. 83) აღმო-  
სავლურ და დასავლურ ფრთათა სრულ წონასწორობას. აფსიდისა და  
განივი ნაგებობის ჯგუფს ასეთივე ჯგუფი შეესაბამება დასავლეთით.  
შუანავისა და განივი ნაგებობის გადაკვეთის სივრცე, ანუ შუაზვარედი,  
ერთიან მოცულობას ქმნის და მას ემყარება მთელი შენობის პრო-  
პორციულობა. განივი ნაგებობის ოთხსავე მკლავში კვადრატი ერ-  
თხელ იჩენს თავს, შუანავში — სამჯერ; საბჯენთშენაცვლებით (პი-  
ლასტრი — სვეტი — სვეტი — პილასტრი) იგი უფრო ცხადად იკ-  
ვეთება, დასავლეთ ქორედში კი, კიდევ ერთხელ გამოჩნდება აფსი-  
დისა და განივ ნაგებობას შუა. გარეალნაგობაში მოჩანს სრული წო-  
ნასწორობა (სურ. 81) შენობის ვერტიკალურსა (კოშკების ჯგუფი) და  
პორიზონტალურ ნაწილებს (შუანავი და განივი ნაგებობები) შორის.  
კომპოზიციის სტატიკურ ჩაკეტილობას ხელს უწყობს კოშკების ორი  
თანაბარზომიერი განლაგება დასავლეთით და აღმოსავლეთით. ისი-  
ნი მტკიცე ზღვარს უდებენ გრძივი შენობის მოძრაობას. მარცხნივ,  
განივი ნავიდან გამოშვერილი დასავლეთ ქორედი, წინათ, გლუვი  
ცილინდრი, იყო. დღევანდელი მრავალკუთხა ფორმა და კედლების  
პლასტიკური დანაწევრება, კუთხეებში განლაგებული ნახევარსვე-



81. ჰილდესპაიმი, წმ. მიქაელი. 1010-1033 წწ. აღდგენილია. ხელი სამხრეთ-დასავლეთიდან.


ტებითურთ; გვიანდელი ხანისაა (XIII ს.). გვერდითა ნავის თაღის-რული სარქმლები გუთური ხელოვნების მონაპოვარია. შიდასივრცეს (სურ. 80) ხის ბრტყელი ჭერი ახურავს. იგი XIII ს-ში „იესეს ფესვებით“, ანუ ქრისტეს გენეალოგიური ხით იყო მოხატული. კედელი ბრტყელია; მასში ღრმადაა ამოჭრილი მრგვალთაღიანი ფანჯრები. ვიწრო კარნიზი თაღედს მაღალი კედლისაგან მიჯნავს. კედლის ხაზის დაურღვევლად, ერთმანეთს რიტმულად მისდევს სვეტი და პილასტრი, რაც საყრდენთმონაცვლეობის ტიპური სურათია. ორივე შუაფვარედი, აღმოსავლეთითა და დასავლეთით, ოთხივმხრივ, „გამოყოფილია“ მძლავრი, ნახევარწრიული თაღებით. ფორმალურად მათ აკისრია სივრცის სტრუქტურის გათვალსაჩინოება; როგორც კონსტრუქციული ელემენტები — ისინი მძიმე კვადრატულ, შუაფვარედულ



82. მარია ლაახის ბენედიქტელთა ეკლესია. 1093-1177 წწ. (შესასვლელი აშენდა 1220-1230 წწ.). ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

კოშკთა მზიდი სისტემაა, რამაც კოშკი მთელი ნაგებობის მკვიდრ ნაწილად აქცია: ამჯერად იგი თითქოს შენობიდანაა (სურ. 60) ამზრდილი, აღრექრისტიანულსა და კაროლინგურ ხუროთმოძღვრებაში კი, კოშკი, „სამრეკლოს“ სახით, შენობის კორპუსისაგან (სურ. 71) განცალკევებით იდგა. ნათელ, მასიურ სივრცით სტრუქტურას თან სდევს შენობის ცალკეულ ნაწილთა შეუმკობლობა, რაც განსაკუთრებით ცხადად მოჩანს რომანულ კუბურ სვეტისთავში. ეს არის კაპიტელის პირველი ახალი ფორმა ანტიკურის შემდეგ და იგი რომანული ხელოვნების ახალ სტილს მოასწავებს. ძველი კუბური (სურ. 80) სვეტისთავიდან ორიღია შემორჩენილი. (მეორე პილასტრის უკან, მარცხნივ); სამი მარჯვენა სვეტის კაპიტელი კი ახალია და ჯერ კიდევ დაუმუშავებელი; დანარჩენები მორთულია XII ს-ის მდიდრული პლასტიკური დეკორით.


83. წმ. მიქაელი პილ-  
დესპანში, 1010-  
1033 წწ. გეგმა.




გვიანრომანული არქიტექტურის თავისებურებებს (ზალიური ეპოქა) დაწვრილებით გვაცნობს (სურ. 82) მარია ლაახის ბენედიქტელთა მონასტერი. შენობის მკვიდრ სტრუქტურას ქმნის დასავლეთ-აღმოსავლეთ მხარეთა წონასწორობა, აგრეთვე შენობის მშვიდ და ზემსწრაფ კორპუსთა მძლავრი შეწონასწორება. ასეთი სტრუქტურა ამ დროისთვისაც ტიპურია. ახალია კედლის პლასტიკური დანაწევრება და ცალკეულ არქიტექტურულ ფორმათა კომპოზიციური ვარიანტების ნაირგვარობა. კედლის პორიზონტალური, სარტყლური კარნიზები, შვეული ლიზენები, ცრუ არკადები და კედელში საფეხურებრივ ჩატანებული სარკმლები აუქმებენ ქვის კედლის სიბრტყულობასა და სულს შთაბერავენ მას, როგორც პლასტიკურ ორგანიზმს. ეს გამოცოცხლება კარგად მოხანს კოშკისა და სახურავის ნაირგვარ ფორმებში. აღმოსავლეთით (მარცხნივ) აღმართულია ორი ოთხკუთხა კოშკი პირამიდული სახურავით, მათ წინ კი რვაკუთხა შუაფვარედული კოშკია კარვისებრი სახურავით; დასავლეთით, რომბულ-სახურავიან ოთხკუთხა კოშკი, აქეთ-იქით ამოსდგომია ორი მრგვალი, შიდა აკიბიანი კოშკი, რვაკუთხა კარვისებრი სახურავით. აღრერომანული საღა ცალი სარკმლის გვერდით დასავლეთ კოშკებში

84. შაიერის ტაძარი.

შენებლობა დაწყო 1030 წ.  
სიგრძე — 133 მ. გეგმა.



၁၂၃၆



გვხვდება ბიფორიული (სვეტით ორად გაყოფილი) და ტრიფორიული (სამად გაყოფილი) სარქმლებიც.

ამ ეპოქაში არსებითად იცვლება შიდა სივრცეც. ნახევოლუქუმატეული ბი თუ პილასტრები აქტიურად მონაწილეობენ სივრცის პლასტიკურ გააზრებაში (სურ. 85). ხაზთა ვერტიკალურ დინებას კვეთს უხვი პორიზონტური მოკარნიზება: კედლის გასწვრივ საფეხურებად არის განლაგებული ტეხილი კარნიზები. ძუნწი ორნამენტიკა ხაზს უსვამს არქიტექტურის რიტმებს.

რომანული ბაზილიკის გადახურვას თან მოჰყვა უმნიშვნელოვანები და შუასაუკუნეთა არქიტექტურის მომავლისათვის უმძიმესი შედეგები. ოტონური სახურავის კონსტრუქცია, ხის ფერმული გადახურვითა და ბრტყელი ხის ჭრით, ამიერიდან გზას უთმობს მდიდრულ კამაროვან კონსტრუქციას. თავდაპირველად გვერდით ნავებს უჩნდება ჯვარული კამარა, სადაც ორი ცილინდრული ფორმა (სურ. 122) სწორი კუთხით კვეთს ერთმანეთს; დიაგონალურ მკვეთ ხაზებს კი ნერვიურები (წიბოები, ნეკნები) ჰქვია. მათი ძლიერი პროფილირებით (პირველად კანში, ნორმანდიაში, 1090 წ.) შეიქმნა ჯვარულ-ნერვიურიანი კამარა (სურ. 123).

პირველი ევროპული ბაზილიკის, შპაიერის ტაძრის შუანავი გადახურულია ჯვარულ-ნერვიურიანი კამარით, რომლის სიგანე 13,70 მ-ია, სიმაღლე კი — 29,85 მ. თავისი სიღილით იგი კარგა ხანს სჭაბნიდა ყველა სხვა კამარას. შპაიერის გეგმაში (სურ. 84) მოჩანს შეკრული სისტემა, რომელიც მასშტაბურად უკავშირდება შუაჯვარედულ კვადრატს. შუაჯვარედული კვადრატის გვერდის ნახევარსიგრძე განსაზღვრავს არა მარტო გვერდითი ნავების, არამედ ცენტრალური ნავის სიგანესაც. ჯვარული კამარისათვის იდეალურია კვადრატულ-სივრცული მთლიანობა, რადგან აქ ნეკნები სწორი კუთხით კვეთენ ერთმანეთს და ოთხი თანაბარი ნეკნებშუა სიბრტყე უზრუნველყოფს დატვირთვის თანაბარ განაწილებას.

გვიანრომანული სტილი, ალპებს გაღმა, მხოლოდ გერმანიას შემორჩა, სხვაგან კი (ინგლისსა და საფრანგეთში) ამასობაში გუთური სტილი დამკვიდრდა. რომანული სტილის მთავარი ნიშნები — ორმაგი ქორედები, მრგვალი თალები და მასიური კონსტრუქცია —

85. ვეზლეს წმ. მადლენი. 1120-1140 წწ. (დაახლ. 1200 წ-დან გუთურია).

86. ვორმისის ტაძარი. დასავლეთ ქორეტი და საკოშკო კომპლექსი. XIII ს-ის დაძლევი.




თუმცა ამ გვიანდელ საფეხურზეც გვხვდება, მაგრამ უკვე გუთური ხუროთმოძღვრების ცალკეულ ელემენტებს იყენებენ. მაგალითად, ვორმისის კათედრალურ ტაძარში (სურ. 86) სიმაღლე აშკარად სჯაბნის სიგანეს, რაც იმას ნიშნავს, რომ გაუქმდა ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ ძალთა სრული წონასწორობა, რაც რომანული ხუროთმოძღვრებისთვისაა ნიშანდობლივი. ფასადის დამუშავებაში თანდათან ფესვი გაიდგა კედლის პლასტიკურმა ამოღარვამ, უმთავრესად, ჭუჭა გალერეების მეშვეობით. აქ სრულიად უაღგილოდ არის ჩასმული დასავლეთ ქორედის ოთხი მრგვალი სარკმელი. ამის მიზეზი ის არის, რომ

პირდაპირაა გადმოტანილი ფრანგული გოთიკა. ისინი უაზროდაა ჩახ-  
მული კედლის ზედაპირის დამანაწევრებელ ლიზენებს შუა, მრგვა-  
ლი ფანჯრის პირგანდელი ფუნქციის შესასრულებლად. ტაძარი გა-  
დახურულია „ახლებური“, გვარულ-ნერვიურიანი კამარებით, თუმ-  
ცა ისინი, კაცმა რომ თქვას, გამორიცხავს რომანული მასიური ნაგე-  
ბობის დედაარსს. მაშასადამე, ვიდრე საფრანგეთის კლასიკურ საკა-  
თედრო ტაძრებში გუთურ ხუროთმოძღვრებას სრულყოფნენ, გერმანია  
რომანული სტილის უკანასკნელი შესაძლებლობების ამო-  
წურვით იფარგლებოდა.

## გ ა ნ დ ა კ ვ ბ ა

რომანული ხანის სკულპტურა, თავისი საკულტო ამოცანის შე-  
საბამისად, მტკიცედაა გადაჯვეული საკრალურ ნაგებობასთან. ამი-  
ტომ მხოლოდ გამონაკლისის სახით თუ ვადასტურებთ თავისუფალ  
ქანდაკებას. რომანულ ძერწვას ახასიათებს ბუნებრივ ფორმათა  
თანმიმდევრული გამარტივება გონით-რელიგიურ შინაარსთა ალე-  
გორიულ გამოსახვამდე. მისთვის უცხოა ასლებრივი გადმოლების  
ყოველი ფორმა. აღრეოტონნურ გეროს ჭვარში (სურ. 87) ჰარმონიული  
სხეულის გვიანანტყური იდეალი მძლავრად მეტყველი ცალკეული  
ფორმების შემცველ სტრუქტურად იქცა. თუ ამგვარი კორპუსი ჭრ  
კიდევ საკმაოდ ითვალისწინებს ადამიანის სხეულის ანატომიურ კანო-  
ნებს, ჰილდესკამის ბრინჯაოს კარის 16 დაფაზე განლაგებული ფი-  
გურები (სურ. 89) ემორჩილება აქ დასახულ თეოლოგიურ პროგრამას,  
სახელდობრ, გამოხატავს ცოდვა-მონანიების ისტორიას. სინამდვილე-  
ში ეს არის სხატტი ენის მქონე ახალი ხელოვნება, დამაჯერებელი უეს-  
ტებით რომ აკავშირებს ადამიანის ფიგურებსა და მცენარეთა სტი-  
ლიზებულ გამოსახულებას. უფლის საჩვენებელი თითო ცოდვას  
მოჰკითხავს ადამს; ძლიერ დარცხვენილ ადამს თითო ევასკენ გაუშ-  
ვერია; ევა მიზეზად გველს ასახელებს. მარცხნივ გამეფებული ორ-  
ნამენტული წესრიგი ღვთის საუფლოს სიმბოლური სურათია; მარ-  
ჭვენა ორნამენტი კი სამოთხისეული წესრიგის რღვევას, გვაუწყებს.  
ადამთან ახლომდგომი სიცოცხლის ხე ნაწილნაწილ იშლება და გა-  
დატეხილი ტოტი ევაზე მიგვითითებს.



87. გეროს ჯვარი. დაახლ.  
970 წ. ხისა. 1,87 მ.  
კელნის ტაძარი. აქ გა-  
ნახლებული ჯვრის გა-  
რეშეა.

ეკლესიის ჭარის ფიგურებით შემკობა (სურ. 66) ადრექტისტია-  
ნულ ხანაშიაც იცოდნენ, ოღონდ მათ მხოლოდ მხატვრული სამკაულის  
ფუნქცია ჰქონდათ. ომანულ ხანაში კი, ნახატების ასეთი ციკლი მორ-  
წეუნეს, ღვთის სახლში ფეხის შედგმამდე, ჩაგონებდა ქრისტეს მო-  
ძღვრების ჰეშმარიტებას. ღვთის სიდიადესა და ადამიანის კნინობას  
გამოხატავს ბაზელის ანტეპენდიუმიც (სურ. 90). თაღედის ქვეშ დგას  
ქრისტეს მყაცრად ფრონტალური და შეუვალი სიდიადით აღბეჭდილი  
ფიგურა; მას აქეთ-იქით ორი მთავარანგელოზი ამოსდგომია. ქრის-  
ტეს ხელში სფერო უჭირავს, რაც საკუთრივ მისი ნიშანია. ფეხთით

თავმოდრეკილი მეფე-დედოფლის მცირე ფიგურებია, რომლებიც  
ამ ანტეპენდიუმის დამაარსებელნი და ამ ქვეყნად უზენაესი ხელისუ-  
ფალნი არიან, ქრისტე კი, მათივე რწმენით, მთელი სამყაროს სულთანის გარეშე.



88. იმადს მადონა. დაახლ. 1060  
წ. ხისაა. 1,12 მ. ოდესაც მო-  
ოქროვოლი იყო. პადებობრ-  
ნი, საეპარქიო მუზეუმი.



89. ერთ-ერთი დაფა 16 ბრინჯაოს იმ დაფათაგან, რომელიც ჰილდესკამის ტაძრის კარებს ამჟობს. 1015 წ ცოდვილი ადამი და ევა ღმერთის წინაშე.

ადრერომანულ ხანაში არც მარიამია უბრალო დედა; იგი ადამიანს ბევრად აღმატება დიდებულებით (სურ. 88). იმადის მაღონა, ოდესონაც ოქროს ფირფიტებით რომ იყო დაფარული, ციურ ტახტზე მეფეური ლირსებით გაქვავებულა. ყრმა იესოს მაჟურთხებელი უსტი და საღმრთო წიგნი მიგვანიშნებს, რომ იგი ქვეყნის მომავალი მხსნელია. საპირისპიროდ მისა, დიდად მიწიერი და აღაშიანურია ტიროლური ჯვარცმის ჯგუფში გამოსახული მარიამი. ფარული რეალიზმი მეღავნდება (სურ. 91) სამოსის ნაკეცთა სინამდვილესთან მიახლოებულ პლასტიკურ დეტალიზაციაში. ეს ფიგურა დგას იმ ახალი ეპოქის ზღურბლზე, როცა წმინდანსაც ადამიანის გარევნობას ანიჭებენ.

გვიანრომანულ ხანაში, შენობის მდიდარ პლასტიკურ დანაწევრებასთან ერთად, ქანდაკება ეკლესიის კარიდან პორტალზეც ვრცელდება. ამგვარი პორტალური ქანდაკების მიზნები თანხვდება კარის რელიეფისას — სახეთა მეშვეობით ლვთისმოსავი ღმერთთან სულიერი შეხვედრისათვის მოამზადოს. ფრანგულ პორტალურ ქანდაკე-

ბაში (სურ. 93) უმთავრესად განკითხვის დღის თემა ტრიალებს, ეს თვე-  
მა რწმენას გვიმტკიცებს, ჯერ ერთი, იმით, რომ ციურ სიამეოთ აღვმოშორ  
ქვამს, მეორეც იმით, რომ ჭოჭოხეთში ჩაგდებით გვემუქრება. ვეზლეს  
სამების სასწაულის სცენა ამალელვებელი დრამა: ქრისტე, სიდიდით  
ყველას რომ აღემატება, საგანგებო დავალებას აძლევს დიდი სული-  
ერი მღელვარებით შეპყრობილ მოციქულებს. კარის ზედა ძელსა და  
თალზე გამოსახულია ხსნის მომლოდინე ხალხი; მათ სხვა ჯურის (ვე-  
ებარქიანი და ძალლისთავიანი) ფანტასტური ადამიანებიც ურვია.  
თაღის ზედა რკალში მთელი კოსმოსია მინიშნებული — მნათობე-  
ბისა და თვეთა გამოსახულებებით. ეს სამყაროს შემძვრელი მოვლე-  
ნა მარტივ-განზოგადებულად და უესტების ექსპრესიული ენით არის  
გადმოცემული.



90. ბაზელის ანტეპენდიუმი (საკურთხევლის კანკელი; შუა ნაწილი). დაახლ. 1020 წ.  
მოოქროვილი კედარი. პარიზი, კლინის მუზეუმი.

საერო რომანული ხელოვნება, თავისი ციხე-ქოშკებითა თუ  
სხვა მხატვრული ქმნილებებით, ფრაგმენტულადღაა შემოტენილი  
სამარხის ქვის რელიეფზე უკვდავებმნილია არა ინდივიდუალური  
მიცვალებულის რანგი და თანამდებობა პოზის, სამოსისა თუ ღერ-



93. ვეზლე, წმ. მალენის დასავლეთ შესასვლე-  
ლის მთავარი პორტალი. დაახლ. 1132 წ. ტიმ-  
პანუმი: „განკითხვის დღე“.


91. მარიამი ტიროლური ჭვარცმის ჯგუფიდან.  
XII ს. ხე. კელნი, შნოუტგენის მუზეუმი.



92. ბრაუნშვაიგური ლომი, რომელიც პაინრიხ  
ლომგულმა დადგა ციხე-დარბაზის მოედანზე.  
1166 წ. ბრინჯაო, სიმაღლე — 1,78 მ.



ბის სიმბოლური ენის მეშვეობით. ბრაუნშვაიგის (სურ. 92) ბრინჯაოს  
ლომიც, ოდესაც მოოქროვილი რომ იყო, ბარბაროსას მოხისხლე  
მტრის — ჰაინრიხ ლომგულის — უშუალო სიმბოლოა. ეს კაჭილები ჩრდი-  
ველი თავისუფალი ქანდაკება ანტიკურის შემდეგ; იგი შემთხვეული უძრა-  
ვითი ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ნიმუშიცაა, რადგან აქ ბანალუ-  
რი თემაც კი ზედროულ იერს იძენს და უაღრესად შთამბეჭდავია.



ადრერომანული მხატვრობა საბოლოოდ წყვეტს ქავშირს გვიან-  
ანტიკური ფორმებისა და ფიგურების იმ სამყაროსთან კაბრალინ-  
გურ ხელოვნებას რომ ასაზრდოებს. ხელოვანი აღარ ღია მომომდევის უძ-



95. ლუკა მახარობელი. ორთ III-ს სახარება. დაახლ. 1000 წ. მიუნხენი, სახელმწი-  
ფო ბიბლიოთეკა
94. ჰაინრიხ II-ის საკითხავი ბიბლიის მხატვრობა. დაახლ. 1010 წ. „გამოცხადება“. მიუნხენი, სახელმწიფო ბიბლიოთეკა.



96. დეკორატიული ასო „იობის Moralia“-დან. დაახლ. 1100 წ. დიქონი, მუნიციპალური ბიბლიოთეკა.

ნამდვილის ასახვას; მისი მიზანია, მხატვრული დამაჯერებლობით გვაზიაროს ზებუნებრივ კავშირებს. იმქამინდელი ბიზანტიური სახვითი ხელოვნების საპირისპიროდ, საკრალურ სფეროს რომ სტატიკური ფორმებით გამოხატავს, რომანულ მხატვრობაში არსებითად ფეხს იყიდებს რელიგიური მოვლენის სიმბოლური ჩვენება.

რაიხენაუს სამხატვრო სკოლის „მწყემსთა ხარებაში“ ანგელოზის გამოცხადება (სურ. 94) მართლაც რომ სულის შემძღვრელია; რასაც უმალ გვამცნობს სამოსის დრამატულად აფრიალებული გოლოვები, დაფიცების უესტი და სცენის ყველა მონაწილის ფართოდ გახელილი, მეტყველი თვალები. მარჯვნივ მიმავალი მწყემსის ფიგურა გვეუბნება, რომ იგი უყოყმანოდ გაჰყვება ბრძანებას. „ხარების“ სცენარი დაყვანილია სულ რამდენიმე სიმბოლურ მინიშნებაზე: ოქროსფერი ფონი ციური სფეროს სიმბოლოა; იგი უპირისპირდება მიწის კლდოვან ბორცვებს; მკაცრად სტილიზებული ცხვრები ამ აქტის გათვალსაჩინოებას ემსახურება.

ოტო III-ის სახარებაში დახატული ლუკა მახარობელი (სურ. 95) ბეჭითი უამთააღმწერი კი არ არის, კაროლინგურ ხანაში (სურ. 78) რომ ეგონათ, არამედ ციური ხილვებით შეპყრობილი რჯულმაუწყებელია. ღვთის სიტყვა მას ჩაესმის მახარობელთა სიმბოლოს (ფრთიანი ხარის) თავზე მოთავსებული ხუთი ციური წრის მეოხებით; ამ წრეებში წინასწარმეტყველები და ანგელოზები მოყალათებულან, ხოლო ყოველივე ამას გარს ევლება სამება, რომელიც თავის სამთითა სხივებს სტყორცნის მახარობელს. ღვთის სიტყვა ადამიანისათვის მისაწვდომი ხდება იმ ხუთი წიგნის მეშვეობით, რომლებიც მახარობელს კალთაში უწყვია. აქ ლუკა მართლაც რომ ცისა და მიწის შუამავალია; მისი მძლავრად ატყორცნილი ხელები ღვთის საუფლოს სწვდება, ხოლო ფეხთით მდგომი ორი შველი ჰეშმარიტების წყაროს დაწაფებული ღვთისმოსავებია.

რომანული ხანის მთელ მხატვრობას გასდევს ფერისა და ფორმის სტილიზაცია. მხოლოდ XII ს-ში ჩნდება ლტოლვა რეალისტური ნახატისაკენ. მაგალითად, „იობის Moralia“-ს (იობის გრეკოზირველისეული კომენტარი) თავთურცელში ჩახატული R-ასო ერთეული უადრესი და უელეგანტურესი გამოხატულებაა რაინდისა, რომელიც ახალი საერო კულტურის წარმომადგენელია (სურ. 96). საერო კულტურა კი, სამეფო კარის ცხოვრების წესითურთ, როგორც მოგეხსენებათ, ალტერნატიული შუასაუკუნეთა ბერ-მონაზვნურ-კლერიკალური საზოგადოებრივი წყობისა. თუ მომავალი რაინდის ჯერ კიდევ სტილიზებულ ქვედა ფიგურას წვრილი შუბი სიმბოლურად მოუმარჯვნია, მის თავზე აღმართულ რაინდს, რეალისტურად პროპორციული აღნაგობა რომ აქვს და თითქმის პორტრეტული ნაკვთებით



97. Majestas Domini (ტახტებზე მჯდომარე ქრისტე),  
კედლის ნახატი. ტახტული (ესანეთი).  
დაახლ. 1125  
ჭ. ბარსელონა, კატალონიის მუზეუმი.

გამოირჩევა, ნამდვილი ხმლით გაუმართავს ბრძოლა წყვილ გველე-შაპთან.

ამიერიდან წიგნის მხატვრობა ენაცვლება გამქრალ კედლის მხატვრობასა და წერილობითი წყაროებითღა ცნობილ დაზგურ ფერწერას. XII ს-ის თითო-ოროლა კედლის ნახატი გვაუწყებს, რომ აქ ძველ, ადრერომანულ ფორმებს მსგავს ნებისმიერობას და საქმე სხვაგვარად იყო, ვიდრე მინიატურულ მხატვრობაშია. მაგალითად, ვეება „ტახტზე მჯდომარე ქრისტე“ (ეს თემა კაროლინგური ხანიდან გვხვდება კონ-

ქის მოხატულობაში) მყარ სქემას მისდევს; ამას მოწმობს ჯვრული შარავანდედი და გარსმოვლებული ნუშისებრი წრე, რაც წმინდანობის ნიშანია, აგრეთვე, ქრისტეს მონოგრამა (ალფა და ომეგა; სურ 97). მკაცრი გეომეტრიული ხაზებით შესრულებული თმე და სამოსა-სავსებით სიბრტყულია (წინა ნახატში რაინდის ჩელიეფური გამოსა-ხულებისაგან განსხვავებით). ზესთასოფლის უსასრულო სიდიადეს, სურათის ქვედა ნაწილში, უპირისიპირდება ვიწრო თაღედში მოქცეუ-ლი ამქვეყნიური სასრულობა; წმინდანთა ფიგურების წყალობით აქაც მკაცრი წესრიგი სუფევს.

8 თ დ ა დ ა ა ვ ე ჯ ი

ადრეულ შუასაუკუნეებში მოდა უკვე გამოხატავდა წოდებრივ სხვაობას. სასულიერო წრის პირები და დიდგვაროვანნი უპირატე-

98. ოთხეუთხა და დასაკეცი სკამი,  
ჰაირის II-ს საქითხავი ბიბ-  
ლიიდან. დაახლ. 1010 წ. მი-  
უნენი, სახელმწიფო ბიბლი-  
ოთეკა.



სობას ანიჭებდნენ (სურ. 99) კოჭებამდე ჩამოშვებულ ორნატუსს, რომ-ლის წინამორბედიც ანტიკური ტუნიკა და ტოგაა. ყოველდღიურ სიმღერა სად ხმარობდნენ „ძველფრანკულ“ ტანსაცმელს, ე. ი. შაღალის ცამავა (სურ. 102) ან მოკლე, განიერ და სარტყლით დამაგრებულ ტუნიკას ვიწროდ (ზოგჯერ კი, ღრმად) ამოჭრილი გულისპირით. მასზე მარჯვენა მხარზე ბალთით დამაგრებული მოსასხამი ეცვათ. ახალია ფეხზე შემოტმასნილი შარვალი, რომელიც ჩრდილოელთა განუყრელი სამოსა. მარტივია და პრაქტიკული გლეხის ტანსაცმელი: ზემოთ იცვამდნენ უპრეტენზიო ფერის ხალათს, რომელიც თეძოებზე ქამრით იკვრებოდა (სურ. 103). რომანული მოდის სხვა სიახლენი, რითაც ის რომაულ-ბიზანტიური მოდისაგან განსხვავდება, ასეთია: წელში გამოყვანილი ტუნიკა და შესაბამისად — ახალი თარგი; გარდა ამისა, ორმაგი კაბა, რომელიც, ქვედა სამოსთან ერთად, შლეიფის ჩანასხია; ლტოლვა წმინდა, ნათელი ფერებისადმი.

99. სავარძელი, X ს-ის ბი-ზანტიური ბიბლიიდან.  
ლუკა მახარობელი,  
ლონდონი, ბრიტანე-  
თის მუზეუმი.



100. საწოლი, XII ს-ის ბიბ-  
ლიიდან: კოჭლი კა-  
ცი. პარიზი, წმ. უენე-  
ვიევას ბიბლიოთეკა.



101. ანტიკურ-ბიზანტიუ-  
რი ფორმის დაბალი  
საწოლი, ეპტემბრის  
სახარებს წიგნიდან  
Codex Aureus (1053-  
1056): სამი წმ. მეფე.  
ნიურნბერგი, გერმა-  
ნული ქროვნული მუ-  
ზეუმი.





ԱՐԴՅՈՒՆ  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ



რომანული ეპოქის ავეგი, ფორმის ჩაკეტილობითა და სიბრტყე—  
საბჭ ა სიმარტივით, იმუამინდელი ხუროთმოძღვრების ანალოგი—  
ურია. უხეში ფიცრებისაგან გათლილ ოთხუთხა სკამს, ჰუსისა  
ტიო პირთათვის (სურ. 98) იყო განკუთვნილი, ზოგჯერ მისაყრდნობიც  
აქვს. ფეხების შესაწყობი სკამი უფრო იმისთვისაა, რომ ფეხი სიცივი—  
საგან დაიფაროს. ბრინჯაოს ხანიდან ცნობილ დასაკეც სკამს შეასაუ—  
კუნებშიც ხშირად იყენებდნენ სივრცის სამომჭირნეოდ. სავარძელი  
(სურ. 99) ფუფუნების საგანია; იგი დიდგვაროვან პირთათვის იყო  
განკუთვნილი და თავისი ძირითადი ფორმით რომაული წარმოშობისაა.  
ოთხუთხა საწლოი, ნაწილობრივ, მრგვალად გათლილი ხის ნაწილე—  
ბისაგან შედგება (სურ. 100). ბურთულებით დაბოლოებულ ფეხებ—  
ზე ზეწარს ამაგრებდნენ; ზეწარი ორგვლივ ფარდისავით ეშვებოდა  
(სურ. 101). სკივრი, სადაც ტანსაცმელსა და ჭურჭელს ინახვდნენ,  
XII ს.-დან იდენს სამომავლო ფორმას (სურ. 104). აქ წინა ფიცრის  
პირიზონტალურ ხაზს, რელიეფურად ნაკვეთი თაღედებითურთ,  
უპირისპირდება შვეული გვირაბები. სკივრი მორთულია მზე—  
მთვარის გამოსახულებებითა და არქიტექტურულ პორტალთა  
მსგავსი ლიობებით.

- 102. ბამბერგის აპოკალიფსი. დახლ. 1020 წ. ბამბერგი, სახელმწიფო ბიბლიოთეკა.
- 103. მევენაქენი, ეპტერნახის სახარების წიგნიდან — Codex Aureus (1053-1056): ნიურნბერგი, გრმანული ეროვნული მუზეუმი.
- 104. სკივრი. XII ს., სონი (შვეიცარია), Musée de Valère.






მეორე დიდ მხატვრულ ფორმას, რომელიც შუასაუკუნეებში იშვა, იტალიელმა ხელოვანმა და ბიოგრაფმა ვაზარიმ „stile gotico“ უწოდა. ამ სიტყვაში მან უარყოფითი შეფასება ჩადო. ეს სტილი გუთებმა, ანუ ბარბაროსებმა, პირქუშ ჩრდილოეთში შექმნეს და იგი სრულიად უცხოა ანტიკური — გაწონასწორებული და პარმონიული — მსოფლებლივისათვის. თავდაპირველად სალანდავად შერქმეული სახელი მოგვიანებით მყარ სახელწოდებად იქცა იმ მხატვრული სტილისათვის, რომელიც XII ს-ის შუაწლებში საფრანგეთში ჩაისახა; მან ევროპის მრავალ მხარეში იარსება XVI ს-ის შუახანებამდე.

ესოდენ დიდი, ოთხსაწლიანი მონაკვეთი, რომლის მანძილზეც გუთურმა ხელოვნებამ განვითარების უმრავალფეროვანების გზა განვლო, მეტად აძნელებს ამ ეპოქისათვის უცილობლად ნიშანდობლივი ნიშნების პოვნას, მით უფრო, რომ სხვადასხვა კუთხეს თუ ქვეყანას სრულიად სხვადასხვა სულიერი, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური წინაპირობები ახასიათებს. ახლად გამოჩეკილ ბურჟუაზიასა და შესაბამის ნივთიერ აღმავლობას ისეთივე წვლილი მიუძღვის ამ სტილის შექმნაში, როგორც მეცნიერული აზროვნების შეჭრას სქოლასტიკურ ფილოსოფიაში, რომელიც მანამდე მხოლოდ რწმენას ეყრდნობოდა. XI ს-ში პაინრის IV-სა და გრეგორ VII-ს შორის გამართული ბრძოლა ინვესტიტურისათვის ამ ეპოქის მომასწავებელია, რადგან ადამიანი ამ-სხვრებს იმ მკაცრად დაღვენილი საზოგადოებრივი წესრიგის ჩარჩოებს, მანამდე პაპის სასულიერო და იმპერატორის საერო ავტორიტეტი რომ ქმნიდა. რომანული ხელოვნება კი სწორედ ასეთ მსოფლწესრიგს გამოხატავს. მისი ტაძრები, აღმოსავლეთ-დასავლეთ ქორედებითურთ, სწორედ ეკლესიისა და იმპერატორის წინასწორობას გვაუწყებს.

გუთური ხელოვნება, პირიქით, მეტად მრავალფენოვანი საზოგადოებრივი სტრუქტურის ნაყოფია. იგი აღარ იყენებს სტანდარტულ, განყენებულ სიმბოლოებს, არამედ თავისი ბუნების კვალო-




105. მადონა. კრუმაუ (ბილმენი),  
დაახლ. 1410 წ. კირქვა. სიგ-  
რძე — 112 სმ. ვენა, ხელოვ-  
ნების ისტორიის მუზეუმი.




106. ამინის ტაძრის კონსტრუქ-  
ციის სქემა (გუთური სისტე-  
მა, ნაგებობის ჩონჩხი). 1220-  
1269 წწ.

1. შუანავი
2. გვერდითა ნავები
3. გუთური სვეტების კონა არყა-  
დებით
4. ტრიფორიუმი (მეტწილად, ერ-  
თმანეზზე მიგრილი სამი თაღი)
5. შუანავს სარკმლთა ღიაბები
6. სარტყლური თაღები ჭვარულ-  
ნერვიურიანი კამარის ღიაბო-  
ნალური ნერვიურებით (წიბო-  
ებით)
7. გარესაყრდენი თაღები (არკბუ-  
ტანი)
8. კედლის ბურჯები (კონტრ-  
ფორსი)
9. წვეტის დამაგვირგვინებელი  
ჭვარყვავილა




107-109. ამიენის საკათედრო ტაძარი. 1220-1269 წწ. შუანავი და ქორედი. დასავლეთის ფასადი; დასრულდა XIV-XV სს-ში. გეგმა.



ბაზე, აყალიბებს სრულიად სხვადასხვა გამომსახველობით ფორმებს. ეკლესია ცდილობს, მისტიკურად ცად აჭრილი შენობებით მორწმუნებს დაანახოს ზესთასოფლის სასწაულქმედებანი და ლოეს ცხლლები ბური განცდით რწმენა გაუღვივოს მას. საჩაინდო კულტურული ტრადიციით, ხაზგასმით საჯაო კულტურაა. იგი თავს იჩენს შუასაუკუნეთა ლიტერატურაში, სამეფო კარის ნაგებობებსა და სახვით ხელოვნებაში, აგრეთვე მანამდე სრულიად უცნობ დამოყიდებულებაშიაც ქალის მიმართ. დასასრულ, საკუთარ ძალებს დაყრდნობილ ბიურგერთა ახალი რეალისტური სულისკვეთება აპირობებს ახლადგალვიდებულ ინტერესს საერთო კულტურული ცხოვრების შესაქმნელად. გვიანშუასაუკუნეთა დიდი სამოქალაქო ნაგებობები ამ ფენის მძაფრი თვითშეგნების საბუთია.

გოთიკის ხანაში საზოგადოების ამ მზარდ დიფერენციაციას შეესაბამება ერთ დროს მყარი მხატვრული ფორმის დაშლა უალრესად განსხვავებულ ცალკეულ ფორმებად (სურ. 112-117). გუთური შედევრების ფილიგრანობა, რამაც განვითარება პლოვა წრეში ჩასმული და ურთიერთგადაბმული სამი თაღის მარტივი ჩუქურთმიდან გვიანგოთიურ მგზნებარე სტილმდე (Flamboyant), ისევე ნიშანდობლივია ამ სტილისათვის, როგორც გუთური მადონას (სურ. 139) ვირტუოზულად დახატული სამოსის ნაოჭები, ან რომელიმე ფრანგული კათედრალის ლაბირინთები, მის გეგმაშიაც რომ მოჩანს (სურ. 109).


ფორმის დიფერენცირებას გუთურ ხელოვნებაში ჯერ კიდევ არ მოჰყოლია ადამიანისა და ბუნების რეალური ფორმის გაგება. მან უფრო სტილიზების ახალ შესაძლებლობებს მიაგნო, რათა შეგრძნებებით ნაწვდომი სინამდვილე, პირობით-მხატვრული ნიშნების მეოხებით, ზეპიროვნულ და ზერეალურ სიმბოლურ ენაზე გადაეთარ-გმნა.




110. ელისაბედის  
ეკლესია.  
მარბურგი  
(ლაანი). შექ  
ნებით 1235  
წ. გვგმა.

რომანული არქიტექტურის დამჯდარ შენობებს გუთური სტილი  
ცად ატყორცნილი შენობებით დაუპირისპირდა. მრგვალ თაღს, რაც  
ჩაკეტილი, თავის თავთან მობრუნებული მოძრაობის პრინციპია,  
ამიერიდან ისრული თაღი ენაცვლება. იგი გამოხატავს ზესწრაფვის  
წადილს, მიუღწეველი მიზნისაკენ დაუცხრომელ ლტოლვას. კედე-  
ლი, რომანულ ეპოქაში რომ სიკეთის ბასტიონი იყო ბოროტების წი-

111. გამომწვარი აგუ-  
რით ნაშენი გუთუ-  
რი ნაგებობა ჩრდი-  
ლოეთ გერმანიში:  
იმეამინდელ ცის-  
ტერციინზერთა მო-  
ნასტერი. ქორინი  
(ბრანდენბურგის  
ოლქი). 1273 —  
1344 წწ.





117



118

ერთონიანი  
პირდაპირისა


119



120



121



122



112-117. გუთური აფურული ორნამენტი: 112. ფლემბოიანტი — მგზნებარე სტილი (სენის საკათედრო ტაძარი, სამხრეთ განივი ნავის ვარღული. 1490-1497 წ.). 113. სამთვეზას ფორმის ორნამენტი. 114. მრგვალ ჩარჩოში ჩასმული სამრკალის ორნამენტი. 115. კუთხოვან ჩარჩოში ჩასმული სამრკალი. 116. კუთხოვან ჩარჩოში ჩასმული ოთხრკალი. 117. მრგვალ ჩარჩოში ჩასმული ხუთრკალი.

ნააღმდეგ, დააქუცმაცა ვეება ფანჯრებმა, წონა დაუკარგა მას და მსახურ კოლონათა, ნერვიურებისა და კონტრფორსების ფილიგრანად აქცია. გეგმა გვიჩვენებს სივრცის ცხროიან კონტურებს. აღმოსავლეთ-დასავლეთ ფრთათა წონასწორობის ნაცვლად ნავი ქორედისაკენ მიექანება (სურ. 109). სამლოცველო დარბაზი ჭერ სამნავიანია, შემდეგ კი, სამნავიანი განივი ნაგებობით გატიხრული ქორედი დარბაზს გამოყოფა და ხუთ ნავად ქცეული, გარშემოსავლელსა და აფსიდის ირგვლივ ჩამწკრივებულ კაპელებთან ერთად, საკურთხევლის სივრცეს შემოსაზღვრავს. გარეაღნაგობას (სურ. 108) აღარა აქვს ხაზგასმით დანაწევრებული რომანული ნაგებობის თვალმოსავლები სტრუქტურა (ასეთ ნაგებობას ხომ უთუოდ ახლდა პატარა სარკმლები და კედლის ბრტყელი შვერილები), არამედ ეს არის ზემსწრაფი, დეკორატიული და არქიტექტურულ-პლასტიკური ფორმების ნატიფი სის-

ტემა. იგი ემოციურ წვდომას მოითხოვს და არა რაციონალურს. ახა-  
ლი შემოქმედებითი ნება იმ კონსტრუქციულ საშუალებებს მიმარ-  
თავს, რომლებიც შემდეგ აშეარა სტილურ ნიშნებად ყილიმრტბენ გვი-  
ესენია: ისრული თაღი, ჯვარულ-ნერვიურიანი კამარა და კონკო-  
ფორსი. ჯვარულ-ნერვიურიანი კამარა ნორმანდიაში (სურ. 123) აღ-  
რეც იცოდნენ. იგი, რომანული მრგვალი თაღის საპირისპიროდ, სათა-  
ნადოდ დადაბლებული ისრული თაღებით სწორკუთხა ნავების კამა-  
როვანი გადახურვის საშუალებასაც იძლევა. კამარის დაწოლა ნერვიუ-



118. ფლორენცია, სანტა კროჩეს ფრანცისკელთა მონასტერი. მშენებლობა დაიწყო  
XIII ს-ის მე-2 ნახევარში.

1503 -

1519 წწ.

ვესტმინ-

სტერის


სააბა-

ტოს მი-

ნაშენი.

ლონდო-

ნი.



რებიდან (სურ. 106) გადაეცემა მსახურ კოლონებს, ნავთა კუთხეებში რომ დგანან და შიდასივრცეში იკარგებიან. გვერდული განბრჯენა აკის-რია გარედან ხილულ, დამრეც თაღოვან საბჯენებს, რომლებიც მას კონტრფორსებს გადასცემს. ამგვარად, კამარის განმბრჯენი ძალები ერთობლივად თავს იყრის ნავთა კუთხეებში, რაც კედელს იმდენად

განტვირთავს, რომ იგი მთელი ნავის გასწვრივ შეიძლება ფანჯრებით შეიცვალოს. გვერდითი ნავის ცალფერდა სახურავის უკან მდებარე კედლის ნაწილი უფანჯროდ რჩება, მაგრამ კედელი რომ ფერტუჭტები კურად განიტვირთოს, ტრიფორიუმის მეშვეობით მისტერიულობა და „ამოლრმავება“ ხდება. ყოველივე ამან რომანული ხანის მასიური კედელი აქცია კარკასულ კედლად — კოლონების, ნერვიურებისა და კონტრფორსების მზიდ სისტემად.

ეს მაღლივი და უაღრესად თამამი კონსტრუქცია (სურ. 107) შიგნით სივრცის ძლიერ მისტიკას იწვევს. იატაკიდან კამარამდე ატყორცნილი მსახური კოლონების მეტაცი სისტემა ვერტიკალურ ჭრილში ქმნის სივრცის იმ ტიპურ გოთიკურ დინამიკას, რომელიც გეგმის პორიზონტალურ ჭრილშივე მოჩანს. ასეთ მძლავრ ზესწრაფვას აჩენს არა მარტო შიდასივრცის აბსოლუტური სიმაღლე (ამიენში 42,5 მ.), არა მედ შუანავის სიგანის შეფარდებაც შუანავის სიმაღლესთან, რაც კლასიკურ საკათედრო ტაძრებში ერთი სამზეა (1:3).

სივრცის დინამიკაში არსებითი წვლილი შეაქვს სინათლესაც. შუანავის სარკმელთა ვეება ღიობიდან ტაძრის თავზე იფრქვევა წმინდა სინათლე, ქვემოთ კი მისტიკური ბინდია გამეფებული. აქ ცხოვლად განიცდება შუასაუკუნეობრივი წარმოდგენა შავბნელ სააქაოსა და ღვთის ნათლით გასხვოსნებულ ზესთასოფელზე.

გოთიკის დასაბამი ძირძეველი საფრანგეთი ილ დე ფრანსია. ევროპის პირველი გუთური ნაგებობა — წმ. დენისი (1137—1150 წწ.) აშენდა პარიზის მახლობლად; ამას მოჰყვა ნოტრ დამი პარიზში (1163 წ.), შარტრი (1194 წ.), რეიმსი (1211 წ.), ამიენი (1220 წ.). თარიღები მშენებლობის დაწყებაზე მიუთითებს. ევროპის სხვა ქვეყნებში გუთური ხუროთმოძღვრება ჯერ ძალზე თავშეკავებით მიიღეს. შედარებით ადრე მისი ზეგავლენა განიცადა გერმანიაში, ისიც მხოლოდ საფრანგეთის მხრიდან, რაინის დასავლეთით. 1250 წელს შტრასბურგის საკათედრო ტაძარმა მიიღო ახალი, გუთური, გრძივი შენობა. 1248 წელს საფუძველი ჩაეყარა კელნის საკათედრო ტაძრის მშენებლობას. ორივე ტაძარი აგებულია ფრანგული ნიმუშების მიხედვით. რაინის აღმოსავლეთით მდებარე გოთიკური ნაშენი გვიანრომანულ ფორმებს უკავშირდება. აქ თავის თავში დავანებული შენობის რომანულმა გააზრებამ ისე ღრმად გაიდგა ფესვი, რომ ფრანგული გოთიკის დინამიური ზესწრაფვა მეტად შენელებულია. მარბურ-



120. ძველი ქალაქის საბჭოს შენობა ბრაუნშვაიგში. 1393-1396 წწ. და 1447-1468 წწ.


გში 1235 წელს აშენდა პირველი გუთური დარბაზული ეკლესია, სადაც შუანავსა და გვერდით ნავებს ერთი სიმაღლე აქვს. ვინაიდან აღარ არსებობს სივრცის გამყოფი მაღალი კედელი, სივრცე სიგანეში იგებს ოპტიკურად. გეგმაში მოჩანს (სურ. 110) თავის თავში ჩავეტილი სივრცული კონსტრუქცია, სამყურა ბალახისნაირი ქორელითურთ, რასაც თავის დროზე მისდევდა რომანული არქიტექტურა. ცალკოშვიან ფასადებშიაც (ბრაისგაუში მდებარე ფრაიბურგსა და ულმში), გრძივ შენობას რომ გასდევს, უმაღ შევიცნობთ დამოუკიდებელ შენობათა დაჯგუფების ძველ რომანულ პრინციპს: ისინი არასოდეს ითქვითება ერთ მთლიანობად, როგორც ეს საფრანგეთშია.

ნატურალური ქვით ღარიბ ჩრდილოეთში ხელი მიჰყვეს გამომწვარი აგურით მშენებლობას, რაც, ალბათ, გერმანული გოთიკის ყველაზე დიდი მონაპოვარია. ჰანზას ქალაქებისთვის ნიმუშს მიმცემი ლიუბეკია, თავისი მარიენკირხეთი (1250 წ.). ეს არის ბაზილიკა, განვით ნაგებობის გარეშე, ორკოშვიანი ფასადით. კედლის

ვრცელ ზედაპირს მასალა განსაზღვრავს და არა აუზრული ორნამენტი. ჩრდილო გერმანიის ცენტრალურ ნაწილში უპირატესობა ენიჭება გამომწვარი აგურით ნაშენ დარბაზულ ეკლესიას. გუთური ლონჯენი მენტით ძუნწად მორთული ბრტყელი, დაბალი ფასადები ლდნავ თუ განსხვავდება იმუამინდელ სამოქალაქო ნაგებობათაგან.

ინგლისშიაც, იმის გამო, რომ იგი კუნძულია, გუთურმა სტილმა მეტად თავისებური გზა განვლო. ადრეულ ინგლისურ გოთიკაში (1170—1250 წწ.) გაჩნდა გრძელი პორჩიზონტალური შენობები ზემსწრავ საყრდენთა გარეშე. დეკორატიული სტილისათვის (1250—1350 წწ.) ნიშანდობლივია ის, რომ კამარის ნერვიურები მარაოსებრ, ბადისებრ ან ყვავილის გვირგვინისებრ ფორმას იღებს. პერპენდიკულარული სტილისათვის (1350 წ-დან), ბოლოს ტიუდორის სტილით რომ დაგვირგვინდა, ტიბურია გისოსისებრი რკინის წნული, ბრტყელი ტიუდორის თაღი და კამარის ნერვიურებით შემკობა (სურ. 119).

იტალიამ შეითვისა გუთური სტილის მხოლოდ რამდენიმე ელემენტი; ესენია: ისრული თაღი და სადა ჯვრული კამარა; თან, იტალიელნი უპირატესად მისდევდნენ XIII ს-ში დაარსებულ უპოვართა ორდენის მარტივ სამშენებლო წესებს, რომლებიც მოითხოვდნენ ვრცელ საღვამს საქადაგო ღვთისმსახურებისათვის (სურ. 118).



121-128. კამარის სახეები: 121. ცილინდრული კამარა 122. ჯვროვანი კამარა 123. ჯვარულ-ნერვიურიანი კამარა 124. ბადისებრი კამარა 125. ფეროვანი კამარა 126. ვარსკვლავა კამარა 127. კასრული კამარა 128. სარკულა კამარა

საერო ხუროთმოძღვრებაში ახლებურად შეირწყა გუთური სტილის ელემენტები: ისრულთალიანი ფანჯრები ქალაქის საბჭოსა და სხვადასხვა კორპორაციის შენობებზე, ნერვიურებიანი კამარუბი სადღესასწაულო და წარჩინებულთა თავშესაყრელ დარბაზებზე, აგრეთვე, წყვილი წვეტიანი კოშკი — ქალაქის ჭიშკარზე. ბრაუნშვაიგის (სურ. 120) ქალაქის საბჭოს ძველ შენობასაც, ლიუბეკის რატუშასავით, ორი სწორკუთხად მიერთებული გრძივი შენობისაგან რომ შედგება, აქვს თაღებიანი დერეფანი ისრულთალიანი არქადებით, ვიმპერგებითა (მოჩუქურთმებული ფრონტონებით) და აუზრული ორნამენტით, რაც ემყარება ზედა დერეფნის მრგვალ თაღებს. გარდა ამისა, აქ არის სკულპტურული სვეტები ბალდაზინებქვეშ და გუთური კიბურა ფრონტონები. დამოუკიდებელი საერო ხუროთმოძღვრების სტილი გერ კიდევ არ არის შემუშავებული.

## გ ა ნ დ ა კ ე ბ ა

ადრინდელი გუთური ქანდაკება, რომანულის მსგავსად, არქიტექტურის ელემენტია. ეს არის კარ-სარქმლის ჩარჩოში ღრმად შედგმული სკულპტურული სვეტები. მათ, როგორც საბჭენ ელემენტს, უთურდ აკისრია ტექტონური ამოცანა. შარტრის დასავლეთ ჰიორტალის ადრინდელი სკულპტურები, თავიანთი უსისხლხორცობითა და სამოსის ნაკეცთა სქემატური ხაზობრიობით, გახვებული ფრონტალური დგომითაც, გერ კიდევ მთლიანად სვეტსაა მიჯაჭვული (სურ. 133). რეიმსის სვეტის ფიგურებმა კი — „მარიამი და ელისაბედი“ — საგრძნობლად გაწყვიტეს კავშირი ხუროთმოძღვრებასთან სხეულის მოცულობითობითა და ცოცხალი მოძრაობით (სურ. 130). ეს ორი ნიმუში ნათლად გვისურათებს გუთური მონუმენტური ქანდაკების განვითარებას ადრეული საფეხურიდან მომწიფებულ სტილამდე, რაც, თავის მხრივ, ეხმიანება ბერძნული ქანდაკების განვითარებას არქაული სტილიდან კლასიკურამდე. ეს ახალი, თავისუფალი, სინამდვილესთან ახლომდგომი ხატი აღამიანისა ფართოდ იყიდებს ფეხს საფრანგეთში. შტრასბურგის „Ecclesia“-ს ბუნებრივ ელეგანტურობაში უკვე მოჩანს სამეფო კარის სარაინდო კულტურის ზეგავლენა (სურ. 131). სიფრინფანა სამოსში რეალისტურად გახვეული სხეული

ს-მრუდითაა მოხაზული, რაც კარგა ხანს რჩება გუთური ქანდაკების /  
მამოძრავებელ მოტივად.

თუ ფრანგი მოქანდაკე მშვენიერების ახალ იდეალს ქმნას შემნახული  
დანის გამოსაძერწად, რაც ზეციურ სიღიადესა და იმჯვეუნიურ სი-  
ხარულს გვამცნობს, გერმანული ქანდაკება ადამიანის სულს ულრმავ-




129. ვაიტ შტომისი (1445-1633).  
მარიამის ქანდაკება ხელოვა-  
ნის სახლში. დაახლ. 1499 წ.  
ნიურნბერგი. გერმანული  
ეროვნული მუზეუმი.



130. ჩემისი, მარიამი და ელისაბედი. დაახლ. 1140 წ.

131. შტრასბურგი, Ecclesia. დაახლ. 1220-1230 წწ.



დება. მაგალითად, ნაუმბურგის დამაარსებელთა ფიგურები (სურ. 132) იღეალური ხატები კი არ არის, შორეულ წმინდანებს რომ გამოხატავს, არამედ იმჟამინდელი ადამიანებია, ტვირთად რომ დასწოლიათ ამქვეყნიური ასებობა. განიერ მოსასხმში გახვეული უტა ბუნდოვანი მერმისისაკენ იყურება, რითაც გვამცნობს შუასაუკუნეთა მიწურულის მელანქოლიას. გერმანული რაინდობის ბრწყინვალებამ ჩაიარა და პორიზონტზე პოლიტიკური კონფლიქტის შავი ღრუბლები ჩამოწეა.


XIV ს-ისა და XV ს-ის ადრეული წლების ქანდაკებაში ვგრძნობთ გამოვიძებული ბიურგერობისა და გრძნობამორეული მისტიკის სულისკვეთებას. გამოსახულებები ხალხურია, ნაზია. ისინი აღარ გვევლი-

ნებიან მკაცრ იდეალებად, არამედ ემსახურებიან ცალკეული ადამიანის სულიერ აღორძინებას. ეს არის „ტურფა მაღონების“ ხანა. მათ მიმზიდველი, სანდომიანი სახეები აქვთ და განიერი, ფართაში სამოსა აცვიათ. ტანსაცმლის ნაოჭთა დეკორატიული (სურ. 105) ნაირგვარობა სხეულისაგან დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევა, გვიანგუთური ფიგურების სამოსი კი „სხეულის გამოძახილია“. გარეგანი მორთულობის სიჭარებები შინაგანი სიღიადის დაკარგვასაც ნიშნავს. შუასაუკუნეთა მიწურულს, გერმანულ ქანდაკებას ერთხელ კიდევ დაუდგა აყვავების ხანა. ამასობაში იტალიაში ადრინდელი რენესანსი გვიანდელმა შეცვალა. ტილმან რიმენშნაიდერისა და ვაიტ შტოსის ქმნილებებში

132. ნაუმბურგი, ეკეპარდი და უტა. 1270 წ.-მდე.

133. შარტრი, დასავლეთ პორტალის კედლის ფიგურები. დაახლ. 1140 წ.





134. პიზის ბაზილისტერიუ-  
მის კათედრა 1260 წ.  
ნიკოლო პიზანოს ქმნი-  
ლება.

ბოლო დიდებული აკორდივით შეჯამდა და კვლავ გაცოცხლდა შუ-  
ასაუკუნეთა ფორმების მთელი სიუხვე. ვაიტ შტოსის მაღონამ, თა-  
ვისი ძლიერი თავდაჭერილობით, სძლია გოთიკის მანერულ მაღონას.  
აქ სამოსის მძიმე ნაოჭები კვლავ ემორჩილება სხეულის მოძრაობას;  
ქანდაკება მომხიბლავია, თან, მკაცრი (სურ. 129).

იტალია ქანდაკებაშიაც თავის გზას გაჰყვა. აქ მან, არსებითად,  
შეინარჩუნა ანტიკური მემკვიდრეობა და ზურგი აქცია ჩრდილოეთ  
ევროპის გუთურ სკულპტურას. ანტიკური სარკოფაგების, რელიე-  
ფური მორთულობით შთაგონებულმა ნიკოლო პიზანომ ახალი სუ-  
ლი შთაბერა. იტალიურ ქანდაკებას. მისი საეკლესიო კათედრები  
(სურ. 134) პიზასა და სიენაში, გუთურ ჩუქურთმებში ჩასმული რეა-  
ლისტური სკულპტურული რელიეფებითაა მორთული, რომლებიც  
სტილისტურად რენესანსის მომავალს გვაუწყებს.

135. მიქელა პახერის დასაკეცი  
საკურთხეველი (დაახლ. 1435-  
1498), წმ. ვოლფგანგი ზალც-  
კამერგუთში, 1481 წ.



მ ხ ა თ ვ რ ი ბ ა

კედლის მხატვრობის — ფრესკის — მხარდამხარ, რომელიც  
იტალიაში დიდხანს იყო გამეფებული, ჩრდილოეთ ევროპაში, უმ-  
თავრესად, ფეხი მოიკიდა საკეცმა საკურთხეველმა. საკურთხევლის  
ტაბლაზე, ქვემოთ, აღმართულია მოხატული ან ჩუქურთმებით ნაკ-




136. ჭორო (1266?-1337), დატირება. დაახლ. 1305 წ. არენა-კაპელას ფრესკა პალუ-აში.

ვეთი შემაღლება; მას თავზე ადგას ყუთი, რომელსაც მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში ხსნიან. ყუთს აქეთ-იქიდან მოხატული ფრთები ჰქიდია (სურ. 135). თუ ფრთებს მოვკეცავთ, გამოჩნდება ფრთის ზურგზე მიხატული სურათები. წმ. ვოლფგანგის საკურთხეველს აქეთ-იქით ორ-ორი ფრთა ჰქიდია, ე. ი. სულ სამგვარად შეუძლია სახე იცვალოს.

სტილისტურად აღრინდელი გუთური მხატვრობა დიდხანს განიცდიდა ბიზანტიური სახვითი ხელოვნების გავლენას. დიდი მოზაიკური ციკლები ვენეციის წმ. მარქოზში და სიცილიურ ტაძრებში, აგ-

რეოვე, მცირედ შემორჩენილი ადრინდელი დაზგური მხატვრობა, ტრანსცენდენტური, უსიცოცხლო და უპიროვნო გამოსახულებების და ლვთაებრივი წესრიგის შეუვალობას მიგვანიშნებს (სურ. 7 მტ). ასე გვხვდება



137. სიმონე მარტინი (1284-1344), ხარება. 1333 წ. ფლორენცია, უფიცი.

მოსიანის  
გრაფიკული




138. ვიტინგაუელი ოსტატი (მოლვაწეობდა ბიომენში, დაახლ. 1380-1390 წწ.). აღ-  
დგომა. საკურთხეველი ვიტინგაუში. პრაპა, ეროვნული მუზეუმი.

ტიურ ტრადიციასთან, პირველად და თანმიმდევრულად, კავშირს წყვეტს ფლორენციელი მხატვარი ჯოტო, ვინც „maniera greca“-ი დაუპირისპირ „dolce stile pionovo“. ჯოტოს ფრესკები (სურ. 136) დაუპირისპირისპირია „dolce stile pionovo“. ჯოტოს ფრესკები (სურ. 136) პალუაში, არენას კაპელაში, გვამცნობს გარდატეხას ახალი რეალისტური სტილის მიმართულებით. ექვემდებარების სხეულებრივ-პლასტიკურად არის მოდელირებული, რაც სრულიად უცხოა ბიზანტიური კედლის მხატვრობისათვის. გამოსახულებათა დაჯგუფებაშიაც სივრცის ახლებური გააზრება იყითხება. წინა ზურგშექცეული ფიგურები, პროფილში მდგომ და ფრონტალურ ფიგურებთან ერთად, წრეს კრავენ ქრისტეს გვამის ირგვლივ, რაც სილრმულად გააზრებულ სცენას ქმნის. ერთგვარი შუაფონია ღონიერი, კლდოვანი ქედი, რეალისტურად დახატული ხის გამოსახულებითურთ. დასასრულ, სივრცის სილრმეს გახაზავს ცის სილურჩე — ამქვეყნიური ცის კამარის სიმბოლო — ნაცვლად ბიზანტიური ოქროცურვილი ფონისა. ახალია მიხრა-მოხრის ცვალებადობის ათასგვარი მოტივიც. ისინი დიდად სცილდებიან ტრადიციული აზრით დატვირთულ უესტ-მიმიჯას და წმინდა ადამიანურ განცდებს გამოხატავენ. ამ განცდების სკალა მოიცავს თავ-დაჭრილ თანაგრძნობასაც (მარჯვნივ მდგომ მოციქულთა ფიგურები), უგონო ტანჯვასაც (მჯდომარე ფიგურა), უტყვ სასოწარკვეთილებასაც (თავშებურვილი ქალი) და დიდ ემოციურ გზნებასაც.

თუმცა ბევრი ხელოვანი აღტაცებით შეხვდა ჯოტოს ძლიერ გადახრას რეალიზმისაკენ, მაგრამ სავსებით ვერცერთი ვერ გაჰყვა ფლორენციელის გზას. ამის საბუთია თუნდაც მასზე თითქმის ერთი თაობით უმცროსი სიენელი მხატვრის სიმონე მარტინის შემოქმედება; იგი დიდი სიფრთხილით მოეკიდა მხატვრობის ახალ მეთოდს. მართალია, „ხარებაში“ რეალისტურად დახატული მარმარილოს იატაკი (სურ. 137) სივრცულ სცენას ქმნის, მაგრამ ფონი კვლავ ოქროს-ფერია. მშვიდი პოზაც პლასტიკურად დიდ ზემოქმედებას ახდენს, მაგრამ ფიგურები, თავიანთი სიბრტყულობითა და ნიღბური სახეებით, წინანდელ წარმოდგენებს იმეორებენ. მაშასადამე ჯოტო ახალი ხანის სათავეში კი არ დგას, არამედ ამ ხანის გენიალური მაუწყებელია. მხოლოდ რენესანსის დიდმა მხატვრებმა სცნეს იგი თავიანთ სულიერ მამად.

XIV ს-ში, ავინიონის მეშვეობით, დასავლური ხელოვნების ცენტრები — პარიზი და ბურგუნდიის დიუკნი — კავშირს ამყარებს




139. შტეფან ლოხნერი (დაახლ. 1410-1451). დედა ლოთისა ვარდების წნულში. დაახლ. 1440 წ. კელნი, ვალრაფ-რიხარცის მუზეუმი.

„ახალ“ იტალიურ მხატვრობასთან (სიმონე მარტინი დიდხანს ემსახურება გაძევებულ პაპებს). წიგნის მხატვრობამ პირველად ბურგუნდიის სამეფო კარზე მიაღწია თავისი განვითარების მწვერვალს, რასაც მოწმობს სინამდვილესთან თვალშისაცემი სიახლოვე (ჰერცოგ ბერრის „უამნი“). ხელოვნების ღიღი მფარველის, ბურგუნდიელი ჰერცოგის კარზე, XV ს-ში მოღვაწეობდა ვან ეიკიც. მან, თავის ძმას-

თან, ჰუბერტთან ერთად საფუძველი ჩაუყარა პოლანდიურ რეალისტურ ფერწერას. პეიზაჟის ხატვაში მათ ჰაერის პერსპექტივის მიზნებს, რაც ნიშნავს ფერთა ნელინელ ცვალებას წინა ხედის მუჭტულების რებიდან შორეული ხედის მქრქალ ცისფრამდე. მაშასაღამურაშვილის ითვალისწინეს ჰაერითა და ნისლით გამოწვეული ფერთა ცვალება-დობა.

სინამდვილის ფხიზელმა ალომ მიაგნებინა იან ვან ეიკს დაზგური პორტრეტის ხელოვნებაც. ცნობილ სურათში — „ცოლ-ქმარი არნოლფინები“ — მან მოვცა საერთ შიდასივრცის მხატვრული გააზრება და სახვითი ხელოვნებისათვის (სურ. 141) სპეციფიკური სივრცის ატმოსფერო. მართალია, ამ ნახატის ჩია, თითქმის უხორცო ფიგურები და ქალის სამოსის უხვი ნაკეცები გუთური ტრადიციის მექვიდრეობაზე მიუთითებს, მაგრამ ყოვითი წვრილმანების (ფეხსაცმელი, ჭალი, ფარდა, საწოლის ნიში თუ სხვა) რეალისტურ აღწერაში იგი დიდად სცილდება იმჟამინდელ მხატვრობას. იან ვან ეიკის დიდი თანამემამულე, ვან დერ ვეიდენი, საგანთა სივრცით-სხეულებრივი არსებობის ამგვარ გავებას აერთებს ფორმისა და ხაზის გოთიკურ გააზრებასთან. ვან დერ ვეიდენის „ქრისტეს ნათლისლებაში“ უაღრესად დანაწევრებული სივრცის სტრუქტურა (სურ. 140) შეხამებულია მეტად რეალისტურად დახატულ გუთურ არქიტექტურასა და სინათლით უხვად მოფენილ მდინარის ლანდშაფტთან. ამ სურათის ფიგურებს სრულიადაც არ სჭირდებათ ეს სივრცე; ისინი წინა ხედში დგანან, გარემოსაგან გამოყოფილნი, თითქოს სხვა სამყაროს შვილები არიანო.

რეალური სინამდვილის დეტალურ ასახვას უპირისპირდება აგრეთვე გატაცება სამოსის წმინდა დეკორატიული ფერებითა და ფორმებით. სააქაო-საიქიოს შუასაუკუნეობრივი დუალიზმი, რაც დიდი გზნებით აისახა გუთურ ხუროთმოძღვრებაში, ჯერ არც აქ არის დაძლეული. პრაპაში, იმპერატორ კარლოს IV-ის კარზე XIV ს-ის შუაწლებში ყალიბდება ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, სადაც ფრანგულისა და იტალიურის ზეგავლენით გზას იყაფავს ბოკე-მიური ფერწერა. ბოკემიური რეალიზმი საკუთრივ ნაკლებად მისდევს რელიგიური მასალის გამქვეყნიურებას (რაც ესოდენ ახასიათებს იმუამინდელ იტალიურ მხატვრობას); მას უფრო რელიგიურ მოვლენათა დახატვა აინტერესებს. მაგალითად, ფონ ვიტინგაუ „აღ-



140. ჩოქიერ ვან დერ ვეიდენი (დაახლ. 1399-1464), ქრისტეს ნათლისლება. იოვანეს  
საკურითხევლის შუა სურათი. 1450 წ. ბერლინ-დალემი, სურათების გალერეა.



141. იან ვან ეიკი (დაახლ. 1390-1441), ცოლ-ქმარი არნოლფინები. 1434 წ. ლონდონი, ეროვნული გალერეა.

დგომაში“ თავს არ იწუხებს ლანდშაფტის ხატვით; აქ მთავარია მთლიანი ატმოსფერული სივრცე, როგორც განწყობის შემქმნელი. წითელი ცისა და ჩამუქებულ კლდეთა კონტრასტი სცენას სძენს ამ ქვეყნის შემძრავი მოვლენის შესაფერის დრამატულობას. გუშაგთა სხვადასხვაგვარი საქციელი უნდა გავიაზროთ, როგორც ანალოგია

კაცობრიობის რეაქციისა ქრისტიანული რწმენის ამ თავიდათავი მოვლენის მიმართ. გულგრილობა, დაბნეულობა, სიბრიყვე და ცნობისმოყვარეობა — აი, რა იკითხება დალუქული სარკოფაფის უფლება მდგომ ფიგურათა სახეებზე. მხოლოდ წინა ხედში მოქციულ გრძელი ჩვილ რაინდზე უმოქმედია ამ ამბავს; მაცხოვრის მაკუროთხებელი უსტიც მას ეკუთვნის (სურ. 138).

ამ სცენის ლირიზმი და გამოსახულებათა სულიერი სხვადასხვაობა იმ სტილის ნიშნებია, რომელიც ახასიათებს XV ს-ის გერმანულ ფერწერას. მათ ვხვდებით როგორც ჩრდილოგერმანელ (ფრანკი და ბერტრამი), ისე ვესტფალელ (კონრად ფონ ზოესტი) და კელნელ ფერმწერთა ნამუშევრებში. რაინის სამხატვრო სკოლის მთავარმა მხატვარმა შტეფან ლოხნერმა შექმნა მომხიბლავი სამყარო, რათა ღვთის საუფლო აღამიანთან მიეახლოვებინა. „ფანჩატურში მჯდომი ღვთისმშობლის“ გამოსახულება (სურ. 139) მთელ სცენას მსჭვალავს ქალური სინაზითა და მომხიბლაობით; მას ნეტარებით დასცერის მამა ღმერთი; მას შეპფოფინებს ყველა, ვინც კი ცახე ან მიწაზეა: საყვარელი ყრმა ქრისტეც, მსახური და მემუსიკე ანგელოზებიც, თავს-მოვლებული ვარდების წნულიცა და ძირს დაგებული, მწვანე ბალათითა და ყვავილებით მორთული ხალიჩაც. ეს გვიანგუთური ხანის შედევრი რეალურისა და ზერეალურის ერთი პოეტური შენადნობია.

## გ რ დ ა დ ა პ ე ჯ ი

შუასაუკუნეთა მოდა ცხადყოფს, თუ იმუამად ქალი რა დიდად ფასობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალის კულტი მყარი ნაწილია ახალი სარაინდო კულტურისა, რომელიც ერთგვარ კონკურენციას უწევს იმდროინდელ მართვას კულტს. სამეფო კარის პოეზია, ტრუბადურთა და მინეზინგერთა ლირიკა, აგრეთვე დიდი პოემები ქებათა-ქებაა ქალისა, რითაც ევროპის ისტორიაში პირველად მამაკაცისათვის ქალი გახდა მეტი, ვიდრე მორჩილი და იაფი სამუშაო ძალა. ქალსაც და მამაკაცსაც (სურ. 142) აცვიათ გრძელი კაბა, მანამდე მოვლედ შეჭრილი თმა მოუშვიათ და შუბლსაკრავით, ყვავილების გვირგვინით, აბრეშუმის ზონრით ან სპილოს ძვლის მძივებით შეუმკიათ. გრძელი სამოსის ქვეშ, რომელიც წინ ან გვერდზეა ჩაჭრილი, რა-

თა მხედარი არ შეაფერხოს, აცვიათ ნაქსოვი რეიტუზი; იგი ტოლოს ბე-  
რანგზე მაგრდება. XIV ს-ის მიწურულს მოდაში შემოდის მოკლე  
ქურთუკი (ძველ-ფრანგული „ჟაკეტი“), რომლის ქვეშაც აცვიათ (ცნობილი  
143) შემოკვართული ზედატანი. მასზე რეიტუზია დამაგრეჭული. გარე  
აკუთრებით მოხდენილია ნახევრად წელში გამოყვანილი, ჭრელი კოს-



142. მანეზური ხელნაწერი (1300-1340), „ბატონ  
დიტმარ ფონ ასტრისა“ და „ბატონ ბერგნერ ფონ  
ჰორპაიმის“ ფურცლებიდან. ჰაიდელბერგი,  
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა



143. ქორწლი მეფის კარზე გასკონიაში. დაახლ.

1450 წ. ხელნაწერი. პარიზი, Bibliothèque Arsenał.

ტიუმი, რომელიც სხეულის სხვადასხვა ნაწილს სხვადასხვა ფერით მოსავს (სურ. 144). ფეხსაცმელი ნისკარტივითაა წაწვეტებული, ზოგჯერ მეტისმეტადაც. თავზე ნაირნაირი ქუდები ახურავთ ვიწრო, აპრეხილფარფლებიანი ცილინდრის მსგავსიც (სურ. 143).

ქალის კაბა, მამაკაცის სამოსთან შედარებით, მეტისმეტად გრძელია. კაბის აწეული კალთები ხელით უჭირავთ, რის გამოც ამობურცული ნაოჭები დეკორატიულად ვარღნილ კალთებს ქმნის. მეტწი-



144. Շվախորո Տյուրլա, գր-  
Շինձը և Սյորտո. գր-  
աել. 1470 թ. Վահագ-  
լունդո, Եղվարդի մշտեղմո.

145. Թիուզով Տյուրը. գր-  
աել. 1495 թ. Թիւզա.  
Ճրապեմշացո, Յալա-  
յու մշտեղմո.



146. საქართველო. XV ს-ის  
პირველი ნახევარი.  
მუხ. ნიურნბერგი,  
გერმანული ეროვნუ-  
ლი მუზეუმი.
147. მდიდრული მაგიდა ვე-  
ტინგენის მონასტრი-  
დან. დაახლ. 1440 წ.  
კაელის ხე. ციურისი,  
შვეიცარიის სამხარეო  
მუზეუმი.



ლად უმკლავო ზედასამოსის ქვეშ აცვიათ (სურ. 142-144) ტუნიკის  
მაგვარი კაბა; იგი, ზედატანის მსგავსად, ზოგჯერ გულამოჭრილია და  
თვლიანი ქინძისთვითაა შემკული. შუასაუკუნეთა მიწურულს სამეფო  
ქარის მოდა გამოირჩევა მეტისმეტად მჭიდროდ მორგებული ან სა-






148. ჩარდახიანი საწოლი. 1470 წ. ფიჭვი — კაცლის ხის ფიცრებით გაწყობილი. მიუნენი, ბაიერის ეროვნული მუზეუმი.

რტყლიანი ტანსაცმლით. ამ მოდისათვის ნიშანდობლივია ღრმად ამოკრილი გულისპირი და გრძელი, ბეჭვით გაწყობილი, ან ქობიანი შლეიფითი (სურ. 143). ბურგუნდიაში დასაბამს იღებს წოწოლა ქუდი ჩამოშვებული, გამჭვირვალე მანდილით.

გუთური ავეჯი, ნაირგვარი დეკორითა და აუზრული ზედაპირით, შეეფერება იმჟამინდელ არქიტექტურას. აქ ვეღარ იპოვით რომანული სტილისათვის დამახასიათებელ ტლანქ ფიცრულ ავეჯს; გუთური ავეჯი შედგება მზიდი ნაწილებისა და მათი შემავსებელი სიბრტყეებისაგან. მეტწილად სწორკუთხა მაგიდაორ მოხრილ ფეხს ემყარება, რომლებიც განივი ძელით არის გადაბმული. მაგიდის დაფის ქვეშ



149. ტიროლური კარადა. XV ს-ის მიწურული. ნაძვი.  
კარის ზედაპირი ნეკერჩხლის ფირფიცრებითაა მო-  
პირკეთებული. მიუნხენი, ბაიერის ეროვნული მუ-  
ზეუმი.

მოთავსებული ყუთის (სურ. 147) გადიდებამ მოგვცა ოთხეუთხა, საკე-  
ტიანი მაგიდა, სადაც ინახება საწერი დანიშნულების შესაწევ-გამოსა-  
წევი ფიცარი. კარადაც კი, მანამდე რომ მხოლოდ ოთხეუთხა ყუთის  
სახით იყო ცნობილი, ფუფუნების ძვირფას საგნად იქცა. მან ათასგვა-  
რად იცვალა სახე სხვადასხვა მხარესა და ქვეყანაში. ორსართულიან

კარადაში ჭერ (სურ. 149) კიდევ შემონახულია წინანდელი ტრირ, კერძოდ — ორი ერთმანეთზე შედგმული სკივრი. აქ ნაჩვენებ ტიტოლურ კარადასაც უკეთია სახელურები, თუმცა მხოლოდ მოსართავის სახით ფიჭვის ხით მოჩარჩოება, რაც გვიანგუთურ სტილს ახასიათებს, უკან დასუტია ფერადი ლითონის ფირფიტებით მოპირკეთებამ. კარის ოთხივე სიბრტყე ფირფიტისაა და წინ გამოწეული სამუჯრედიანი დეკორატიული კარნიზითაა გამიჯნული. პრაქტიკულ შესანახ დგამად კვლავაც სკივრი რჩება. იგი, ბრაუნშვაიგური მზითვის სკივრის მსგავსად, ხშირად მოხატულ-მოჩუქურთმებულია (სურ. 145). დასაჯდომად გვიანსაუკუნეებშიაც ოთხკუთხა სკამს იყენებდნენ, ოლონდ ის უკვე საზრგითა და სახელურებით შეავსეს. განსაკუთრებით ხშირად ხმარობდნენ სამფეხა საკარცხულს, რადგან იგი მყარად იდგა ციხე-კოშკების ოლრო-ჩოლრო ჭვის იატავზე (სურ. 146). გამორჩეულად ამკობდნენ გუთურ საწოლს. მაღალ ფეხებზე შედგმულ საწოლს ზოგჯერ ფარდებიც ამშვენებდა. ბალდახინი მიგვანიშნებს (სურ. 148) ხუროთმოძღვრების შემოჭრას ავეჯის ხელოვნებაში; იგი, არცთუ იშვიათად, ჯვარულ-ნერვიურიანი კამარის მსგავსად არის ნაკეთები.

## რენესანსი

კულტურულ და გონისისტორიულ ეპოქათა ბევრი მოარული სახელწოდების მსგავსად, „რენესანსის“ ცნებაც მიახლოებით თუ ასახეს სათანადო ეპოქის დედაარსს, რადგან მას სწორედ რომ კავშირი არა აქვს „Rinascita“-სთან, ანუ ანტიკური ეპოქის აღორძინებასთან. ვერც ფილოსოფიაში, ვერც პოეზიასა ან სახვით ხელოვნებაში ვერ ვიპოვით რაიმეს იმ არაერთგზის ნათქვამი ზერჩელე მტკიცების საბუთად, თითქოს რენესანსი ანტიკური კულტურის მიბაძვას ლამობდეს. ეს აზრი XIX ს-ს უფრო მიუდგება, რადგან წმინდა მიბაძვამ სწორედ ამ საუკუნეში წარმოშვა ბევრზე ბევრი უგემოვნო ნაწარმო-



150. Միշելանչելո  
(1475-1564).  
Ծագութո. 1501-  
1504 թթ. մար-  
մահովում. գլո-  
րենցուս պալք-  
մու.


յօն. մարտալու, հենցեսանսու յըօյա յրմալվութ և սոյզարուլութ յըօ-  
դյօնա անբույժ յրմալվութ և մաս տացու նօմումաճաւ սածացս, մացրամ  
ժոյեծու սացան մըստցու մեռլուց և սյուլու և առա ցորմա, ուղեաւ և առա  
մոցլենա. հայո հենցեսանսու արւ չոյշու յըմունուսունդյօնա մշու սաշց-  
նեցնս, յարլու ճուրմա ուտացա, յըրուկուլու յրմալվութ ուտունուսուն



151. ფილათ ბრუნელესკო (1376-1446), წმ. ლორენ-  
ცოს, ძველი საჭურჭლე. ესკიზი შექმნილია 1419 წ.

დაენერგა რომის აღორძინების იდეა, ხოლო მისი წარმოდგენა „გერ-  
მანელი ერის სალვათო რომაულ იმპერიაზე“ თაობათა მანძილზე გახ-  
ლდათ გერმანული იმპერიის იდეოლოგიური საფუძველი.

ესეც არ იყოს, რენესანსის ნამდვილ სამშობლოს, იტალიას, არა-  
სოდეს გაუწყვეტია კავშირი თავის კლასიკურ წარსულთან. იტალი-




152. ტაძარი ულო-  
რენცისში. მშე-  
ნებლობა. დაიწყო  
1295, მდგრადი  
დამუშავების მშენე-  
აშენდა 1380-  
1421 წწ.

ური ხელშერის მქონე რომანული ნაგებობები, თავიანთი პარმო-  
ნიული პროპორციულობითა და ცივი თავშეკავებით, განირჩევან  
ჩრდილოური არქიტექტურის მძიმე და ვეება ფორმებისაგან. გუთუ-  
რი სტილი იტალიაში საკმაოდ გაუგებარი დარჩა, ან იგი სულაც უარ-  
ყვეს. მაშასადამე, იტალიურ რენესანსს ახასიათებს არა რევოლუცი-  
ური სიმძაფრე, არამედ მხოლოდ ხელახალი განცდა იმისა, რაც მუ-  
დამ თან ახლდა იტალიას განუყრელი ქონების სახით.


და თუ მაინც გვჯერა, რომ ახალი დრო, ანუ ის ხანა, დღეს რომ  
ვცხოვრობთ, რენესანსით იწყება, მაშასადამე, ვიზიარებთ იაკობ  
ბურკპარტის სიტყვებს: „რენესანსი ადამიანისა და სააქაოს აღმო-  
ჩენაა“.


სააქაოს აღმოჩენა არ ნიშნავს მარტოოდენ გეოგრაფიული  
მსოფლიხედვის გაფართოებას (მარკო პოლო, კოლუმბი), არამედ —  
ზუსტი და სისტემური ბუნებისმეცნიერების ჩასახვას ლეონარდო  
და ვინჩის, კოპერნიკისა თუ ალბერტის გამოკვლევათა სახით. ადა-  
მიანის, როგორც სუვერენული, თავისუფალი პიროვნების, აღმო-  
ჩენა იმ სოციალური წყობის დაშლის შედეგია, რომელიც მანამდე



153-154. ლ. ბ. აღ-  
ბერტი (1404 —  
1472), წმ. ანდ-  
რეა. მანტუა. ქა-  
კიზი შექმნილია  
1470 წ. გეგმა და  
ფასადი.

ინდივიდის განვითარებას ყველა გზას უხშობდა. ქალაქის ბურეუ-  
აზიაცა და ის მცირე სამთავროებიც, უკვე დიდი დამოუკიდებლო-  
ბა რომ მოიპოვეს, ნოყიერ წიადაგს უქმნიან პიროვნების განვითარებ-  
ბას. მდიდარმა ვაჭრებმა საფუძველი შეურყიეს ჰლესიძის ტრადიცია-  
ციულ მონოპოლიას საჯარო ბიბლიოთეკებისა და ჰუმანიტარული  
უნივერსიტეტების დაარსებით. პრესტიუს ან თუნდაც წმინდა შხატ-  
ვრული ინტერესების გამო, ქალაქებში, კორპორაციებსა და სამთავ-  
როებში ხელი მიჰყვეს მანამდე უცხო მეცენატობას; ამან ხელოვანს  
საშუალება მისცა, თავი დაეხსნა ხელოსნის ანონიმურობისაგან და  
თავისუფალი შემოქმედის შეგნებით გამსჭვალულიყო. ის, ვინც მა-  
ნამდე მხოლოდ აღმასრულებელი იყო ავტორიტეტული ნებისა, ამი-  
ერიდან გამოსახვის იმ ახალ ფორმებს ეძებს, რომლებიც კავშირშია  
ახალ საზოგადოებრივსა და საბუნებისმეტყველო გამოცდილებას-





155. წმ. პეტრეს ეკლესია და წმ. პეტრეს მოედანი რომში ბერნინის კოლონადებით.  
ხედი აღმოსავლეთიდან.

თან. ასე მიიღო სახვითმა ხელოვნებამ მეცნიერების რანგი, რადგან, ალბერტის თქმით, მათი საერთო საფუძველი მათემატიკაშია. ამის შეცნობამ წარმოშვა ცენტრული პერსპექტივის კანონები და მოძღვრება ჰარმონიის შესახებ, რომელსაც ძალა არ დაუკარგავს თითქმის ნახვარი ათასწლეულის მანძილზე. ბუნების ზუსტ მეცნი-



ერულ შესწავლის სახვით ხელოვნებაში მოჰყვა ცვლილება სიმბოლოდან ასახვისაკენ. ხუროთმოძღვრებაში შენობის კორპუსის სისტემაზე მეტერმა დანაწევრებამ გადალახა გუთური სივრცის მისტიკურობა, მოგვცა როგორც გრძნობად-თვალსაჩინო, ისე ლოგიკურად გასაგები კონსტრუქცია ნაგებობისა.


### პრიზმური ურა

„კვატროჩენტოდ“ (XV ს.) წოდებულმა ოდრეულმა რენესანსმა იტალიურ არქიტექტურას არა მარტო გადაალახინა გუთური ისრული თაღი, არამედ უარი ათქმევინა გუთური სივრცის დინამიკაზეც — ჰარმონიული, ყველა ძალის გაწონასწორებით მიღებული სივრცული ჰარმონიის სასარგებლოდ. ეს ნება ცხადად იკვეთება ბრუნელესკოს ოდრინდელ ნაწარმოებში — ფლორენციული ტაძრის (სურ. 152) აღმოსავლეთ დაბოლოებაში; კერძოდ, XIV ს-ის გუთურ გრძივ შენობას მან წაუმატა ნამდვილი ცენტრული ნაგებობა სამი თანაბარფორ-


156. დონატო ბრამანტეს (1444-1514) მონახის გეგმა წმ. პეტრეს ახალშენებლობისათვის. რომი.

157. „წმ. პეტრეს“ გეგმა. აგებულ იქნა XVI ს-ში, რაფაელის, მიქელანჯელოსა და სხვ. ჩანაფიქრის მიხედვით. მოედნის გეგმა ბერნინისა (1598-1680).





158. სტროცის სასახლე  
ფლორენციაში, აგე-  
ბული ბენედიტ  
დე მარინის მიერ.  
მშენებლობა დაი-  
წყო 1489 წ.



159. რუჩელაის სასახ-  
ლე ფლორენციაში,  
აგებული ლეონე ბა-  
რისტა ალბერტის  
მიერ, 1446-1451 წწ



მიანი კონქითურთ, რომლებიც თავს იყრიან შუაჯვარედის მძლავრ ცენტრში; ამ შენობას აგვირგვინებს 92 მ-იანი გუმბათი. თუმცა გუმ-  
ბათი ჭერ კიდევ გუთურია და რვა ნერვიურს ემყარება, ამგვარი გა-  
აზრება მაინც ნიმუშად იქცა მთელი რენესანსული საკულტო ორქი-  
ტექტურისათვის.

ბრუნელესკოს სან ლორენცოს ძველი საჭურჭლე ამ იდეის (სურ.  
151) პირველი ქმედითი განხორციელებაა. კვადრატზე აღმართულია

160. მარტოზის

ბიბლიოთეკა  
ვენეციაში,  
აგებული ჯა-  
კოპო სანსო-  
ვინოს მიერ  
(1486-1570).  
მშენებლობა  
დაწყო 1537  
წ. ფასადის  
1/3.

161. კონსერვა-  
ტორთა სა-  
სახლე რომ-  
ში. მიქელან-  
ჯელოს მონა-  
ხაზი. აგებულ  
იქნა 1564-  
1575 წწ. ფა-  
სადის 1/2.



კორინთული კედლის სვეტებითა და სამკუთხა ფრონტონით დანაწევ-  
რებული კედელი. ამ ზესჭრაფვას გზას უჭრის განიერი, ჰორიზონტა-  
ლური კარნიზების სარტყელი. ფართოზედაპირიან მრგვალ თაღებსა  
და პანდატივებს მივყავართ ნერვიურებიანი გუმბათისაკენ, რომელ-  
საც სტრეომეტრული ნახევარსფეროს სახე აქვს. ყველაფერი, რაც  
კედელს ანაწევრებს, იქნება ეს მედალიონები, მრგვალი ფანჯრები  
თუ სწორკუთხა და მრგვალი თაღებით გადახურული ნიშები — ერ-

თობლივად ქმნიან სტატიკური ჰარმონიის იმ სურათს, რაც ნიშან-  
დობლივია მთელი მომდევნო ხანის სამშენებლო ხელოვნების არა მარტივი

ასე უშუალოდ ემყარება ალბერტი ბრუნელესკოს გამოცემის  
ბას, თანაც ლამბას, წინამორბედთაგან ნავალი გზა თეორიულ-მეც-  
ნიერულადაც განამტკიცოს; ანტიკური რომის ნაგებობებს ის ზო-  
მავს საგანგებოდ შექმნილი ხელსაწყოებით, გარდა ამისა, ცოდნას  
იძენს უწმინდესი ხუროთმოძღვრის, ვიტრუვიუსის 1415 წ. აღმოჩე-  
ნილი წიგნებიდან და წერს თავის „De re aedificatoria libri decem“-ს,  
ანუ სახელმძღვანელოს ორნამენტული ხუროთმოძღვრების შესახებ,  
რომელიც, ეს-ეს არის შემოლებული ბეჭდვის წყალობით, მთელ შოფ-  
ლიოში ვრცელდება. მანვე შექმნა წმ. ანდრეას ფასადი (სურ. 154)  
მანტუაში — რომაული ტრიუმფალური თაღის (სურ. 42) მიხედვით.  
ოთხი პილასტრი, რომლებსაც ეყრდნობა მძიმე ანტაბლემენტი და  
საკუთხა ფრანტონი, რამდენიმე სართულს გასდევს; იგი მთელ ნაგე-  
ბობას ერთ მონუმენტურ მთლიანობას ანიჭებს. შესავლის თავზე აღ-  
მართული ქვის კესონური ცილინდრი, შიდასივრცეშიაც (სურ. 154)  
თავს დაკყურებს გრძივ შენობას, რის გამოც ვრცელი დარბაზული  
სათავსი მყუდრო და ჩაჟეტილია. შუაჯვარედს კვლავ გუმბათი აღგას  
თავზე, რომლის ამოცანაც გრძივი მოძრაობის მოთოვა და დაწყნა-  
რებაა. უკვე აქ, წმ. ანდრეაში, ცხადად იკვეთება ის კონფლიქტი,  
რომელიც ეგზომ აშფოთებდა რენესანსულ არქიტექტორებს: თუმცა  
ცენტრული შენობა ესადაგება ჰარმონიისა და ჩაჟეტილი ფორმის იმ-  
დროინდელ იდეალს, მაგრამ, ვაი, რომ იგი ნაკლებგამოსადეგია ლი-  
ტურგიული მოთხოვნებისათვის, რაღაც მასში არ ჩანს დაპირისპირე-  
ბა საკურთხეველსა და სამრევლო სივრცეს შორის. ეს პრობლემები  
მკაფიოდ აისახა რომის წმ. პეტრეს ტაძრის მშენებლობის ისტორია-  
შიც.

ბრამანტეს გეგმით, წმინდა ცენტრული შენობა ბერძნული ჯვრის  
პროექციაზე აგებული, სადაც შუაჯვარედს თავზე აღგას მძლავ-  
რი გუმბათი, ხოლო (სურ. 156) აქეთ-იქით, ნახევარწრიულ აფსიდებში,  
თანაბარი ზომის ნავებია მოთავსებული. ჯვრის მკლავებს შუა მოქცე-  
ულ კუთხებს ავსებს კვადრატული სივრცეები, რომლებიც უფრო მცი-  
რე გუმბათებით არის გადახურული. მაშასადამე, გეგმა გვიჩვენებს  
დამოუკიდებელ, ცალკე სივრცეთა ისეთ ჯამს, რომელსაც უპირა-  
ტესობას ანიჭებდა შუასაუკუნეები და რაც სრულიად შეუსაბამოა

რენესანსულ ლტოლვასთან პომოგენური სივრცული სტრუქტური-  
სადმი. ბრამანტეს გარდაცვალების შემდეგ შენებლობა, რაფაელმა  
ითავა; მან მიზნად დაისახა დასავლეთ-აღმოსავლეთ დერეზე რენე  
რძელება, რითაც გეგმას კვლავ ლათინური ჯვრის სახე დაუბრუნდა.  
1547 წ. წმ. პეტრეს ტაძრის შენებლობა ჩააბარეს 72 წლის მიქელან-  
ჯელოს; მან ალადგინა ბრამანტეს ცენტრული გააზრება, თუმცა (სურ.  
156) უკუაგდო სივრცეთშეჯამების ბრამანტესეული პრინციპი, ცენ-  
ტრალური გუმბათი კი ისე გაადიდა, რომ მცირე ზომის გუმბათებს მხო-  
ლოდ თანაგუმბათთა როლი დაეკისრა. თავისი დიადი სახუროთმოძლ-  
ვრო ჩანაფიქრის განსრულებას მიქელანჯელო ვერ მოესწრო. მისი გარ-  
დაცვალების შემდეგ კარლო მადერნამ ცენტრულ შენობას წაუმატა  
სამი ნავი, რითაც ხორცი შეასხა ცენტრულ ნაგებობასთან კომბინი-  
რებული გრძივი შენობის რაფაელისეულ იდეას.


მიქელანჯელოს, გუმბათი, ალბათ, უსრულყოფილები ხორცეს-  
ხმაა ცენტრული ნაგებობის (სურ. 155) იდეისა, თანაც, არქიტექტუ-  
რულ-ტლასტიკურ ფორმათა სიუხვით იგი მომავალზეც მიგვანიშნებს.  
ტამბურის ზონაში წყვილ-წყვილად დგას ანტიკური წარმოდგენის მი-  
ხედვით ნაგები კორინთული სვეტები, რომლებსაც ებჯინება უხვად  
პროფილირებული ანტაბლემენტი. საკმაოდ წინ წამოწეულ სვეტებს  
შეა ჩასმულია სწორკუთხია ფანჯრები, რომლებიც გადახურულია სეგ-  
მენტური ან სამკუთხა ფრონტონებით. თექვსმეტწახნაგიანი გუმბა-  
თი სიმღვრადეს ინარჩუნებს ნერვიურებით, რომლებიც, გუთურ  
კონსტრუქციათა საპრისპოროდ, გარედანაა პროფილირებული.  
ამრიგად, გუმბათის პერანგი ნერვიურებიან კარკასზე კი არ არის გა-  
დაკრული, არამედ შიგნიდან არის ამოშენებული, რაც შესაძლებელს  
ხდის თანაბარზომიერ შიდაკესონირებას და გუმბათს ჩაეტილი  
მთლიანობის სახეს ანიჭებს. მაშასადამე, ჩვენს წინაშეა იმ გეგმის  
თანმიმდევრული გაგრძელება, რითაც მიქელანჯელომ ხორცი შეას-  
ხა გრანდიოზული, ერთიანი სივრცის მქონე ეკლესიის მისეულ გააზ-  
რებას.

აღორძინებისდროინდელი ადამიანი, ვისაც საკუთარი პიროვნუ-  
ლი ღირსება შეუგნია, ცდილობს, პირად ცხოვრებაშიაც დარწმუნ-  
დეს თავის ინდივიდუალურ ძალმოსილებაში. ამიტომაც პირველად  
იმ ხანაში ჩნდება მონუმენტური საერო შენობები საკულტო ნაგე-  
ბობათა გვერდით. თუ შუასაუცუნეებში საერო არქიტექტურამ თა-


ვისი ფორმა საკულტოსაგან გადმოიღო, ახლა მან საკუთარ ფორმებს  
მიაგნო და ამით სავსებით გაიცნობიერა თავისი დამოუკიდებლობა  
ყოვლისშემძლე ეკლესიისაგან.

ერთხუროვანი

ასე შეიქმნა მარტივი საცხოვრებელი სახლისაგან პალატის ან სახლის  
სასახლე; მისი კუბური ფორმა გადმოღებულია ანტიკური პერისტი-  
ლური სახლისაგან — სვეტებიანი, ჩრდილოვანი ლოჭიებით გარშე-  
მორტყმული შიდაეზოთი. ძირითადად, ფასადს აქვს მცირედ დანა-  
წევრებული (სურ. 158) თავდაცვითი გარეგნობა; იგი მოპირკეთებუ-  
ლია უხეშად თლილი ქვის კვადრებით, ხოლო მკაცრი, ჰორიზონტალუ-  
რი დანაწევრება მიღწეულია კარნიზების მეოხებით. შენობა შედგება  
სამი მძიმე, ერთმანეთზე დაწყობილი ბლოკისაგან. ფასადის გამდიდრე-  
ბას ალბერტიმ მიაღწია პალაცო რუჩელაიში, სადაც კარნიზებს (სურ.  
159) დაუპირისპირა ვერტიკალური პილასტრები; შედეგად გაჩნდა  
რამდენიმე სწორკუთხედი, რომლებმაც მკაცრად შემოფარგლა მრგვა-  
ლთალიანი ფანჯრები. კედლის სვეტები (პილასტრები) აქ მხოლოდ დე-



162-163. ვილა როტონდა ვიჩენცაში, აგებუ-  
ლი ანდრეა პალადიოს მიერ (1508-  
1580). ესკიზი შესრულებულია და-  
ხლ. 1550 წ. ფასადის გეგმა.



კორატიული ორნამენტია და მათ არ აკისრია რაიმე წამყვანი ფუნქცია. მიქელანჯელოს კონსერვატორთა სასახლემ (სურ. 161) გადალაპხა და ცალკეულ სართულთა გათიშულობა კოლოსალური პილასტრების მეოხებით, რომლებიც შენობას ასდევს ჭერის მძიმე კარნიზამდე. კედელი გახსნილია ფართო სარქმლების მეშვეობით, რის გამოც მათ აღარ აკისრია მზიდი ფუნქცია. ფასადის მესამე ტიპი გაჩნდა ვენეციაში, XVI ს-ში.

რომის კონსერვატორთა სასახლის მსგავსად, სანსონინოს მიერ აგებული მარკოზის ბიბლიოთეკაც ორსართულიანია, ოღონდ კედლის ღიობი ისეა გადაწყვეტილი, რომ ნახევარსკეტთა (სურ. 160) კონა აქ ერთადერთი მთავარი კონსტრუქციული ელემენტია. ფლორენციული სასახლის სიმძიმე და წარმოსადეგობა გადაიქცა გარედან სრულიად ღია, მხიარული ფასადის მქონე ვენეციური სასახლის ტიპად, რაც შემდეგ წამყვანი გახდა ბაროკოს სტილის ციხე-დარბაზთა გვიანდელ შენებლობაში.

სხვა საერო ამოცანას ისახავს ვილა, ანუ სააგარაკო სახლი ქალაქ-გარეთ. პალადიოს ვილა როტონდამ (სურ. 162) აიტაცა ცენტრული ნაგებობის იდეა: ეს არის ბერძნული ჭვარი, რომლის მკლავებიც გარე კიბეებით ბოლოვდება; ტაძრის ოთხი ერთნაირი ფრონტონი ერთ კვადრატულ არქიტექტურულ ორგანიზმად (სურ. 163) იკვრება, სადაც გუმბათით გადახურული მრგვალი დარბაზის ირგვლივ ოთხი მოდიდონ და ოთხი მომცრო სათავსია მოთავსებული. ასე გაჩნდა ტაძრის წარმოსადეგობის მქონე შენობა, რომლის გარეგნობა ერთი თვალის მოვლებითაც გვამცნობს იმ ეპოქისათვის ნიშანდობლივ იდეალს — მკაცრად სიმეტრიულ დასრულებულობას.

## განდაკვება

გუთურ ხელოვნებაშივე ქანდაკება გაგებულ იქნა იმ ახალ რეალისტურ ხელოვნებად, სინამდვილეს რომ შეულამაზებლად გაღმოგვცემს. ამას მოწმობს სხეულის ნაკვთთა თავისუფალი მოძრაობა და სულის მანამდე უჩვეულო მეტყველება. თუ იმ დროს სკულპტურა ჭერ კიდევ ემსახურებოდა ტრანსცენტური ვითარების ახსნა-



164. დონატელო (1386?-1466).  
დავითი. დაახლ. 1430 წ. ბრინ-  
ჯა. ფლორენცია, ეროვნული  
მუზეუმი.

ჩვენებას, რენესანსის მოქანდაკებმა სწორედ აღამიანი დაგვანახეს მთელი თავისი ამქვეყნიური სილამაზით. ამ ანტიკური ნიმუშებით შთაგონებულ ნამუშევრებს ახასიათებს ორგანული, სრულმაცუ-  
ლობითი სხეულებრიობა და მიწიერი სიმყარე. თუ გუთურ შემოსილ ფიგურებში მოჩანს აღამიანის ლტოლვა ღვთაებრივი სრულქმნილე-  
ბისაკენ, რენესანსი ლმერთის გამოსახულებასაც აღამიანურ სრულ-

ყოფილებას ანიჭებს. მაგალითად, ღონატელოს (სურ. 164) ნატურა-  
ლური ზომის დავითი შიშველია: შეუმოსავი კი მანამდე მხოლოდ ადამ  
და ევას, ჯვარცმული მაცხოვრისა და წამებული სებასტიანის გამოსახუ-  
ნულებები იყო. თანაც, ეს დავითი ძველი აღთქმის გმირი როდია; ის  
კადნიერი ჭაბუკია, ფლორენციული ქუდი რომ თავზე მოუგდია და  
მტრის მოკვეთილ თავს დარღიმანდული ელეგანტურობით დასცემ-  
რის. ჩვენს წინაშეა ახალი ადამიანის ხატი, ვისაც საკუთარი ლირსე-



165. ანდრეა დელ  
3 ე რ ო კ ი ო  
(1436-1488),  
მხედართმთა-  
ვარი კოლე-  
ონი. 1481-  
1488 წწ.  
ბრინჯაო. 30-  
ნეცია.



166. քոչանո լա Ցոլոնես (1529-1608). Սահմելո  
յալով մոռապեծա. Ըս-  
տել. 1583 թ. Ցինքար,  
Տաղարդ — 59 ևմ. Ցույն-  
ենք, Տաղարդ ցըտանշ-  
լո մշտեսմո.

ბა შეუგნია და, ყველა პირობითობისაგან თავდახსნილს, გამარჯვე-ბულის პოზა დაუჭრია. იგივე სულისკვეთება გამოსჭვივის აწლერულ ვეროკიოს მხედრის პოზაშიც; მხედართმთავარი კოლეონტ (სული 165) თავისი თავდაჭრილობითა და მიმიკით, ბატონქაცური მიხრა-მოხრი-თა და ცხენის მძლავრი მოთოვეთ არაფრად აგდებს ფიქციურ სინამ-დვილეს. ცხენი აქ მარტო კოლეონის პიროვნულ ამაღლებას კი არ ემსა-ხურება, არამედ თვითონაც მხედრის ძალით არის დამუხტული; ცხე-ნი და მხედარი ერთ მუშტად იკვრება. იქნებ სწორედ ეს არის ერთი უშთამბეჭდავესი სურათი აღორძინების ხანის აღამიანისა, ვისაც თავი მის მიერვე დაპყრობილი სამყაროს შუაგულად მიუჩნევია და ინდივიდის თავისუფლება უმაღლეს მიზნად გაუხდია.

კვატორჩენტოს ამ რეალიზმს გვიანი რენესანსი შეეგება ინდი-ვიდუალობის განმაზოგადებელი იდეალიზმით. მიქელანჯელოს ხუთ-მეტრიანი დავითის ფიგურაში უკვე შთაბეჭდილებას ახდენს არა კოლე-ონის შემტევი პათოსი (სურ. 150), ან ღონატელოს დავითის თავდაჭე-რებულობა, არამედ მისი ძალმოსილი მშვენიერება. თავისი სიშიშვ-ლით ისიც ახალ აღამიანზე მიუთითებს, ოღონდ ძლიერი კუნთებისა და, რაც მთავარია, ღონიერი ხელების ენერგია ერთი მიზნისაკენ კი აღარ არის მიმართული, არამედ ძაბვა-განმუხტვის თამაშით, ისინი სიმბოლურად გამოხატავენ სულისა და სხეულის პარმონიის იდეალს.

მანერიზმში, რაც რენესანსის გვიანდელი ფაზაა, ქანდაკება კარ-გავს ფორმის ჩაკეტილობას და, გვიანდელი გოთიკის მსგავსად, ადამი-ანის ფიგურა კვლავ სულისმიერ გამომეტყველებას იძენს. ხაზების გუთური, S-ისებრი მოყვანილობის შესაბამისად, ამიერიდან ჩნდება „Figura serpentinata“, ანუ გველისებრ დაკლაკნილი და წამომარ-თული ჯგუფი ადამიანებისა, რომელშიაც იყითხება კონტრარეფორმა-ციის მგზებარე ნატვრა ხსნისა და მიწიერი ტყვეობიდან (სურ. 166) განთავისუფლებისა. ჯოვანი და ბოლონიას „საბინელ ქალის მოტაცე-ბაში“ ნიშანდობლივად ვიზტუოზული კონტურებით იკვეთება მზარ-დი დინამიკა, რომელიც ძირს დაგდებული, ძლეული მამაკაცის თე-ძოებიდან და ზედატანიდან ზურგშექცევით მდგომი მძლეველის სხე-ულს გადაეცემა, მისგან კი — მკვირცხლად შემობრუნებული ქალი-სას. მოძრაობის ეს აკრძალივა და სინათლის ეფექტურად ამრეკლა-ვი ზედაპირი სტილის ის ნიშნებია, რომლებსაც შემდეგ ჩაეჭიდა ბა-როკოს ქანდაკება.



167. ფრა ფილიპო ლიპი (დაახლ. 1406-1469). მარიამი, მოწიწებით თავდახრილი კოძის  
წინაშე, 1435 წ.-მდე. ბერლინ-დალემი, სურათების გალერეა.

აღრინდელ რენესანსულ მხატვრობაში მკაცრი რეალიზმი უნდა გადამიანის სააქაოზე გაბატონების ნება. ბრუნელესკოს მიერ აღმოჩენილი ხაზოვანი პერსპექტივა ნახატს ანიჭებს ჭეშმარიტ სივრცულობას, აღამიანის ფიგურის საგულდაგულო შესწავლა გამოსახულებას სძენს პლასტიკურ მოცულობითობას, ბუნებაზე ზუსტი დაკვირვებები კი შესაძლებელს ხდის ამჭვეყნიურ მოვლენათა რეალისტურ გადმოცემას. დასასრულ, რეალისტურ პორტრეტში აღამიანმა პპოვა თავისი, ვითარცა ინდივიდის, დადასტურება. ფილიპო ლიპის „თაყვანისცემაში“ ტყის ლანდშაფტი ზებუნებრივი მოვლენის რომანტიკულ-ინტიმური კულისებია (სურ. 167). ყვავილებით მოჩითული ტყის მიწა მოსასვენებელი ადგილია ტიტველა და ბუთხუზა ყრმა იესოსათვის. ლიპი პირველია, ვინც იტალიაში სცადა მაღონას მოტივის გააღმიანურება; მარიამი აქ პირმშვენიერი ყმაწვილი ქალია — ცერის მწოველა ბიჭის მხსნელი და მფარველი.

გვიანდელ რენესანსში ბუნებასთან მიახლოვებული ეს რეალიზმი იდეალურ სააქაოდ იქცა. გაწონასწორებული თბილი ფერადოვნებით, სიმეტრიულლერძიანი პირამიდული კომპოზიციითა და ლანდშაფტ-ფიგურათა არსებითი დაკავშირებით (სურ. 169) რაფაელმა შექმნა სურათის სრულიად მშვიდი და ჰარმონიული სტრუქტურა, საღაც თემატური და ფორმალური ელემენტები ემორჩილება მშვენიერების ზედროულ კანონს. თავის „ანა ზელბდრიტში“ ლეონარდოც იყენებს (სურ. 168) სამკუთხა კომპოზიციას, ოლონდ მისი ფიგურები პირისახისა და ხელფეხის იდუმალი მოძრაობითაა შეკრული; მოძრაობა აქ მხოლოდ ამ ჯგუფით იფარგლება; არც ლეონარდოს ლანდშაფტია რაფაელის უძრავი პერსპექტივა, არამედ — ჰაერით შებურული ფერადი კულისებია. ეს ფერადოვანი პერსპექტივა (ფერები თანდათან სულ უფრო მერქალდება) და ნიდერლანდთა მიერ აღმოჩენილი ჰაერის პერსპექტივა (ფერები თანდათან სულ უფრო ცისფერდება) ლეონარდომ შეავსო თავისი ცნობილი სფურვატოთი: კონტურებს მტკიცე ხაზები კი აღარ ქმნის, არამედ — ნარნარი, მქრქალი გადასვლები.

XVI ს-ის შუა წლებიდან ამგვარ იდეალიზმს დაუპირისპირდა იტალიური მანერიზმი, ამალელვებელი და არცთუ იშვიათად შემაძრეუ-

ნებელი დრამატიზმითაც კი (სურ. 170). იგი ანგარიშს უწევს რეფორმაციის სულიერ-გონითსა და პოლიტიკურ სიტუაციას. ტინტორეტოს „მარქოზის სასწაულში“ გრძივად წაწყობილი ქვის ფილებიდან თაღთა თანმიყოლება ბადებს სივრცის ინტენსიურ მტერტულებისა.



168. ლეონარდო და ვინჩი (1452-1519), შმ. ანა ზელბდრიტი (მარიამის დედა, ყრმა და მარიამი). 1500-1507 წწ. პარიზი, ლუვრი.




169. ოაფაელი (1483-1520), მადონა მწვანე ველზე. 1505-1506 წწ. ვენა, ხელოვნების ისტორიის მუზეუმი.

რაც, იდუმალ ნათებასა და ავ ფერებთან ერთად, შემაძრწუნებელ განწყობილებას გვიქმნის. ელ. გრეკოს „ტოლედოს ხედიც“ შორსაა



170. ფანსიო ტინტორეტო (1518-1594), წმ. მარკოზის გვამის მოტივის დახსლ. 1562  
წ. ვენეცია, აკადემია.



171. ელ გრეკო (1541-1614), ტოლედოს ხედი. მადრიდი, პრადო.

სინამდვილის აღწერისაგან (სურ. 171). ცივი ტონები და ფერადოვან სიბრტყეთა ნაფლეთები ავბედი საწუთროს განცხადებაა; ღვთის გაელვებანი ძრწოლის მომგვრელია; ტაძრისა და ალკაზარის გვერდით ახალ გოლგოთასავით იკვეთება განათებული მთის წვერი.

ჩრდილოეთ ევროპაში მეტად მცირე წვლილი შეიტანა რენესან-



172. კონრად ვიტცი (დაახლ. 1400-1445/46), ჯვარცმული ქრისტე. ბერლინ-დალემი, სურათების გალერეა.

სულ ხუროთმოძღვრებასა და ქანდაკებაში; სამაგიეროდ, ფერწერაში მან შეიმუშავა გამოსახვის უაღრესად დამოუკიდებელი ფორმები. ახა-



173. ჰანს მემლინგი (1430/40-1494), სცენა ტაძარში. ვაშინგტონი, ხელოვნების ეროვნული გალერეა, Kress Collection.

ლი ღროის ზღურბლზე, ნიდერლანდებმა (ვან ეიკმა, ვან დერ ვერდენმა) გზა გაუკაფეს ახალ რეალიზმს, რამაც მძლავრად მიიპყრო იტა-

ლიელთა ყურადღება, თუმცა XV ს-ის მიწურულს სულ უფრო იმატა  
იტალიური ხაზობრივი სტილის ზეგავლენამ ალპებს გალმა მდებარე  
ჩრდილოურ ხელოვნებაზე. გუთური ხუროთმოძღვრება (სურ. 173)  
მემლინგის ნახატისა — „სცენა ტაძარში“ — გვაუშევებს, რომ ხელო-  
ვანმა უკვე იცის ხაზოვანი პერსპექტივის იტალიური კანონები. სცენის  
ფიგურებს ჭერ კიდევ არ გააჩნიათ ინდივიდუალური ნიშნები; ისინი  
იდეალური ტიპებია, გვინდგუთური სახვითი ხელოვნების ფიგურა-  
თა მსგავსად. სცენა და გამოსახულებები ასევე გათიშულია (სურ.  
172) კონრად ვიტცის ჭვარცმაში. შორეული ბუნების ფონზე, სადაც  
მინდვრები, მთები, ტბა და შორს ნაზად მოციმციმე ცა მოჩანს, ჭვარც-  
მის მძიმე ჯგუფია გამოკვეთილი; ეს ჯგუფი სულაც არ უკავშირდება



174. ალბრეხტ  
დიურერი  
(1471-1528),  
ავტოპორ-  
ტრეტი. 1498  
წ. მადრიდი,  
პრადო.

175. ჰანს ჰოლ-  
ბაინ უმცრო-  
სი (1497-  
1543). ფერ  
სეიმური, ინ-  
გლისის დე-  
დოფალი. და-  
ახლ. 1536-  
1537 წწ. ვე-  
ნა, ხელოვნე-  
ბის ისტორი-  
ის მუზეუმი.



გარემომცველ ბუნებას. სამოსის მსუყე ლოკალური ფერები სრული-  
ად არ ეთანხმება ლანდშაფტის რბილ, ურთიერთოგარდამვალ ფერებს.

ჩრდილოერობულმა სახვითმა ხელოვნებამ პირველად დიურერ-  
ის დროს შეძლო თავი დაეხსნა გუთური ტრადიციის ბორკილებისა-  
გან. თავდაპირველად დიურერიც მკაცრად მისდევდა არსებულ ტრად-  
იციას, მაგრამ, იტალიურ და ნიდერლანდურ ფერწერასთან დიალო-  
გითა და ჰუმანიზმის ზეგავლენით, რეალიზმს მიაგნო. „ავტოპორტ-  
რეტის“ კრიტიკული გამოხელვა საყუთარი პიროვნების ანალიზს გუ-  
ლისხმობს, ხოლო პირადად განცდილი და ტოპოგრაფიული სიზუს-

ტით (სურ. 174) აღწერილი ალპური ბუნება იმ დროისათვის შარქ-ლაც რომ მოულოდნელი სიახლეა.

ადამიანის ავთენტური გამოსახვის ხელოვნებამ, ბოლოს, უძროსი პანს პოლბაინის ხელში ისეთ დამოუკიდებლობას მიაღწია, რომ ამი- ერიდან ეს ხელოვნება ცალკე (სურ. 175) წოდებასაც კი იძენს. თუ დიურერს თავის პორტრეტებში უფრო პირისპირ მდგომი პიროვნე- ბის ფსიქოლოგიური წვდომა აინტერესებს, პოლბაინის აზრით, პი- როვნებაზე დაე, მისმა გარევნობამ — დიდებულმა სამოსმა და მო- კაზმულობამ იმეტყველოს. პოლბაინის პორტრეტთა ამგვარ წარმოსა- დეგობას უშუალოდ ეჯაჭვება ინგლისური საერო მხატვრობა, რო- მელიც უფრო გვიან განვითარდა.




ხელოვნებისა და მეცნიერების მსგავსად, იტალიური რენესანსის მოდაც მიწიერი არსებობის ახლებურ განცდას გამოხატავს. იმ წარმოების



176. დომენიკო გორლანდიო (1449-1494). 1485 წ. ფლორენცია, სანტა ტრინიტა, სასერტის კაპელა — ფრაგმენტი.

177. ვიტორე კარპაჩო (1455-1525), ურსულას ლეგენდა: ელჩების დაბრუნება. 1490-1498 წწ. ვენეციის აკადემია — ფრაგმენტი.

178. ფრანგული სკოლა, ჰერცოგ ფონ უუაიეზის ქორწილი, დაახლ. 1581 წ. ვერსალი, მუზეუმი — ფრაგმენტი.



179. კარადა ფრანკონიაში. 1590 წ. მიუნხენი, ბაიერის ეროვნული მუზეუმი.

აღარ არის ქილაქისა და სახელმწიფოს ავტონომიურ მისწრაფებათა ტონის მიმცემი სამეფო კარი; ამიტომ მოღამაც ათასგვარი სახე მიიღო. მამაკაცებს ეცვათ ბურგუნდიული რეიტუზის (სურ. 177) მსგავსი შარვალი, რომელიც წელვადი მასალისაგან იკერებოდა. პირველად გაჩნდა პერანგის მოღური საყელო და სახელოები. სახელოს მარტივ ფორმათა გარდა, მოწონებით სარგებლობდა სხვა ფერის ან ჭრელი,

180. კარადა, XVI ს-ის მე-2 ნახვარი, პარიზი, დეკორატიული ხელოვნების მუზეუმი. ▶





181. ჩრდილოიტალიური სკამი. დაახლ. 1600 წ. ლონდონი, Wallace Collection.
182. ტაბურეტი იტალიიდან, XVI ს-ის შე-2 ნახევარი. მუზეუმი, ბაიერის ეროვნული მუზეუმი.
183. ტაბურეტი, XVI ს-ის შე-2 ნახევარი. ფრანგულტი, გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი.

მდიდრული სახელოები; ისინი სრული, მოსირმულ-ნაქარგი, ან ჩახსნილია. ზედა ტანსაცმლად ხმარობდნენ მოსასხამს (სიმარას); იგი სხვადასხვა სიგრძისა იყო — სახელოიანი, ცრუსახელოიანი, ან სულაც უსახელო.

რაც შეეხება ქალის სამოსს, აქ გვხვდება გუთური გრძელი და ბუნებრივი ელეგანტურობით გამორჩეული ტანსაცმელი; ეს მძიმე ქსოვილისაგან ან აბრეშუმისა და ხავერდის ძვირფასი ნაჭრისაგან შეკრილი ნაოჭაყრილი კაბებია (სურ. 176). რენესანსის მეორე ნახევარში მოდას სიტლანჯე შეეპარა; იგი მოუხერხებელია და ზედმეტად გადაპრანჭული. იმ ხანებში სამოსი მით უფრო მოხდენილად ითვლებოდა, რაც უფრო მძიმე იყო ქსოვილი. წელს თასმებით მჭიდროდ იყრავდნენ და ფიგურის გამოსაკვართად ვიწრო კორსეტს იცვმდნენ, რომელსაც ლითონის მავთულები ჰქონდა ჩადგმული. ხშირად განიერ

დეკოლტიანი კაბებიც ეცვათ. ერთი იმდროინდელი კაცი ჩიოდა: „ტანი ისე უწყალოდ შეუხუთავთ, რომ ქალები პატივმოყვარეობის გუნი ისეა, რომ ქალები პატივმოყვარეობის გუნი ისეთსავე ტანჯვას იტანენ, რასაც მოწამენი მომავალი რწმენისთვისონ“.



184. სამგზავრო საწოლი ანსბახის ციხე-  
კოშკიდან. დაახლ. 1580 წ. მიუნხენი,  
ბაიერის ეროვნული მუზეუმი.

მანერიზმის დროინდელი მოდა (სურ. 178) თვითშეზღუდვის ახალ ნებას ამკვიდრებს, რადგან რენესანსულმა ინდივიდუალიზმის მიზნები ას მაიც მცდარი მიმართულება მიიღო. მამაკაცებს აცვალებულ გამოყვანილი ზედასამოსი; იგი თითქმის გეომეტრიულად არის აჭრილი, ხეშეში საყელო კი თავს განძრევის საშუალებას არ აძლევს. ქალის სამოსი ნაკლებ ხეშეში როდია: ზედა ტანი კორსეტით ჩაჭედილია წვეტიან თავზე დასმულ კონუსში; განიერი კაბა კი, კრინოლინის მეონებით, აბაურივითაა გაფარხხული.

რენესანსული ავეჯი, იმუძინდელი არქიტექტურის შესაბამისად, მძიმეა და მონუმენტური. ახალია ქვის არქიტექტურიდან გაღმოლებული (სურ. 179) ანტიკური მოტივები და ორნამენტები, კერძოდ, სვეტისთავები, სამკუთხა და სეგმენტური ფრონტონები, ღარებიანი კედლის სვეტები, მრგვალი თაღები, ნიუარული ნიშები. კვლავ მოდაში შემოდის სხვადასხვა ფერისა თუ ჯიშის ხით მოპირკეთება (ინკრუსტაცია, ინტარისია), რაც ესოდენ კარგად არის ცნობილი ანტიკური ხელოვნებისათვის. XVI ს-ის გვიანდელი წლების ავეჯს ახასიათებს „მანერიზმი“, ე. ი. ნაკლებად ფუნქციურია და უფრო დეკორატიული მნიშვნელობა აქვს. აქ ნაჩვენები კარადის ზედა სართულებში, მრგვალთაღიანი კარის უკან (სურ. 180), მხოლოდ რამდენიმე ვიწრო თაროა, ქვემოთ კი პატარა უჯრაა მოთავსებული. უხვად მოჩუქურობმებული სკამები (სურ. 181-183) უფრო თვალის გასახარად არის გამიზნული, ვიდრე დასაგდომად (სურ. 183). მანერულია, აგრეთვე, მავრესკებიც; ესენია ესპანეთის ისლამური ხელოვნებიდან მომდინარე არაბესკები, გარდაქმნილი წმინდა რელიეფურ სტილიზებულ ორნამენტად. სპილოს ძვლის მავრესკებითაა (სურ. 184) მოპირკეთებული ჩარდახიანი სამგზავრო: საწოლის მთელი ზედაპირი. ამგვარი კონტრასტი დამასახიათებელია ამ ეპოქისათვის. ასეთი ავეჯი ემსახურებოდა იმ საზოგადოებას, რომელიც ეტიკეტის დეკორატიულ-საზეიმო ჩარჩოებში ახალ ჰოზიტიას ეძებდა დარღვევის პირას მისული ინდივიდუალიზმის შემდეგ.

## ს ა რ ჩ ე ბ ი

ბერძენთა ხელოვნება . . . . .	3
არქაული ხელოვნება . . . . .	6
არქიტექტურა . . . . .	6
ქანდაკება . . . . .	11
კერამიკული ფერწერა . . . . .	14
კლასიკური ხელოვნება . . . . .	16
არქიტექტურა . . . . .	16
ქანდაკება . . . . .	19
კერამიკული ფერწერა . . . . .	23
ელინისტური ხელოვნება . . . . .	24
არქიტექტურა . . . . .	25
ქანდაკება და მხატვრობა . . . . .	26
ბერძნული მოდა და ავეგი . . . . .	30
რომაული ხელოვნება . . . . .	35
არქიტექტურა . . . . .	38
ქანდაკება . . . . .	44
მხატვრობა . . . . .	46
მოდა და ავეგი . . . . .	48
ადრექტისტიანული ხელოვნება . . . . .	56
არქიტექტურა . . . . .	59
სახვითი ხელოვნება . . . . .	61
კაროლინგური ხელოვნება . . . . .	66
არქიტექტურა . . . . .	68
სახვითი ხელოვნება . . . . .	73
რომანული ხელოვნება . . . . .	80
არქიტექტურა . . . . .	82
ქანდაკება . . . . .	89
მხატვრობა . . . . .	97
მოდა და ავეგი . . . . .	101



გუთური სელოვნება	106
ქანდაკება	118
მხატვრობა	123
მოღა და ავეჯი	132
რენესანსი	139
არქიტექტურა	145
ქანდაკება	151
მხატვრობა	157
მოღა და ავეჯი	167



მხატვრული რედაქტორი შალვა ნუცუბიძე  
ტექნიკური რედაქტორი რიჩარდ კოხჩიძე  
კორექტორი თამარ რამიშვილი  
გამომშვები რომან სარალიძე

გადაეცა წარმოებას 31.10.91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.5.92 წ. ქაღალდის ზომა  $60 \times 84^1/16$  სასტამბო თაბაზი 11. საალტიცხო-საგამომცემლო თაბაზი 9,5. შეკვეთა №1359 პირველი გაშვება. ტირაჟი 20.000

გამომცემლობა „ხელოვნება“  
თბილისი, დავით აღმაშენებლის 179  
1992



საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდითი სიტყვის დეპარტამენტის  
ოლია ჭვეშავაძის სახელობის თბილისის წიგნის ფაბრიკა გრ. რობაქიძის  
გამზირი №7  
Тбилисская книжная фабрика им. И Чавчавадзе Департамента  
печати Республики Грузия, пр. Гр. Робакидзе №7.

